ლიტერატურული გაზეთი

№13 (293) 23 - 29 ივლისი 2021 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით ფასი 80 თეთრი



მანანა ჩიტიშვილი

იორზე

იორზე თეთრი ქალივით
მთვარე რომ ჩამომდგარიყო,
ჩქერით იბანდა ძუძუ-მკერდს,
შენ გახარბებდა, მარიხო.
ღამე იყო და რა ღამე, —
უჟამო და უთარიღო,
ცის ბანზე ყველა ვარსკვლავი
ერთობლივ ჩამომსხდარიყო.
ვით ლაშარს მყოფი ფშაველი,
იორი გადამთვრალიყო,
მნათობის შორით ალერსი
გონის მიმტაცად ჰკმარიყო.
იმ მთვარის ნისლის პერანგი
ქარმა რომ სერ-სერ წაიღო,
ტალღათა თრთოლა-ფეთება
ხომ გახსოვს, ჭალის ნარიყო,
ვერც სიყვარული დავარქვი,
არც უმისობა არ იყო.

IV-V

შემდეგი ნომერი გამოვა
ერთ კვირაში
—
30 ივლისს

გურო დავითლიძე

გიჟი თენგიზა

ვისაც უნდა შეხვედროდა — შვილი მიკვდებაო — ეუბნებოდა. როგორ ხარო, რომ მოაძახებდნენ ორღობიდან და ხელს აუქნევდნენ, დაებრიცებოდა სახე და გულში იძახდა — შვილი მიკვდებაო — თან, როგორც ჩანს, ერიდებოდა შორიდან ყვირილით მისალმება. დამანჭული სახით, უაზროდ აისვრიდა ხელს ჰაერში აქედანაც და აგრძელებდა ნერვიულ ყიალს სოფლის შარებზე. სახლში თითქმის არასდროს იყო — ბევრჯერ ღამეც დაუნახიათ, როგორ მძიმედ მიუყვებოდა დაჩრდილულ გორას ზემოთკენ და ისიც კი უნახავთ, როგორ მჯდარა შუაღამისას ფიჩხნართან აბღავლებული და მისავათებული. დაუყვირიათ, წამოუყენებიათ, სახლამდეც მიუყვანიათ წვალებითა და ჭიდაობით, მაგრამ მოსცილდებოდნენ თუ არა ჩამოჟანგებულ ჭიშკარს, გამორბოდა სახლიდან და როგორც ციცინათელა დღის შუქზე, ისე ჩაიკარგებოდა ხოლმე ღამის წყვდიადში. მერე კი, საიდანღაც, ძალიან შორიდან ან ძალიან ახლოდან, ისევ მოისმოდა — შვილი მიკვდება, შვილი!

სოფლის მაცხოვრებლებს, ახალგაზრდებსა თუ მოხუცებს, არაფერი ეჯავრებოდათ ისე, როგორც ეს კაცი; და ამასთან, არავინ ეცოდებოდათ ისე, როგორც იგი, რამეთუ ძალიან დიდ ზიზღსა და სიძულვილს, მოუშორებელი ჩრდილივით დაჰყვება ზურგში შეცოდების წმინდა უნარი, რომელიც ყველაზე დაუნდობელ ადამიანშიც კი გამოიჩხრიკება და მოიძებნება — სულ მცირედი, მაგრამ მაინც.

პირველი წლები ძალიან გაუჭირდა სოფელს თენგიზასთან შეგუება. ამას კიდე რა უჭირს, ძლივს ამოიწმინდეს თვალებში ჩამდგარი შიში, რომელსაც მისი დანახვა იწვევდა მათში. აიკრიფებოდნენ უბნის ბირჟებიდან და ძაღლისაგან შეშინებული ქათმებივით გაიფანტებოდნენ, როცა შორიდანვე დალანდავდნენ, როგორ მოუყვებოდა მათკენ ხელების ნერვიული ქნევით თენგიზა; მოუსვენარ ბავშვებს კი, ღამღამობით, გუდიანი ქალით კი არა, თენგიზას მოყვანით აშინებდნენ, როცა ძილის მაგიერ მაგიდებს შორის დაძრომიალობდნენ პურის ყუით ხელში. „დაიძინე, თორე გიჟი თენგიზა მოვა და თავისთან წაგიყვანს“ — დაუცაცხანებდნენ ხოლმე ბალღებს და ქეჩოში წავლებული ხელით მიარბენინებდნენ საძინებლებში. ერთი სიტყვით, სანამ საკუთარ სენს შეჩვეული ადამიანივით არ შეეჩვია სოფელი, დიდ ალიაქოთს იწვევდა თენგიზას დუნიაზე გამოჩენა.

* * *

ზოგი იძახოდა, ესო, ჩემი გაზრდილიაო, ჩემს ვენახებში დარბოდა ტრუსიკიანა და დასდევდა თავის პატარა ლეკვსო — თეთრი ლეკვი რო ყავდა, იმასო; ზოგიც ამბობდა, ამანო, ერთხელ დაკარგული ძროხა მაპოვნიაო, მთელი ღამე ეძებაო და მაინც იპოვაო, ვარდისუბნის ბაღჩებში ჩაკარგულა ის შეჩვენებულიო; იქაური ქალები კიდე იძახოდნენ, ეს ისეთი ბიჭი იყო, არავინა არა სჯობდაო და სოფლის სკოლაში ყველა გოგო მაგას დასდევდა კუდშიო. და ლაპარაკობდნენ მასზე დაუსრულებლად, იხსენებდნენ სიჭაბუკის ამბებს და შიგადაშიგ ცრემლსაც შეურევდნენ გაცვეთილ და აზრს მოკლებულ საუბარს, ისე მოენატრებოდათ თავიანთი თავი იმ დროში და მათთან ერთად ისიც, ვინც იყო მუდმივად წარსულთან სიახლოვის მიზეზი — თენგიზა.

* * *

არ მახსოვს, ზუსტად რამდენი წლის ვიყავი მაშინ, როცა მამაჩემმა ბიძაჩემთან გამგზავნა თოხის წამოსაღებად. ზედ ბირჟის გადაღმა ცხოვრობდა თომა ძია, ზღაპრის კეთილ პერსონაჟს წააგავდა თბილი გამოხედვითა და დიდი წვერით. სულ იღიმოდა, იშვიათად ნახავდით მოწყენილს. მეტად გალანტური, ნაკითხი კაცი იყო და შესაშური ამბის თხრობის უნარით გამოერჩეული. ჩამომისვამდა ხოლმე მუხლზე და დაუღალავად მეთამაშებოდა. იმ დღეს კი, როცა მისკენ ჩემეული სიარულის მანერით შევუყევი დაკლაკნილ ორღობეს და ჭაობაანთ თედოს ჭიშკარს მივადექი, სხვანაირი თომა დავინახე — თავიდან შემეშინდა კიდეც, ნეტა, რამე ხო არ ჭირს-მეთქი, გავიფიქრე და წინ ფრთხილად ჩამოვუდექი.

თომა ძია თავისსავე გამოთლილ სამფეხა სკამზე იჯდა და ისე ჩუმად სლუკუნებდა, როგორც საბნის ქვეშ ჩამალული ბავშვი სლუკუნებს პირზე ხელაფარებული, სხვებმა რომ არ გაიგონ მისი ტირილი და მიზეზი ტირილისა. თომა ძიამ, მხარზე ხელი დავადე თუ არა, დაძაბულმა ამომხედა და წყლიანი თვალების სწრაფად დამალვა სცადა. მერე გაიღიმა. წამოხტა და ისე ჩამიხუტა, როგორც ყოველთვის. ხელშიც კი ამიტაცა. როგორც მთაში ჩაანაცვლებს ხოლმე წამიერად ჭექა-ქუხილსა და სეტყვას მორცხვი მზე, ისე ჩაანაცვლა მისი სევდიანი, ტირილისაგან დაღლილი მზერა ღიმილმა.

— თომა ძია, წეღან ტიროდი, არა? — ვკითხე მოულოდნელად. თითქოს არ შემიმჩნევია ბიძაჩემის წყლიანი თვალები. მისი სახლის წინ თუთის ხის ძირში ვისხედით. სიჩუმე მორცხვი კაცივით იყო ჩამომდგარი. მხოლოდ შორს მყეფარი ძაღლები ახმაურებდნენ შიგადაშიგ სოფელს.

— იცი რა, ჩემო ბიჭო, — მათრობელა ჰაერი ძლიერად შეისუნთქა, — ხანდახან ჩვენ, დიდებიც, წამიერად თქვენ გემსგავსებით ხოლმე, — თბილად, მაგრამ სევდიანად გამიღიმა, — ისეთივე ბავშვები ვართ, როგორც თქვენა ხართ. ისე გვინდება შოკოლადის ნაყინი და დაჭერობანას თამაში, როგორც თქვენ. და ყველაზე მთავარი: ხანდახან ჩვენც ისევე აგვეტირება პატარ-პატარა რაღაცებზე, როგორც თქვენ ტირით ხოლმე, — მითხრა და ქოჩორი ამიჩეჩა.

— და რაზე ტიროდი, ძია თომა? — არ ვეშვებოდი ჩემეული ცნობისმოყვარეობით.

— წეღან, სანამ შენ მოხვიდოდი, — დაიწყო თავისებური ტემბრით ამბის თხრობა ძია თომამ და ზღვასავით ლურჯი თვალები პროჟექტორივით მომანათა, — თენგიზა მოვიდა ჩემთან. ხო იცი არა თენგიზა? — თავი დავუქნიე, — ვიჯექ ჩემთვის, გავსცქერდი ჰორიზონტს, ვფიქრობდი, რა ვიცი, რაზე აღარა, ხანა მოსავალზე, ხან იმაზე, ხან ამაზე, ღმერთმა უწყის, სოფლელი კაცის ფიქრებსა რას გაუგებ, როგორცა მატყლი, აი, ეგრეა აწეწილი ერთმანეთში ეგ ფიქრები. ჰოდა, მოვიდა თენგიზა და ჩამომიდგა წინ. იდგა ასე, ხელები და ფეხები ერთიანად უცახცახებდა, რამდენიმე წამი მიყურა, მიყურა და აბღავლდა მერე. აბღავლდა და თანაც როგორ. წამოვვარდი ფეხზე, მეთქი, რა გჭირს, თენგიზ — ვეკითხები. ვიცოდი, რომ პასუხს ვერ გამცემდა, მაგრამ ინსტინქტურად ვკითხე. მერე კიდე უცბად მომეხუტა, თავი დამადო მხარზე. თან ჩურჩულებს — მალე შვილი მომიკვდება, მალე შვილი მომიკვდება — როგორც სჩვევია ხოლმე, ხო იცი, არა?! ერთი-ორი წუთი ასე იყო, არ ვიცი, შეიძლება ცოტა ნაკლებიც. სულ დამისვეღა მხარი. მერე უცბადა ხელი მკრა, იმაზე უფრო ნერვიულად აათამაშა ხელები და აბღავლებული გაიქცა ტიკაანთ ორღობისკენ. თან ყვიროდა: „მალე შვილი მომიკვდება, მალე შვილი მომიკვდება“. აბა, მე კოჭლი სად გავეკიდებოდი, ჩამოვდექ ორღობის თავში და იქამდე ვიდექ, სადამდეც ვხედავდი, მერე კიდე, სადამდეც მესმოდა მაგისი ყვირილის ხმა. არ ვიცი, საით წავიდა, შეუყვებოდა ალბათ ტყეს და აბობღდებოდა სადმე გორაზე.

— და მაგიტომ ატირდი, ძია, არა? — ვკითხე.

თვალები ისევ აუცრემლიანდა. მერე კი, როცა სველი თვალები ხელის ზურგით შეიმშრალა, ამბავი მიამბო. ამბავი მიამბო კაცზე, რომელსაც მთელი ბავშვობა ხეების უკან დაფეთებული ვემალებოდი და რომლის დანახვისასაც ყოველთვის მუხლები ნერვიულად მიკანკალებდა.

* * *

თენგიზა ჯერ კიდე ძალიან ახალგაზრდა იყო — ოცი წლის — როცა ცოლი შეირთო. გვერდითა უბნელი გოგო იყო, თამარი ერქვა. სოფელში კი არა, მთელ რაიონში ყველაზე ლამაზი გოგო შეირთო თენგიზამ. შეირთო და ერთ წელიწადში პატარა გოგონაც ეყოლათ — დარია. ორი წლის შემდეგ ტყუპები — დათა და ლუკა. ლამაზი ოჯახი ჰყავდა. ოქროსფერთმიანი ბავშვები აქეთ-იქით დატანტალებდნენ, ყველას უყვარდა დარია, დათა და ლუკა. აგე, ჩვენი ანგელოზები მოდიანო, ჩვენი დახატულები მოდიანო — გაიძახოდნენ ხოლმე სოფლელები, როცა ხელიხელჩაკიდებულნი გამოისერნებდნენ საღამოობით სოფლის შარაზე. იშვიათად იპოვიდი კაცს, თენგიზა და მაგისი ოჯახი რომ არ ჰყვარებოდა. და თუ იპოვიდი, ისიც იმიტომ ვერ იტანდა, ან უფრო ზუსტად, იმიტომ არ ეხატებოდა გულზე თენგიზა, რომ შურდა. შური კიდე ისეთი საზიზღარი რამაა, ისეთი აუტანელი, ადამიანს მართლა რომ შეეძლოს სარკეში თავისი თავის დანახვა, შეიძლება გულიც კი აერიოს, როცა თავისსავე ბოღმითა და შურით სავსე თვალებს შეასკდება პირისპირ. მაგრამ ადამიანებს ყველაზე მეტად რაც უადვილდებათ, საკუთარი თავისაგან გაქცევაა. ბოროტი იმიტომაა ბოროტი, რომ თავისი თავის დამარტოხელება ვერ შეძლო; შურიანი კაციც ასეა — თვალმოჭუტული დაიარება დედამიწაზე და გუბეში ჩამდგარ წყალსაც კი გვერდს უქცევს, საკუთარ თავს რომ არ შეეფეთოს და ყელში არ წაუჭიროს ხელები თავისსავე თავმა და ფიქრებმა, თორემ კი შეიცვლებოდა რამენაირად და გადაუხვევდა იმ გზიდან, რომელ გზასაც ადგას მთელი სიცოცხლე.

თენგიზა კი ცხოვრობდა ისე, როგორც უნდოდა და როგორც სიამოვნებდა. არც არავის პატივისცემა აკლდა და არც არავის პატივისცემა ეშლებოდა. ათმა წელმა ისე ჩაირბინა, ვერც გაიგო. დარია, დათა და ლუკაც წამოიზარდნენ და დარბოდნენ სახლის გარშემო დაუღალავად. უფრო მეტად ახმაურდა სახლი და უფრო მეტად ბედნიერობდა თენგიზაც, როცა ვენახიდან დაბრუნებული წამოუწვებოდა ბებერი მუხის ხის ქვეშ და გაჰყურებდა ეზოს ბოლოში მორბენალ ბალღებს, რომლებიც თვალსა და ხელს შუა წამოჩიტულიყვნენ.

დრო გადიოდა... ყველაზე მეტად რისაც თენგიზას ეშინოდა, დრო იყო. დროს ფიქრი მოჰქონდა, ფიქრს — სევდა. სევდა კიდე ჭირივით ეზიზღებოდა თენგიზას. მაგიტომაც არ უყვარდა დიდხანს მარტო დარჩენა. მარტოობა ფიქრს იწვევს — იტყოდა ხოლმე. გამუდმებულ, გაუთავებელ ფიქრებს კითხვით იქრობდა. ბევრს კითხულობდა თენგიზა. უყვარდა ამერიკული ლიტერატურა და ლათინო-ამერიკელი მწერლები. ღამე არ გავიდოდა, რომ არ წაეკითხა. ზოგჯერ დილამდეც კი წელავდა დროს კითხვით. მხოლოდ ხანდახან თუ გაჩერდებოდა, გახედავდა მეუღლეს და რამდენიმე წუთს გაღიმებული უყურებდა თამარის მშვიდ ფშვინვას.

* * *

ერთ ზამთარს თენგიზას არც ერთი ძროხა არ მოჰყოლია ნახირს. დიდხანს ელოდა ჭიშკართან და ბოლოს, სიცივისაგან აძაგძაგებული შებრუნდა სახლში. თამარი ბავშვებთან ერთად თვლემდა. ჩაიცვა ბოტები, მოიგდო მხრებზე თბილი ხებე, გახედა ცოლ-შვილს თბილად და გატრიალდა გარეთ.

სად აღარ იხეტიალა თენგიზამ, რომელი ბილიკისკენ არ გადაუხვია, რომელ ბუჩქნარში აღარ იძრომიალა და ბოლოს ბარიბინების ტბასთან წააწყდა ხუთივე ძროხას. იწვნენ ტბის ნაპირას ტალახში ამოგანგლულები და ჯერ კიდევ იქნევდნენ ყბებს მონოტონურად. გადაუჭირა რამდენიმეს წკეპლა თენგიზამ, დაუცაცხანა და კი წამოხტნენ უცბად ყველანი.

მიუყვებოდა ნელი ნაბიჯით გათანგული თენგიზა სახლისაკენ გზას და ოდნავი წარმოდგენაც არა ჰქონდა იმაზე, რაც უნდა მომხდარიყო. არ იცოდა თენგიზამ, თორე არ წავიდოდა სახლიდან. დაივიწყებდა ხუთივე ძროხას, იტყოდა, ჭირსაც წაუღია ხუთივეო და დარჩებოდა თამართან, რომელსაც ისე ლამაზად ეძინა, შეეძლო, მთელი ღამე ეყურებინა; დარჩებოდა პატარებთან, რომლებიც ერთმანეთზე მიხუტებულნი იწვნენ ერთ დიდ საწოლში და სახეზე ძილისწინა ღიმილი დასთამაშებდათ. არ იცოდა თენგიზამ, წარმოდგენაც არა ჰქონდა, თორემ ღმერთსაც და დედის სულსაც კი დაიფიცებდა, რომ არ წავიდოდა. არ გაიხურავდა საძინებლის კარს ფრთხილად და არ ჩაუყვებოდა ორღობეს ღიღინ-ღიღინით...

არაფერი ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. ვერ გაეგო, რატომ იწვოდა ცეცხლში მისი სახლი. ღრიალებდა. შეშლილივით აჭყეტდა თვალებს, მაგრამ ვერსად ამჩნევდა ვერც თამარს და ვერც ოქროსფერთმიან ბავშვებს. შვილი მიკვდებაო, შვილები მიკვდებიანო, ცოლი მიკვდებაო — ღრიალებდა, ტიროდა. მთელი სოფელი ყირაზე დადგა. გაივსო თენგიზას ეზო კაცებით, ქალებით, ბავშვებით. ყველა ცეცხლს აქრობდა. ყველას წყლით სავსე ჭურჭელი ეჭირა ხელში და გამურულები დარბოდნენ აქეთ-იქით. თამარი არ ჩანდა, არც დარია, არც დათა და არც ლუკა. არც ერთი ჩანდა ეზოში. ბოლოს კი, როცა ცეცხლი ოდნავ მინელდა, თამარის თეთრი სარაფანა დალანდა თენგიზამ მახრჩობელა კვამლში. თამარი ხელში აყვანილი მოჰყავდა თომა ძიას. ოქროსფერი თმები, როგორც ცივ შემოდგომას ქარისაგან აფრიალებული ფოთ-

ლები, ისე ფრიალებდა ჰაერში. თომა ძიას უკან კი სამივე ბავშვის გაშავებული სხეული ხელში აყვანილი გამოიყვანეს მეზობლებმა. თენგიზას ღრიალის ხმა მთელი ღამე მგლის ყმუილივით გაუჩერებლად ისმოდა.

* * *

ოთხი საფლავი მარტომ გათხარა თომა ძიამ. არავინ დაიხმარა. არავინ მიაკარა ბარსა და წერაქვს. მისაღებ ოთახში სიმეტრიულად ჩამწკრივებული კუბოების გარშემო რამდენიმე დღე გაუჩერებლად იტკეპნებოდა ხალიჩა. არ წყდებოდა ხალხის ნაკადი. მთელი სოფელი ტიროდა განურჩევლად სქესისა და ასაკისა. არავის მიკარებია სახეზე ღიმილი. ყველა ზღვაში ნასროლი კენჭივით ჩაიძირა გლოვაში და ვერავინ ახერხებდა იქიდან ამოყვინთვას.

თენგიზა სახლის წინ გადგმულ გრძელ სკამზე იჯდა, თავი დაბლა დაეხარა და დუმდა. შემაშინებლად დუმდა და მოულოდნელად ჩამოსველებულ ღაწვებს გაცრეცილი შავი პერანგის სახელოებით ინსტინქტურად იწმენდდა.

შაბათ დღეს პროცესია ნელა გაუყვა დაკლაკნილ გზას. სასაფლაოზე ოთხივე საფლავს მოწყენილად დაეღო პირი. მთელმა სოფელმა მიაყარა ფხვიერი მიწა ფაქიზად, აკანკალებული ხელებით ჩასვენებულ დედასა და შვილებს და მთელმა სოფელმა შეაზილა მიწას ცხელი ცრემლები.

* * *

თენგიზა ჭკუიდან მალევე შეცდა. თავიდან სახლში ჩაიკეტა. ლექსო, კარის მეზობელი, უვლიდა მის საქონელს. ყოველდღე დაუღალავად უბრაგუნებდა კარზე, ეხვეწებოდა, გამოდი, თვალს წყალი დაალევინეო, მაგრამ სიტყვას არ ძრავდა თენგიზა და არც ჩარაზული ოთახიდან გამოდიოდა. შიგადაშიგ თუ ამოიღებდა ხმას და ისიც შეაგინებდა ლექსოს, თავი დამანებეო — უღრიალებდა. ორი კვირა მაინც გასტანა ასე. და როცა საბოლოოდ გამოგლიჯა კარი, როცა საბოლოოდ შეუშვა ოთახში ნანატრი სინათლე და ჩამომდნარი და გაუბედურებული გამოლასლასდა ოთახიდან — უკვე ჭკუიდან შემცდარი იყო.

დიდ ტრაგედიას ყოველთვის მოჰყვება ხოლმე მონატრებული ყურადღება და სიყვარული საზოგადოებისა. განსაცდელში მყოფი ადამიანის გვერდით სოკოებივით ამოყოფენ თავებს ადამიანები, რომლებიც ქცევებითა თუ ქმედებებით თავიანთი გაცვეთილი, გახუნებული ჰუმანურობის გამოჩენას ცდილობენ, რასაც მცირედით, თუმცა მაინც ახერხებენ, რადგან უბედური ადამიანის თვალში პურის ნამცეცისხელა სიკეთეც კი ისე მოჩანს, როგორც გაბადრული მთვარე ღამის წყვდიადში.

მას შემდეგ, რაც თენგიზა ჭკუიდან შეცდა, ყველამ მოიძულა. პირველი დღეები ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის. უფრო მეტიც: ესალმებოდნენ ხოლმე ორღობესთან ჩამომჯდარ თენგიზას, სახლშიც აკითხავდნენ და საჭმელიც მიჰქონდათ — არ მოკვდე შიმშილითო — აყოლებდნენ თან და უღიმოდნენ ნაძალადევად. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დიდხანს ვერ გასტანდა, ვერ გაუძლებდა მთელი სოფელი თენგიზას იმდენხანს, რამდენხანსაც დედა გაუძლებს სნეულ, განსაცდელში მყოფ შვილს, რადგან ამ დიდ გლობუსში, მხოლოდ დედაა ის, ვინც ჩამოძონძილ სარაფანასაც კი გაიხდის, როცა გამხმარ საწოლზე მიწოლილ შვილს ააკანკალებს და ღრიჭოებიდან შემოპარული ქარი მოედება ტანზე; მხოლოდ დედაა ის, ვინც აგრესიით სავსე შვილს გადაუდგება შუაღამისას კარში მეომარივით და მაჯებს დაუჭერს — ზამთრის ცივ ღამეში სადმე მწოლიარე რომ არ გაეყინოს შვილი.

თენგიზას დედა აღარ ჰყავდა. შეიძლება ითქვას, არც არავინ ჰყავდა თენგიზას. დარჩა იქ, სადაც ყოველთვის ეშინოდა დარჩენის — სიმარტოვეში. ნელ-ნელა უკლო ყველამ სიარულს თენგიზასთან. ის კი არა, დიდხანს ეშინოდათ კიდეც მისი და არიდებდნენ თვალს, როგორც შეეძლოთ. წამიერად გადაზარდა ყველამ დიდი სიყვარული დიდ ზიზღში, რასაც თენგიზა ვერ ამჩნევდა. ან როგორ უნდა შეემჩნია, გიჟი იყო და თავისი სიგიჟე დაჰქონდა ყოველდღე მხრებით გათენებიდან დაღამებამდე, დაღამებიდან მზის ამოსვლამდე და დარბოდა ასე, სანამ არ უკარნახებდა გონება სახლში მიბრუნებას და იქ ჩამოჯდომას, სადაც ბოლოხანს თამარს ჰქონდა ჩვევად და სადაც ბოლოხანს თამარს უყვარდა განმარტოება — ფანჯრის რაფასთან მდგარ სავარძელში.

* * *

ძია თომა წამოდგა, მარჯვენა ხელით თუთის ხის ტოტზე ობლად შერჩენილი ფოთოლი ჩამოგლიჯა და მათრობელი ჰაერი მთელი სიმძაფრით ჩაისუნთქა. მზე კარგა ხნის ჩასული იყო და ნარინჯისფერი ზეცა საბანივით გადაკვროდა სოფელს. შიგადაშიგ ნახირიდან დაბრუნებული ძროხების ზმული თუ ახმაურებდა ცივი ზამთრის საღამოს. გავყურებდი ჰორიზონტს და შორს ამოწვერილ ალვის ხეებს, სადაც მწყერზე სანადიროდ დავყავდი ხოლმე მამაჩემს. თომა ძია იდგა, ძლიერი მკლავები დაბლა ჩამოეყარა და დადუმებული გასცქერდა ორღობესთან მორბენალ ბაჭიას, როცა ჭიშკარი კევლიანთ ლადომ შემოგლიჯა და იყვირა:

— თომაააა, თომაა, თომაააა, ბიჯოუ, სახლში ხაარ?

— სახლში ვარ, ჭო, მა სადა ვარ, რა ამოიქაფე ეგ პირი, რა ბნედა გეცა, ჰა? — გასძახა ბიძაჩემმა ლადოს და მოწყვეტილი ფოთოლი დაბლა დააგდო.

— გიჟი თენგიზა უპოვიათ, ბარიბინებში უპოვიათ ჩამხრჩვალი ეგ უბედური ეგა, — ამოილუღლუღა ლადომ, ნაქსოვი ქუდი მოიხადა და თუთის ხესთან ჭირისუფალივით ჩამოდგა.

ესო ჩემი გამოზრდილი იყოვო, ჩემს ვენახებში დასდევდა თავის ლეკვსაო, თეთრი რო ყავდა იმასაო — იძახოდა ხალხი; ისეთი ბიჭი იყო, ჰოლივუდის მსახიობსა ჰგავდაო, ახალგაზრდობაშიო; ზოგი კიდე იმასაც იძახდა, ეს ისეთი კაცი იყო, მთელ სოფელსა პატივსა სცემდაო, ოღონდ ვინმესთვის სიკეთე გაეკეთებინა და თვითონა მოიკლებდაო. ეჰ თენგიზაო — ამოიკვნესავდნენ სოფლის დედაკაცები და ზოზინით შემოარტყამდნენ ოთახის ცენტრში დასვენებულ თენგიზას გაციებულ, გაუბედურებულ სხეულს წრეს.

თამარ ნამგლაძე

აკაციის ხეები

დაცინვაა, გეზიზღებოდეს ბავშვები და სიკვდილის შემდეგ საბავშვო ბაღის მოჩვენებად იქცე. მთელი დღეები ღნავილ-ჟრიამულსა და მასწავლებელ-დამრიგებლებს შორის გაატარო...

ოღონდ დღე რამდენ ხანს გრძელდებოდა, ზუსტად ვერ საზღვრავდა. იცოდა მარტო ხმაური, ბავშვები, მასწავლებლები და ორი ფსიქოლოგი, რომელთა მუდმივად გაღიმებული სახეები მარადმწვანე მცენარეებს აგონებდა. არ იცოდა, აქ როდის მოვიდა და არც ის იცოდა, ოდესმე ეს ყველაფერი თუ შეწყდებოდა. საკუთარი თავი ცოცხალი არც ახსოვდა. იყო მხოლოდ გრძნობები, განცდები, რაღაც სურვილებიც; მაგრამ არა თვითონ, სრული და მთლიანი.

ყველაზე მეტად შიშის განცდა ჰქონდა გადმოყოლილი სიცოცხლიდან. შიში თითქმის ყველაფრის მიმართ, რასაც ცხოვრება მოიცავდა; და უარყოფა. ალბათ ამიტომაც მოკვდა; და აქ მოხვდა. ასე ფიქრობდა ხოლმე კარადაზე ჩამომჯდარი ბავშვებით გადატიკნული ოთახის ბოლოს. ჩამოჯდომა დიდად არც სჭირდებოდა, ესეც სიცოცხლიდან გამოყოლილი ჩვევა თუ იყო. სიცოცხლისა რა გითხრათ და ხეირიანად მოჩვენებობაც არ გამოსდიოდა: მატერიალიზება არ შეეძლო. ერთხანს ფიქრობდა — გამოვეცხადები, დავაშინებ დიდიან-პატარიანად და დავიფრენ აქედანო. რამდენიმე მცდელობაც ჰქონდა. ბოლოს უხუცეს დამრიგებელს გამოეცხადა ცალი ხელით, ცალი ფეხით და ნახევარი თავით. მფრინავი კიდურების დანახვით გამოწვეული შოკის ნაცვლად სათვალის ერთი დაქნევა და შენიშვნა — ნუ ონავრობ, თორემ დედას ვეტყვიო — მიიღო. ამის შემდეგ, ვინმეს შეშინებაზე ოცნება თავიდან ამოიგდო. ეს ისე მარტივად გააკეთა, კიდეც გაიფიქრა — ეტყობა, დიდი გამოცდილება მაქვსო. მოიწყინა. მთელ დროს ოთახიდან ოთახში ქროლვასა და ვინმეს გაციებას უთმობდა. უკვე იმასაც ვეღარ ამჩნევდა, ბავშვები რომ იცვლებოდნენ. მისთვის ყველა ერთნაირი — მცირე ზომის — იყო.

„არ ვიცი, ვის რა, მაგრამ კაცობრიობას ნამდვილად მოგვეკითხება პასუხი ორ ღვთაებრივ საჩუქარზე — აზროვნებასა და ადამიანობაზე — უარის თქმისთვის“ — გაუელვა. ემართებოდა ასე. აზრები მოდიოდა და მიდიოდა, არსაიდან და არსად — სრულიად გამოუყენებელნი. ზოგიერთი მათგანი მცოცავ ქვიშას ჰგავდა: მთლიანად ითრევდა, ეფლობოდა და იძირებოდა მოგონებაში. მაგრამ ეს არ იყო უცნაური. უცნაური იყო ის თანმდევი განცდა, რომელიც სადღაც არსებობდა; არც თავს ახსენებდა და არც ეხებოდა, მაგრამ არსებობდა. რაღაც, რაც დამთავრდა, თუმცა დარჩა. და ახლა, ამ უეცარი ჩაძირვისას, ერთადერთ განცდას ეხებოდა — საკუთარი თავის განცდას.

ასეთები ხშირად არ ემართებოდა, მაგრამ ბოლო ასეთი შემთხვევისას სასაფლაოზე აღმოჩნდა. მაშინ ცოტა გახალისდა, გაისეირნა და უკან დაბრუნებაც კი შესძლო. მას შემდეგ ეს მისი ჩვეული მარშრუტი გახდა: საბავშვო ბაღი — სასაფლაო, სასაფლაო — საბავშვო ბაღი. თავიდან ცოტა იდიოტურ მარშრუტად მოეჩვენა, მაგრამ ამდენი ბავშვის ყურებას სიჩუმეში სეირნობა ერჩივნა. მერე გასართობიც მოიფიქრა — საფლავის ქვებზე წარწერებს კითხულობდა და ისტორიებს იგონებდა. ზოგან მარტო წლები იყო, ზოგს ფოტოც მოჰყვებოდა. იშვიათად მართლა საინტერესოც გამოერეოდა ხოლმე. რამდენიმე გამორჩეულად საყვარელი ქვაც ჰქონდა. იჯდა და უყურებდა ხოლმე. იჯდა და იჯდა. ამ დღეების განმავლობაში კი საბავშვო ბაღში არავის აცემინებდა, არც არავინ ცივდებოდა. ერთხელ ასეთი სეირნობისას აზრმაც კი გაუელვა, იქნებ საკუთარი ფოტოც ვიპოვოო. შემოუქროლა საფლავებს, დააკვირდა სურათებს, მაგრამ არანაირი შედეგი — არც ქალი იყო, არც კაცი იყო, არც ბავშვი იყო და არც მოხუცი. ორი დანაცრული კატის საფლავიც იპოვა, ეტყობა, ვიღაცებს ემაიმუნათ, მაგრამ კატობისაც ვერაფერი შეამჩნია საკუთარ თავს. მოწყენილი გასეირნება გამოუვიდა იმ დღეს. უკან დაბრუნებაც არ უნდოდა — სადილის დრო იყო.

ისევ ერთ-ერთ ქვასთან ჩამოჯდა — გამორჩეული წარწერა ჰქონდა, „და-ძმას, დედისაგან და მამისაგან“. ესეც კი საჩუქრად გადააკეთესო — გაიფიქრა თავისთვის — ნეტავ თუ ნახესო ბავშვებმა, ბოლომდე თუ იგრძნეს ზრუნვაო.

კიდევ ერთხელ დააცქერდა წარწერას. თვითონვე მოავლინეს და თვითონვე გააცილეს. დაუბრუნდნენ საწყისს. მგონი, საპირისპირო ითვლებოდა კანონზომიერებად — მოავლენ, წახვალ, ის დარჩება.

თავისთვის ჩაიფრუტუნა: რატომ უნდა ითვლებოდეს ასეთი სისასტიკე კანონზომიერებად — შვილისთვის ცხოვრება მშობლის გარეშე არ იყო, მშობელს შვილამდე ჰქონდა ცხოვრება. და ამ დროს, ვის გარეშე ცხოვრება არც არსებულა, ტოვებს. რატომ?!

ეტყობა, ესენი განსხვავებული მშობლები იყვნენო — კიდევ ერთხელ დააცქერდა წარწერას — შვილებისთვის განკუთვნილი ტკივილიც თავიანთ თავზე აიღეს, მშობლის გარეშე ყოფნა არც განაცდევინეს საერთოდო.

მერე ბაღში დაბრუნდა. მშობლები თავიანთ ნამოქმედრებს აკითხავდნენ. ხმაურითა და ჭყლოპინით მიექანებოდნენ დედმამის ტანსაცმელზე ჩამოკონწიალებული ბავშვები. თვითონ კი იჯდა და უყურებდა — ყოველდღე ერთიდაიგივე. მერე სხვა ბავშვები მოჰყავდათ. მერე ამ ბავშვებს მოჰყავდათ ბავშვები. ხანდახან სეირნობდა. ყოველთვის იყო ახალი წარწერა აღმოსაჩენი. შემდეგ ისევ ბავშვები. მხოლოდ ხეები არ იცვლებოდა, მასსავით მდგარი ხეები ბაღში. შემდეგ ბავშვებმა შეწყვიტეს სიარული. ხეები მოჭრეს...

მანანა ჩიტიშვილი

კვეტერა

დუმს არე, სხივთა პირბადეს იქსოვს,
სიცოცხლის ხმები არსაით ჩქეფენ,
სულ ერთი ფეხით გაგვასწრეს თითქოს
სამეფო სპამ და გიორგი მეფემ.

არ გაჭრიალდა კოშკის კარები,
არცვინ სტუმართა მოსვლის მაცნეა,
იქნებ შორენას შიმუნვარები
ჯერ თავთუხისფერ თმას უვარცხნიან.

გოდოლთან ქარის მოძახილს ვისმენ,
დუმს გალავანი — ლომი ბებერი...
დარბაზის კარი ღიაა ისე,
გულუხვ მასპინძელს როგორც შეჰფერის.

ჟამმა ან ვის და როდის დარიდა,
ხსოვნას შემორჩა ის დრო ლანდებად...
მგონია, ცოტაც და ამ კარიდან
ფხოვის მთავარი გამობრძანდება.

ქანაობს ქარში ბილილას ღერი
და კარგად ვიცი, რის თქმა და რა სურს,
რომ ლაზისტანის ზღვის ტალღის ფერი
თვალები ჰქონდა ერისთვის ასულს.

რომ ის წარსული კვლავ სისხლში კივის,
დრომ ყოველივე როდი მიმარხა...
ტაძრის ჭიქურმა იმ თვალთა სხივი
აირეკლა და შემოინახა.

შირიმის ქვები — ერთურთს ჩაწნული,
მზით დაკოცნილი, როგორც ამ დილით
და დგას კვეტერა —
ზეცის ქალწული,
ჩუმი კრძალვით და ლურჯი მანდილით.

შორს სვეტიცხოვლის ზარს რეკენ როცა,
აქ გული უთრთის სუყველა ყვავილს
და ცაზე მთვარის ნამლევი მოჩანს,
ვით არსაკიძის მოჭრილი მკლავი.

რა უფრო ძნელსათმენია

რა უფრო ძნელსათმენია, —
ბეჭში გაჩრილი ხანჯალი,
ლიბომორღვეულ ციხეზე
ქარი მროკავი, არჯალი,
დამცრობილ-შეშინებული,
მტრის ფეხთ მლოკავი ლაჩარი,
ყანა, ღვთის თვალმოწეული,
სეტყვით გაგლილი, ნაჩალი,
თუ ერთი სიტყვა —
„მიყვარხარ“,
პასუხ უთქმელად დამრჩალი?!

მთათა აკვანში

მიწა ხომ მიწად,
სახლი ხომ სახლად,
მტრის ღირსად მტრობაც
ვერ შევიძელი,
და ჩემს მშობლიურ
კერაზე ახლა
მე სტუმარი ვარ,

ის — მასპინძელი.
შორს ჩანს კავკასი,
ჯანღით მოსილი,
მთათა აკვანი —
თოვლის ალმურით,
შიგ რომ ფრთებდაჭრილ
ანგელოზივით
სისხლდაწრეტილი
მიწევს მამული.

რა მიყვარს

რა მიყვარს?
სინდაურაზე
მთვარე საკოცნად დახრილი,
ზაფხულის ჩამოსვენება
მთებიდან თივის მარხილით;
დილბინდზე შეფეთებული
ფართოთვალება ნახირი,
„ — ვერ იპოვე?“ და
„ — ვერაო...“ —
ოლოლთა გადაძახილი.
ქალ-ვაჟის თვალთა ალერსი,
შორი ტრფიალის სამხილი,
ძუძუს მომდგარი საკინძე,
ვითომ შემთხვევით გახსნილი.
ქარქაშში ჩაუგებელი
ლურჯად კამკამა მახვილი,
ან ტყვია და სიყვარული, —
ორნივ ზედ გულზე დახლილი.

უკვდავებისა წყაროო

შენსკენ წამიცდა ბაგენი,
მოვქონდი სურვილთ მდინარეს,
არ ვიცი, მართლა გეძინა,
თუ თავი მოიმძინარე.

იქნებ ფიქრობდი, გულისთქმას
არ დაიჩნევდა სახე და
უმალ უამბოდ შეგატყვე,
წამწამთ შერხევა გამხელდა.

მზე რომ მთებს იქით ჩავიდა,
ერთურთს შემოვრჩით მე და შენ,
დედის რძესავით შევირგე
ემაგ ტუჩების ზედაშე.

უკვდავებისა წყაროო,
ვისთან ვთქვა შენი დარება,
ჟამიც იკურთხოს მაგგვარი,
ძილიც და მომძინარებაც.

აქედან ვხედავ

შენ ხარ ვენახი,
ჯერ მოუსთვლელი,
ჩვენი ლხინი და
ჩვენი გოდება,
აქედან ვხედავ,
სულ სხვა რუსთველი
მომავლიდან რომ
გვიახლოვდება.

შენს მზეს სხვა ნათლის
შუქი უკრთოდა,
ნურც ნახოს ამ მზის
ჩასვლა ნურავინ,
არც ღმერთთან
და არც ამ საწუთროსთან
არაფერი გაქვს
დასამდურავი.

კვლავ დგახარ,
ასგზის გარდანაქარი,
მსახვრალი ხელი
დრომ აგარიდა,
შეხე, ქართული
სპა და ლაშქარი
როგორ მოგელავს
მომავალიდან.

ჟამი წიგნივით
გადაშლილია,
კვლავ უფლის სადარ
ხატად გვსური და
ჟამთასვლის ეტლით
სულ სხვა ილია
მოდის
ხვალინდელ წიწამურიდან.

შენ ვენახი ხარ,
ჯერ მოუსთვლელი,
ჩვენი ლხინი და
ჩვენი გოდება
და უკვე ვხედავ,
სულ სხვა რუსთველი
მომავლიდან რომ
გვიახლოვდება.

ქსნის სათავესთან სათქმელი ლექსი

სხვა სევდა აწევს
თლისსა და ერმანს,
თითქოს ამ მთებსაც
ჩაუცვამთ თალხი,
თუკი სამკვიდრო
წარსტაცა მტერმა,
სამშობლოს გარეთ
ვინ იქნევს მახვილს.

ვერც ამგვარ ყოფნის
გავიგე აზრი,
ერთხელ ნაშობი
თუ კვდება ერთხელ,
ყოფნაა,
შენი მიჯნური ნაზი,
მომხდურს როცა ჰბანს
სისხლიან ფეხებს?!

რა სხვა წარსული
გვიდგია უკან, —
შურისგების და
კაცური ბოღმის,
დღეს კი მამულში
გაცვლილ მტრის ლუკმას
რა მადლიერი
იერით ვლოღნით.

დუმს არე...
არცსად ძაღლები ყეფენ,
ჩამოშლილია
ყველა თავხე და
შეცდა კი ვითომ,
დიდგორთან მეფემ
გამოსაქცევი
გზა რომ ჩახერგა.

რა გითხრათ...
ფიქრი შავ ღრუბელს ერთვის
და შლის ბაგეზე
შეყინულ სიცილს.
მე ახლა მხოლოდ
ლექსებს ვწერ შენთვის,
მაგრამ
მე შენთვის სიკვდილიც ვიცი.

გავყურებ სევდით
თლისსა და ერმანს,
მთებს ისევ მძიმე
ახურავთ თალხი
და თუ მამული
წარგტაცა მტერმა,
სხვაგან როგორ სძრავ
მკლავსა და მახვილს?!

ქართლის ვაკეზე

რა გვირილა და რა ია,
ტოროლების ფრთების ტაში,
ქართლის ვაკის დარაია
მაღლა ფრიალებდა ცაში.

გაუძელი, კაცი თუ ხარ,
ამ სასწაულს თვალს ვინ რიდებს,
ნისლი ეხვეოდა მუხრანს,
როგორც ქეთევანის რიდე.

აქ ბალახიც ენას იდგამს,
ფეხქვეშ შრიალებდა ქვიშა,
გზაზე ქარი გადამიდგა,
მაკოცა და გამომიშვა.

უცხომ მარტოდ არ მიგულოს,
იცოდეს, რომ ღმერთი მწყალობს,
სულო, ცაში ახიზნულო,
ცრემლში გახელილო თვალო.

არე, დღეს რომ სიო ბურდავს,
ნაჭრელიანს მოჰგავს წინდას,
საამსოფლოც აქა მსურს და,
საიმსოფლოც აქვე მინდა.

ისევ გვირილა და ია,
ტოროლების ფრთების ტაში,
ქართლის ვაკის დარაია
ღმერთთან მიფრინავდა ცაში.

პირიქითა ხევსურეთის დღიურიდან

არაგვს წაუღია ნახიდრები,
გულის და სახლის კარებს ვის უღებ?!.
არხოტიონივით ავხირდები,
შატილიონივით ვიშუღლებ.

თოვს და გზა ფიფქებმა დამიბარდნეს,
ზვავებთან ბევრჯერ ვარ ნაჭიდები...
მე შენს სიახლოვეს არ ვიდარდებ,
ვითომდა საერთოდ არ მჭირდები.
წლებმა რანაირად არ მთალეს და
ყველა ალაყაფი დამიხურეს,
ცრემლი შეიჩვიეს ამ თვალებმა,
თვალებში ხომ მაინც არ მიყურებ.

ჯავრის ნაჭრელათი დამექარგა
გული, თუმც ძველებურ ამილახვრობს,
ისე როგორ უნდა დამეკარგო,
რომ ვერ მოგნახო და დაგინახო.

ბევრჯერ შეიცვალა ამინდები,
ერდო შემერუჯა ნაცარ-ქარით,
ოღონდ ნუღარსაით გაფრინდები,
ყველგან ის იქნება, რაც აქ არი.

ჩემი შემოდგომის ვარდის ბაღო,
ვიცი, თვალხელშუა გამიქრები,
მხოლოდ მაშინ უნდა გაილაღო,
მე რომ სამზეოზე არ ვიქნები.

თორემ, ვინ და ჩემი შემკავები,
ღამე შურისგების მფარავია...
აეს თვალები და ეს მკლავები
ღალატს ნაჩვევები არ არიან.

არაგვს წაუღია ნახიდრები,
გულის, ან სახლის კარებს ვის უღებ?!.
არხოტიონივით ავხირდები,
შატილიონივით ვიშუღლებ.

ხილვა — ფუძნარი

ცხენდაცხენ გადამავლიე
მთები ნისლგადანაფარი,
გზა-გზა კლდეებზე რჩებოდა
ლურჯაის ძუა-ფაფარი.

არც შენი მეტრფე ვიყავ და
არც ვიყავ შენი წაწალი,
წინ გადაგვიდგა არაგვი,
მამაჩემივით გამწყრალი.

არყევდა მდევრის ყიჟინა
ხშირ ჭალებს არაგვიანთა,
ნეტავ ჩანჩქერი ქუხდა, თუ
დედიძმაჩემის სიათა?

გაწვიმდა....
            აღარც გზა ჩანდა,
არც — კოშკი, არსად ციხე და
ცა დედაჩემებრ ცრემლავდა,
დიდხანს არ გადაიღებდა.

ტყემ ფოთლის კალთა დაგვხურა,
მთვარემ რომ დააირისა,
დეკის დაგვიგო ყვავილი,
თავსასთუმალი — იისა.

გორს გაღმა ქუხდა ხარლაღი,
შუნს რომ უხმობდა ბღავილით,
შენს მკერდზე ამოყვავილდა
ჩემი ქალობის ყვავილი.

ცას აჩნდა ცისკრის ნაკოცნი
ფერშეცვლით გადმომხედავი,
ან მამას რა აჯავრებდა,
ან რად სტიროდა დედაი.

ცხენდაცხენ გადამავლიე
მთები ნისლგადანაფარი,
გზა-გზა კლდეებზე რჩებოდა
ლურჯაის ძუა-ფაფარი.

გახსენება თავფარავანთან

„თავფარავნელი ქაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა“.
ხალხური

მე კოშკი ცრემლის ზღვას მიდგას,
განა წყალს საკალმახოსა,
არც ციურსა ჰგავს სამყოფელს,
არც — კაცთა სამოსახლოსა.
დარდისა მმოსავ პერანგი,
მსგავსიც ვერავინ ნახოსა,
რას მერჩის წუთისოფელი,
რად სურს, ყმად გამიხადოსა.
წყლული, ძლივს დაამებული,
ხელახლა გამიახლოსა,
ქალ-ვაჟთ რომ ემტრო ავსული,
უნდა, ის მამოახლოსა.
მაგრამ ვერ იზამს საწუთრო,
თავის ნებაზედ მლახოსა,
მოვის წითელი პერანგი
კვლავ რომ ზღვამ დაიმარხოსა,
ფრთები დაგხუროს ყორანმა,
შენს მკერდზე გაილაღოსა.
ვუცდი, მზე გადაიწვეროს,
მთვარემაც დაისამხროსა,
კოშკს მალვით შევხსნა კარები,
არავინ გამეძრახოსა.
უმალ წინ შემომეგებო,
ლურჯაიც მოდგეს ახლოსა,
გაფრინდე, გადამიყოლო,
ან მთიულეთს და ან ფხოვსა.
გვემაყრიონონ ყვავილნი,
პირიმზემ ჯვარი გვსახოსა,
ნისლის დართული საკაბე
იფნარზე დაიძახოსა,
სუფრის თავს დაჯდეს ცისკარი,
ლაღი, ლაღ-საინახოსა,
ცეცხლად დაეგზნოს სურვილის,
სწვავდეს თრიმლიან ახოსა,
მზე დაუბრუნდეს უკუღმა,
ვინც შეყრა დაგვიძრახოსა.

ცხოვრების წიგნი

ჯერ ცის ლურჯ თაღებს
შევყურებ თუმცა,
ვატყობ, დრო თითქმის
ველარას მშველის...
ცხოვრების დიდ წიგნს
ვკითხულობ, ვფურცლავ,
მოწვდილს განგების
იდუმალ ხელით.

თიხა ვიყავ და
ვიქცევი თიხად, —
ამგვარ ფიქრს
სევდის ელფერი ახლავს,
სხვას არაფერს გთხოვ,
ოღონდ ის მითხარ,
რომელ გვერდზე ვარ,
უფალო, ახლა?!

სიყვარულისთვის მოსული

ცა — ვარსკვლავებით ორსული,
მთვარემ ფერშეცვლით იდინა,
სიყვარულისთვის მოსული
უსიყვარულოდ მივდივარ.

ქარმა ნისლები მორეკა,
წვიმა ცრემლებად მასმია,
გარნისთან მაინც მოვეკალ,
ან შამქორს, ანდა ბასიანს.

განა ყველა დღე მზეობდა,
ბევრჯერ არც ღამე გათავდა...
აბელი მაინც მრქმეოდა,
ასგზის დახანჯლულს ძმათაგან.

ნეტავ დიდგორი მასიზმრა,
ურდო ნალეწი, ნატევი,
მტერს უმტრობ, მაგრამ რას იზამ
ძმათაგან ნაღალატევი.

დილა მსურს ნამაისარი,
ზეცა — იისფერ ბროლისა,
ზურგში დაკრული ისარი
მოგკლავს უადრეს ყოვლისა.

შევრჩი საწუთროს მორევთან,
არც — შემწე, არცსად — თავდები...
ამქვეყნად შენთვის მოველ და
შენს უნახავად ვთავდები.

კიდეც რომ გითხრა

წლები, ზედ გულზე დარტყმული დამღა,
დღეები მიჯრით — კენტი და ლუწი,
რა ვქნა, უფალო, თუ ისიც აღარ,
ვინც ასე ძლიერ მიყვარდა უწინ.

სად წაუვიდე ანკი ბედს, მდევარს,
სად გადვეხვეწო სუსხიან ავდრებს,
შემინდე, ღმერთო, ხომ აღარც მე ვარ,
უდარდო ბავშვი რომ ვიყავ ადრე.

ვემადლობები ახლა ამ წვიმას,
ცრემლი ხომ არ ჩანს, როდესაც ავდრობს...
დღეს რა უბრალოდ გიყვები იმას,
რასაც ვერაფრით გეტყოდი სხვა დროს.

რაც მტყორცნეს, გულზე არც ერთი ამცდა,
თოვს გვირილათა თეთრი ფანტელი...
ღმერთო, თუნდ წამით მიბოძე განცდა
იმ ძველი ცეცხლის და ჟრუანტელის.

მაგრამ წვიმს, ქარი შავ ნისლებს ბურდავს
და ზეცას მკრთალი სხივი ანათებს...
კიდეც რომ გითხრა, რაც უწინ მსურდა,
აზრი აღარ აქვს უკვე არაფერს.

წლები, ზედ გულზე დარტყმული დამღა,
დღეები მიჯრით — კენტი და ლუწი...
რა ვქნა, უფალო, თუ ისიც აღარ,
ვინც ასე ძლიერ მიყვარდა უწინ.

შემოდგომა ხადის ხეობაში

იქნებ ამ ჭალისპირს შეხვდნენ
მოყმე ინდო და არაბი,
იქნებ აქ ითქვა პირველად
რუსთველის სიბრძნე-არაკი.
წკერეს თავს ციხე დავითის
მტერთა საზაროდ ანაგი,
ციხის წვერს ბრუნავს არწივი,
როგორც ერთგული სარანგი.
გაღმა ჩანს სონჩო დაცლილი, —
წინაპართ ძვალშესალაგი
ჩაშლილა, ჩანაცრებულა,
წარსულის ნაღვაწ-ნამაგი.
შემოდგომაა, ხადის ტყეს
ოქროს ელვრება ბადაგი,
იყრება ნისლის ლაშქარი,
ქისტეთის მხარეს გადადის.
ტალღებს კუპრისფრად მიჰღებავს
მთათა სადარდო მარადი,
შავჯავრის შავი მდინარე
ანკი ვის გულზე არა დის.
მაინც რა მშვენიერია
ჯიხვთ სატრფიალო ალაგი,
შენ რომ ბაგეზე მკოცნიდი,
კაცებრ გმინავდა არაგვი.

* * *

მე დიდი ისტორიის მქონე
პატარა ქვეყნის შვილი ვარ,
ჩემი ციხე-ტაძრები
მავთულებზე ჩამომსხდარ
მერცხლებსა ჰგვანან,
ასე მგონია,
ზედმეტად ხელი რომ ავუქნიო,
გაფრინდებიან.

ყველა ზღაპარი

ხშირ ლერწმიანში
ისმის ქარის ავი სისინი
და მთვარის ნამგლით
ისხიპება ღრუბლის ცურები,
ვერ შეგიყვარე ნესტანივით
ანდა ვისივით,
ვერც წნელით ვღობე
შენი ცხენის ნაფეხურები.

იდგა მწუხრი და
არც ჩემმა ცამ გაიამინდა,
უდაბნოს ხვატი მიამებდა
ბაგეს ვნებიანს,
არა ვყოფილვარ
დედოფალი სემირამიდა,
არც ნატვრის ბაღი
ჩემთვის ვინმეს უშენებია.

შენზე ოცნება
ჭრილობებად დააჩნდა წამებს,
თვალები — ცრემლთა მარგალიტით
გადანაფარი...
შენს მკლავებში რომ
ათას ერთი დაიწყო ღამე,
პირველ ღამესვე დამავიწყდა
ყველა ზღაპარი.

სოხუმჩანი 3

ღამის ორი საათი იყო, როცა გიორგი თსუ-ს საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში მაგიდის სანათურის შუქზე მეორე მსოფლიო ომის ისტორიის კონსპექტს დაჰყურებდა. მეზობელი ოთახიდან ღრიანცელის ხმა მოისმოდა. ეს სემესტრის ბოლო გამოცდა იყო, ბევრი რამე იცვლებოდა მისი კარგად ჩამთავრებით — ამასაც თუ მაღალ ქულაზე ჩააბარებდა, სტიპენდიას აიღებდა და აფხაზეთში ამაყად ჩავიდოდა არდადაგებზე, თან ასლანიც მარტო ეგულებოდა სოხუმში და ეჩქარებოდა სახლში დაბრუნება. ბოლო გამოცდიდან პირდაპირ საზაფხულო არდადაგები ეწყებოდა, რომელსაც აფხაზეთში — სოხუმში — გაატარებდა. ქაოტურად ირეოდა მის გონებაში ფიქრები — მძიმე ტვირთად აწვებოდა, ასლანი რომ დატოვა სოხუმში მარტო. მისი ოთახის მეზობელი კახა მაგრა ხვრინავდა და ესეც გონებას უფანტავდა, თუმცა ყველაზე დიდი სადარდებელი მისთვის მაინც ოხერი საზღვარი იყო...

განცდაა, ენგურის პირას იდგე და ელოდებოდე ცისფერჩაფხუტიანების კეთილ ნებას — მოუნდებათ, სახლში შეგიშვებენ; თუ გადაიფიქრეს, ვერაფერს გააწყობ. გინდა, სტრასბურგში გაასაჩივრე და გინდა — ბრიუსელში, მაგრა კიდიათ სტრასბურგიც და ევროპული ღირებულებებიც. ღრმად სჯერათ, რომ სტრასბურგის, დემოკრატიისა და თავისუფლების ბედი კალაშნიკოვს უკავშირდება. როგორ შეიძლება, ენგურზე გადადიოდე და მხოლოდ შენი თავი გეცოდებოდეს ან გენანებოდეს, როცა შენ გვერდით შეიძლება, რამდენიმე პენსიონერი იდგეს. როდესაც შენ გვერდით შეიძლება, დედა იდგეს პატარა ბავშვით ხელში; როგორ შეიძლება, იმ დედაზე მეტად ის პატარა არ ენანებოდეს გიორგის იმ რეალობისთვის, რაც მთელი მისი ბავშვობა იყო, თუმცა სიამაყე და სოხუმური ცხოვრება არ აძლევდა იმის უფლებას, რომ რამეზე ეწუწუნა.

ამ ფიქრებში იყო, როდესაც ტელეფონის ზარი გაისმა — აფხაზური ნომერი იყო.

მამა ანდრია გიორგისთან სოხუმშიც კი ქართულად საუბრობდა, გულის გადაშლა დიდად არ უყვარდა: მოკლედ, ისედაც გვიანია და მეც არ მაქვს ბევრი დრო, იმედია, კარგად ხარ, იმიტომ, რომ მე არ მაქვს კარგი ამბები — უკვე სამი დღეა, ასლანი დაიჭირეს, იმედი ჰქონდა, გამოძვრებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია მისი ამბავიო. ცოტა რთულადაა საქმე წინა შემთხვევებისგან განსხვავებით — ყველაფერზე, რაც გარეთ დატოვა, წვდომის უფლება მხოლოდ შენ დაგიტოვა; არ ვიცი, ასე რატომ სჯერა, რომ ადგები და მიატოვებ ყველაფერს თბილისში; მოკლედ, მთხოვა, ეს მეთქვა შენთვის, სხვას ვერავის ვენდობი, კეთილი ინებოს და სახლში დაბრუნდესო.

გიორგიმ ვერც კი მოასწრო რამის თქმა, ისე გაითიშა ტელეფონი...

მთელი ღამე ებრძოდა საკუთარ თავს, არც კი უცდია დაძინება. დილით უკვე ენგურის ხიდზე მოდიოდა იმ იმედით, რომ ერთ კვირაში ჩვეულ თბილისურ ცხოვრებას დაუბრუნდებოდა... ენგურზე სიწყნარე იყო. ზამთრის სუსხს ენგურისპირისეული სიცივეც ემატებოდა, უცნაური სიჩუმე და ცივი ჰაერი ირეოდა მხოლოდ. დუმდა და ბრაზობდა ენგური, იქნებ გიორგიზე ჯავრობდა, ასე მორჩილად რომ ელოდა შინ დაბრუნების დასტურს გადამთიელებისგან, იქნებ განრისხებული იყო ჩვენზეც ან უმოქმედობაზე ბრაზობდა მხოლოდ...

ენგურის იქით გალი იწყება. აქ კერძო სექტორი ცოტა განვითარებულია. გადამწვარი სახლების ნაწილიც თავიდან აუშენებიათ მეპატრონეებს. მართლაც რომ გაუტეხელი ხალხი ცხოვრობს გალში; ვინ მოსთვლის, მერამდენედ დაიწყეს ცხოვრება თავიდან, თუმცა მაინც იმედიანად არიან, მაინც არ ეგუებიან და ყველაზე საოცარი, რასაც აღმოაჩენთ (მათ ხომ ამდენი დამცირება, ტკივილი და უბედურება გამოიარეს), უმეტესობასთან აფხაზს აუგად ვერ მოიხსენიებ. დიახ, იქ სადაც ყველაზე მეტი ტყვია-წამალი დაიხარჯა, სადაც ყველაზე მეტი კვამლი აუვიდა ადამიანების ნლობით ნაშენებ სახლებს, იქ სადაც სისხლი დაიღვარა ძმათა, ზუსტად იქ, სადაც სიძულვილს უნდა ემარჯვა, მაინც სიყვარულისკენ იქაჩებიან, მაინც ღირსება და თანადგომა გაუდიათ მხარზე მძიმე ხვედრთან შეგუების ნაცვლად...

გიორგი სოხუმში ჩასვლისთანავე საყვარელ მუჰაჯირების სანაპირო ზოლს გაუყვა, ცარიელი იყო სანაპირო და მთლიანად სოხუმი... ვერც კი წარმოედგინა, ასეთი რთული თუ იქნებოდა სოხუმის ატანა ასლანის არყოფნაში. უიმისოდ არ უნდოდა ყველაზე დემოკრატიული და სამართლიანი სოხუმიც კი, თან ერთი გიჟი ხომ ყველა ქალაქს სჭირდება?! მართლაც სხვანაირი იყო და ასლანის ფილოსოფიური დოგმების გარეშე ვერ გუობდა სოხუმს და ნართას...

ამასობაში ფეხით რამდენიმე წრე შემოარტყა სანაპიროს. მზე ტალღების ზღურბლს აცდენილიყო, თოლიებისა და არც ისე მღელვარე სოხუმური ტალღების ხმა საოცარ ტანდემს ქმნიდა. დიოსკურიის ნაგრევებთან ანკესით თევზაობდა რამდენიმე ადამიანი. გზადაგზა ჯანსაღი ცხოვრების მიმდევრებმაც ჩაიქროლეს აქა-იქ, მარადონას, როგორც ყოველთვის, მუჰაჯირების ქუჩის ბოლოს სანაპიროზე ბოთლით ხელში შორტის ამარას ეძინა... ნართის წინ შეჩერდა, რამდენიმე წუთი იმ ადგილს უყურებდა, სადაც ასლანი ჯდებოდა ხოლმე, უყურებდა და ფიქრობდა, ნეტა რამდენი ხანი იქნებოდა ეს ადგილი ცარიელი... ყველას უკვირდა — ასლან თარბა, რომელსაც ყველაზე მაგარი კაფე ჰქონდა სოხუმში ყველაზე მაგარი ვერანდით, ნართის წინ რატო იჯდა ასე ხშირად, თან იმ ადგილზე, სადაც სხვა არასდროს ჯდებოდა. მამაო სულ ამბობდა — „რო კითხო ამათ, თავისუფლების მოყვარე ბიჭები არიან, აგერ შუა სოხუმში კი ნართის ნაწილი ამ ვაჟბატონს აქვს ოკუპირებული“. ასლანი არასდროს აღიქვამდა მამაოს ამ ნათქვამს სერიოზულად, ასეთ დროს კი მამაო უფრო ირონიულ რეპლიკებსაც იშველიებდა...

ნართის დანახვაზე გიორგის ფიქრები შორეულ წარსულში დაბრუნდნენ — მაშინ 16 წლისანი იყვნენ. ასლანს მოსკოვიდან ახალჩამოსულმა მამამისის თანამებრძოლმა 100 დოლარი აჩუქა. იმდროინდელ სოხუმში ეს არც ისე ცოტა ფული იყო. გიორგი და ასლანი მთელი კვირა ფიქრობდნენ, როგორ დაეხარჯათ თანხა, თან ისე, რომ ორიგინალური ყოფილიყო. დიდი თათბირისა და რამდენიმე ვერსიის განხილვის შემდეგ ბიჭებმა გადავწყვიტეს, ნართის წინა (ერთ-ერთი პრესტიჟული ნაწილი რესტორნის) ნაწილი დაეჯავშნათ. გიორგიმ ასლანს რამდენჯერმე შესთავაზა უფროსკლასელი გოგოების დაპატიჟება, ის კი უარზე იყო — არა, იქ მე და შენ დავსხდებით, როგორც საქმიანი ტიპები, რომლებმაც დიდი ამბები უნდა გადაწყვიტონო. ბაბულია (ასლანის ბებია, მისი ოჯახის ერთადერთი წევრი) მოატყუეს, თითქოს სკოლაში ზეიმი ჰქონდათ და კლასიკური ტანსაცმელი გაამზადებინეს. დილით ისე გამოწკეპილები გაიჩითნენ უბანში, პოლკოვნიკიც (მეზობელი გიჟი კაკო, ყოფილი პოლკოვნიკი) კი გაოცებული იყურებოდა თავისი აივნიდან, უფრო მეტიც, ბიჭებს მიაძახა — დღეს რამე ცუდს ნუ ჩაიდენთ, ზედმეტად კარგად გამოიყურებით და კარგი პირი არ უჩანს ამ ყველაფერსო. ნართაშიც კი ყველა მათ უყურებდა, წინასწარ დაჯავშნილ „ელიტურ“ მაგიდას რომ მიუსხდნენ. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. როცა ცხელ კერძებთან ერთად ღვინო მიართვეს, ასლანმა სიგარას გაუკიდა, ამაზე მაგრა დაეძაბათ სიტუაცია, მათ ხო დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშათ, მოწევა კი მათ ოცნებებს არ უთავსდებოდა. ისე შეიჭრნენ როლებში, რამდენიმეწუთიანი წახემსების მერე ასლანი სადღეგრძლოს თქმას აპირებდა, გიორგი ცდილობდა, ქართულად არ ესაუბრა, მაინც 2008 წელი იყო და ქართულად ლაპარაკი შუა სოხუმში არ იყო დიდად წინდახედული საქციელი. რომ არა ორი ყველაზე გავლენიანი აბორიგენი, ალბათ მშვიდად და გეგმის მიხედვით დამთავრდებოდა ის დღეც. შეიძლება, მართლაც ეთამაშა ორივეს დიდი ფეხბურთი... ორი კაცი გარეთ სიგარას ეწეოდა, ორივე მათგანს იარაღი უჩანდა ისე, აი, ვითომ დამალვა რო უნდათ და შემთხვევით რო გამოუჩნდებათ ხოლმე. ერთი შედარებით მაღალი და შავგრემანი იყო, თავის წინა მხარეს გამეღოტების პერსპექტივა რომ ემჩნეოდა და დიდად ჯანზეც არ იყო. როგორც ბაბულია იტყოდა, უჭმელი ტიპი, მეორე კი უფრო 80-იანი წლების ფლეიბოების მიბაძვას ცდილობდა ჩაცმულობით, თუმცა გარეგნობა და აღნაგობა საერთოდ არ უწყობდა ხელს, მხოლოდ დიდი თავით და არც ისე შესაშური ღიპით თუ გამოირჩეოდა.

ამასობაში ბიჭებთან ადმინისტრატორი მივიდა, მიზეზად გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოიყვანა და ნებისმიერ სხვა ადგილზე გადაჯდომა შესთავაზა, რადგანაც ზემოთხსენებულ ბატონებს თურმე ძალიან ყვარებიათ ეს ადგილი ზუსტად ამ ხედით. ასლანმა ზრდილობიანად აუხსნა, რომ ეს დღეც და ეს ადგილიც მათთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რესტორანი კი — თითქმის ცარიელი. ადმინისტრატორი ამბობდა, რომ ეს ადამიანებიც იმავე აზრზე იყვნენ და პრობლემების თავიდან აცილების მიზნით გადაჯდომას ურჩევდა. უშედეგო ლაპარაკის შემდეგ საუბარში ეს ბატონებიც ჩაერთნენ და შეძლებისდაგვარად ზრდილობიანად განუმარტეს ბიჭებს, რომ ნებისმიერი რამის შეკვეთას შეძლებდნენ და იმასაც, რაც შეუკვეთეს, გადაუხდიდნენ, თუმცა ზედმეტი საუბრის გარეშე ახლავე უნდა ამდგარიყვნენ და პატივი ეცათ მათთვის, სხვა შემთხვევაში, რესტორნიდან კი არა, სოხუმიდანაც დაახვევინებდნენ.

ასლანმა ირონიულად გაიღიმა, სიგარას ისეთი ნაფაზი დაურტყა, კინაღამ ფილტვები გაიხეთქა, მშვიდად, აუღელვებლად და ცინიზმნარევი ღიმილით გადახედა გიორგის — ხო გითხარი, ძმაო, დღეს დიდი ამბები უნდა გადავწყვიტოთ-მეთქი, ეს თქვა და მაგიდა წამში ააყირავა. ყველა ენაზე იგინებოდა. პირველად მაშინ გაიგო გიორგიმ, რომ გრეგმა ბერძნულადაც ასწავლა გინება ასლანს, ალიკამ — სომხურად, აფხაზური და რუსული ისედაც იცოდა, ქართულად კი თავად ასწავლა... იმ დღეს კარგად მოხვდა ორივეს მაიაკში წათრევის მერე, კიდევ კარგი მაგ ახმახებს ბოლოს ვიღაცამ დაურეკა და შეახსენა — მე გითხარით, ერთი-ორი წაარტყით-მეთქი და ნუ მოკლავთ მაგ გატუტუცებულ ბავშვებსო... დახეული ტანსაცმლითა და შელახული სიამაყით მოიარებოდნენ ბიჭები მაიაკის მიყრუებული სანაპირო ზოლიდან. ხმას არცერთი იღებდა, ასლანს ბრაზისგან სისხლით ევსებოდა თვალები, მძიმე დღე იყო, რადგანაც სოხუმურმა „თანასწორმა“ ცხოვრებამ მათაც მიუკაკუნა კარზე...

ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ ასლანი იმ დღის მერე ყოველთვის ნართის ზუსტად იმ ნაწილში ჯდებოდა ხოლმე, საიდანაც ოდესღაც დაახვევინეს. იქ ასლანის გარეშე არავინ იჯდა, ფეხბურთის ლეგენდები რო კარიერის დასრულების მერე საკუთარ ნომრებს ბლოკავენ, მსგავსი თემა იყო. ასლანის ადგილი იყო და მორჩა...

დაჩი ახვლედიანი

მისთვის არასდროს უკითხავს გიორგის, რა მოხდა ან რამ გააქრო მის თვალებში სიძულვილი, აშკარა იყო, რომ პატიებამ არა...

ფიქრებში ჩაძირული გიორგი ბოლოს იმ ეზოს მიადგა, სადაც წლების წინ ბავშვობა დატოვა — ჭიშკრის სახელურთან გაგრაში შეგროვებული ქვების სამაჯური ეკიდა, ოდესღაც ის ასლანთან ერთად ქერათმიანების გულის მოსაგებად გააკეთა გიორგიმ, თუმცა ეგ ისტორია კრახით დასრულდა. ეზოში იორდასალამსაც გაეხარა. ძალიან უყვარდა ასლანს ყვავილები, განსაკუთრებით კი — იორდასალამი...

ადრეც ასე იცოდა — ბიჭები სკოლაში რამეს თუ აურევდნენ, დაბრუნებულზე სახლში მამაო მძიმედ ჩაფიქრებული და მკაცრი მზერით ხვდებოდა ხოლმე. მისი სიმკაცრე მხოლოდ რამდენიმე წუთს გასტანდა. თავიდან დაძაბული დიალოგი იწყებოდა ბიჭებსა და მამაოს შორის, ბოლოს კი ბაბულიას გაწყობილი სადილითა და ტყუილი დაპირებებით სრულდებოდა.

ერთხელ ბაბულიაც კი გაუბრაზდა მამაოს, რადგანაც შენი დიდი რიდი აქვთ, ვალდებული ხარ, უფრო მეტი სიმკაცრე გამოავლინო, ყოველთვის ლმობიერად ექცევი ბიჭებსო. მამაო მშვიდად პასუხობდა ხოლმე — ხომ იცი, როგორ მიყვარს ორივე, ისინი არსაიდან გამოჩდნენ ჩემს ცხოვრებაში, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი უკავიათ, კარგად ვიცნობ ორივეს, ამათი პრობლემა ის არის, რომ სულ ჩხუბობენ სკოლაში, მაგრამ საკუთარი პრობლემის გამო არასდროს. მათ იმაზე მეტი ესმით, ვიდრე ჩვენ გვგონია, ისინი პროტესტს გამოხატავენ სოხუმურ უთანასწორობაზე, მათ სულში აქვთ თავისუფლების წყურვილი, წინააღმდეგობის გრძნობა აქვთ ბავშვობიდან, თუ მათ გვერდით უსამართლობა ხდება, ეს მათ ანადგურებს. რაც უფრო მეტად შევბოჭავთ, მით მეტ შარს მოიტანენ სახლში. უსამართლობის განცდის მოსაშორებლად ყველაზე მარტივი გზა მის წინააღმდეგ ამხედრებაა — ასე არგუმენ-

ტირებულად „აპრავებდა“ მამაო ბიჭების მხარდაჭერას, ბაბულია კი მას ბრალს სდებდა, ორი თავხედი ბავშვის საქციელს ზედმეტად ფილოსოფიურად რომ განიხილავდა. ბაბულია აღარ იყო ცოცხალი, შესაბამისად, მამაოს უნდა ეტვირთა მისი წილი სიბრაზე. უცნაური ის იყო, რომ გიორგის არც კი უთქვამს მამა ანდრიასთვის, საერთოდ დაბრუნდებოდა თუ არა სოხუმში, ის კი აივანზე ისე იჯდა, თითქოს ისიც კი იცოდა ზუსტად, როდის შეაღებდა გიორგი სახლის კარს. როგორ ენატრებოდა გიორგის ყოველივე ეს, თუმცა მისი ჩამოსვლის მიზეზი იმაზე ბევრად დიდი პრობლემა იყო, ვიდრე ბავშვობაში აკიდებული პატარ-პატარა შარები...

ჭიშკარს ცოტა ჟანგი აკიდებოდა, ეზოც ოდნავ მოსათიბი იყო, პალმები — მოუვლელი, რამდენიმე დღეში მიტოვებულ ეზო-კარს დამსგავსებოდა, თითქოს ეგრძნო აქაურობას მარტოობა. ავტოფარეხის კარი ბოქლომით დაეკეტათ, იორდასალამიც კი გახმობის პირას მისულიყო. გიორგი თითქოს სინანულმა შეიპყრო, როგორ დაუშვა, აქაურობა ნასახლარს დამსგავსებოდა?!.

მამაო მხურვალედ გადაეხვია გიორგის. რას გავს აქაურობა, ბაბულია თუ გვხედავს იქიდან, უეჭველი დაგვბრიდავს მე და ასლანსო — ღიმილნარევად წაიბურტყუნა გიორგიმ... მამაო კი საქმეზე გადავიდა — მიხარია, რომ აქ ხარ. ასლანს მორალურადაც სჭირდებოდა შენი აქ ყოფნა. ბაბულიას სიკვდილის მერე ჩვენღა შემოვრჩით. დიდ მოთამაშეებს გადაეკიდა, შესაბამისად, დიდ შარშია. მოკლედ ასლანს არასდროს დავტოვებ მარტო, მაგრამ მისი საქმეები არ მაინტერესებს. მისი ბიზნესი უნდა გადაიბაროო... გიორგი უცებ გაცეცხლდა — რა უნდა გადავიბარო, მამაო?! აქ ქართველს გასაქანს ვინ მომცემს?! მითუმეტეს, ამდენწლიანი თბილისში ცხოვრების მერე შეიძლება სოხუმელად აღარც მთვლიდნენ. თან ასლანს იმდენი მტერი ჰყავს აქ, ალბათ თქვენ არ გეყოლებათ მაგდენი მრევლი. წავიდეს, ერთი მაგისიც!.. მე იმის გამო ჩამოვედი, რომ ბაბულია ამ სახლის უპატრონოდ დატოვებას არ ისურვებდა. ვეცდები, თუ შანსია, გამოვათრიო მანდედან, მაგის ბიზნესი და, მითუმეტეს, მისი ცხოვრების წესი, ეს ის არ არის, რაც ჩემშია... გიორგიმ წონასწორობა დაკარგა — ბრაზობდა, ყვიროდა, ასლანს აგინებდა, ტალღები კი ისე სასიამოვნოდ ხმაურობდნენ, გეგონება, დასცინიანო... მამაო ნელი ნაბიჯებით ჭიშკრისკენ დაიძრა, ის ყველაზე კარგად იცნობდა ორივეს და იცოდა, რაც ხდებოდა გიორგის თავში. წასვლამდე მიაძახა — ისე, ერთი პერიოდი კინაღამ დავიჯერე, რომ თქვენი გზები მართლა გაიყარა...

ნელ-ნელა უბრუნდებოდა გიორგი სოხუმურ არაორდინარულ ცხოვრებას, აქ ან რიტმს უნდა აყვე, ან ვერც მიხვდები ვერასდროს, ალბათ, სად ხარ. გიორგიმ ეს კარგად იცოდა. საღამომდე რესტორნის საქმეებს შემორჩა, საღამოს კი სანაპიროზე გასეირნება გადაწყვიტა. გზად უამრავი ნაცნობი შეხვდა. ყველას სათითაოდ უხსნიდა, რომ ასლანის დაბრუნებამდე დროებით იყო სოხუმში ჩასული, ბოლოს ინსტიქტურად ნართის ვერანდის წინ გაჩერდა. რესტორანი ასეთ დროს ტურისტებით იყო გადაჭედილი. გიორგის ასლანის ადგილი მოხვდა თვალში, ისევ ცარიელი იყო. გადაწყვიტა, თვითონ ეცადა ამ ადგილზე დაჯდომა, ერთგვარი ექსპერიმენტი ჩაეტარებინა. მართალია, სოხუმშიც და ნართაშიც იცნობდნენ, თუმცა ასლანის გარეშე არც კი იყო აქ არასდროს ნამყოფი. ყველაზე დიდი უცნაურობა ის იყო, რომ გიორგის შეჩერება არავის უცდია. ასლანის ადგილზე უპრობლემოდ დაჯდა. ფიქრობდა, ვინმე მივიდოდა, ეტყოდა — ეს ასლანის ადგილია, დაახვიე აქედანო, თუმცა არავინ ჩანდა შენიშვნისმიმცემი. ბოლოს გიორგიმ ხაჭაპური და ერთი ბოთლი აფსნი შეუკვეთა. რესტორნის ორივე სართული ტურისტებით იყო სავსე, ძირითადად, რუსები ირეოდნენ, თითო-ოროლა აზიელსაც შეამჩნევდით, რუსული შანსონი დაბალ ხმაზე იყო ჩართული, სტუმრების ხმაური სიმღერის ხმას ფარავდა, ორივესას კი — ტალღების დგაფუნი... გიორგიმ ღვინო დაისხა და სიგარეტს გაუკიდა. სწორედ ამ დროს დარეკა ტელეფონმა:

— როგორ ხარ, ქართველო.

რამდენიმე წამი სიჩუმე იყო. გიორგი თითქოს ელოდა ასლანის ზარს, ის კი ირონიულად იცინოდა:

— ბედისწერას ვერ გადაუხვალ, ძმაო. თან გახსოვს, ჯერ კიდევ როდის გითხარი, მანდ დიდი ამბები უნდა გადაწყდეს-მეთქი. ბაბულია ხომ გახსოვს, როგორ გვეუბნებოდა — ორივე ძალიან განსხვავდებით ერთმანეთისგან, მაგრამ სოხუმმა ორივე წყეულ მეოცნებეებად გაგზარდათო. ეს ქალაქი ჩვენი ბედნიერებაცაა და წყევლაც. აქ ყოველთვის ქაოსია, თუმცა ჩვენ ხომ სხვანაირად არც შეგვიძლია?! თან ჩვენ ხომ სულ ვოცნებობდით — ყველას ადგილი უნდა იყოს ამ ქალაქში — პოეტებისაც, რევოლუციონერებისაც, მეოცნებეებისაც, ლოთებისაც და ჩემნაირებისაც... სხვა თუ არაფერი, ქაოსი გვაბრუნებს სოხუმში, სოხუმიდან გაქცეულ სოხუმჩანებს...

XVII კოლონია

ბალახის სიმაღლე რეზინის ჩექმებს თითქმის ყელამდე წვდებოდა, ზოგ ადგილებში მუხლამდეც აღწევდა. დილის 7 საათიც არ იყო და მზე აცხუნებდა, ნამი კი ნიკუშას ნელ-ნელა ასველებდა. მისი სახლის სახურავი ოდნავ მოჩანდა უკვე. აღმართის ავლის შემდეგ ხის ძირას მიგდებულ ლოდზე ჩამოჯდა. მეგრულად იგინებოდა. ჯერ კიდევ ადრე იყო, ადრე იყო თუნდაც შეყვარებულთან დასარეკად... ნიკუშას უჩვეულო ფიქრები შემოანვა — რა გაუსაძლისია ხანდახან სამყარო, ჯოჯოხეთურიც კი, თუმცა ამ ჯოჯოხეთშიც იმედს რომ გაპოვნინებს, საკუთარ თავში უკეთესის რწმენას დაგიბრუნებს, თუ გამოჩნდა ვინმე და თუ შეგიყვარდა, მაინც მშვენიერიაო, იტყვი ცხოვრებაზე. ვერავინ მოსთვლის, იმ ნეტარ წამებამდე რამხელა მანძილია და ვერც ერთი შებერტყილი პოეტი აღწერს სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის მანძილს. ერთხელ ნაპოვნი იმედი მიუწვდომელი თუ გახდა შენთვის, მანამდე არსებული ჯოჯოხეთი უფრო აუტანელი და გაუსაძლისი ხდება.

ნიკუშა იჯდა და ფიქრობდა — ნეტა რას მოუტანდა ეს ზარი?! იმედს დააკარგვინებდა, თუ — პირიქით?.. მისი სოფელი ენგურისპირას იყო. რუსული რადარები ქართული ანძების სიგნალს ახშობდნენ და აფხაზეთში ქართული ნომრის სიხშირის მოძებნა ჭირდა. ამიტომაც ამ მთაზე ამოდიოდა შეყვარებულთან დასარეკად, ხანდახან დღეში რამდენჯერმეც ასულა. ყოფილა შემთხვევები, იმედგაცრუებული გაბრუნებულა უკან, მერე კი მთელი დღე ბაბულიასთან ჩხუბობდა ამაზე. ნეტა როდის მორჩება ეს ბიჭი ამ უთავბოლო სიარულს, ოღონდ ეს იღიმოდეს და რას დავეძებო, ჩუმად დასძენდა ბაბულია, მისი გამზრდელი ბებია, როცა შვილიშვილი შინ ბედნიერი ბრუნდებოდა...

რამდენიმე მცდელობის მერე სიხშირე დაიჭირა, თუმცა რამდენჯერაც დარეკა, იმდენჯერვე ავტომოპასუხემ უპასუხა... ანერვიულდა, დაიძაბა, ჯერ მთებს გახედა, ზეცისკენაც აიხედა, მერე ჩექმებსა და ტელეფონს დახედა, ბოლოს კი აუღელვებლად ჩაიდო საწვიმარში მობილური.

გვანცა — ის არ გავს სხვებს, ასე არ მომექცევა... ნუთუ უნდა დაგესრულებინა ყველაფერი? მერე უცებ გაიფიქრა, იქნებ რამე უჭირსო, მაგრამ გაახსენდა, რომ ამას წინათ სოციალურ ქსელებშიც დაბლოკა. სანამ მთიდან ეშვებოდა, უამრავმა აზრმა გაუელვა ნიკუშას, გზად რუსი „მშვიდობისმყოფელები“ შემოხვდნენ ცხენებით. იმდენად მოშინაურებულიყვნენ მის სოფელში, რომ მთელი მთა და ბარი აეთვისებინათ და განა მარტო ნიკუშას სოფელში, ასე იყვნენ გიოს სოფელშიც, გვანცას, ინალისა და საიდას ქალაქებშიც. ყველაფრის კონტროლს ცდილობდნენ, ადამიანების ეზოებშიც შედიოდნენ, თუმცა ისედაც იქ არ იყვნენ?! მთიდან წამოსულ ნიკუშას გზა კი შეუმსუბუქდა, თუმცა ფიქრებდამძიმებული ძალიან ნელა მიდიოდა. რეზო ბაბუც ამჩნევდა მისი ხასიათის ცვლილებას, აღარ იცინოდა და აღარც საუბრობდა ხოლმე — ბევრს, თითქმის შეუსვენებლად, მუშაობდა ეზოში.

რეზო ბაბუას წვიმა დიდად არ უყვარდა. ენგურმა ადიდება იცოდა და ყოველი წვიმისას შიში იპყრობდა, რომ მათი ყანა არ წაელეკა გათავხედებულ და აბობოქრებულ მდინარეს, თუმცა ახლა ენგურის ადიდებაც კი მიავიწყდა და ისიც, წვიმა რომ არ უყვარდა. იქნებ ახლა მაინც დაისვენოს ამ ბიჭმაო, ფიქრობდა 80 წელს მიახლოებული ბაბუა.

ის კი აივანზე იჯდა და ეწეოდა. ნიკუშამ ვერც კი იგრძნო, როგორ მიუახლოვდა ბაბუამისი — წელში ოდნავ მოხრილი და ერთი შეხედვით, სუსტი. მისი ლურჯი თვალები უცნობ ადამიანს მცდარ წარმოდგენასაც კი შეუქმნიდა. ისეთი მკაცრი და უშიშარი გამოხედვა ქონდა, თითქოს უკვე ყველაფერი გამოევლო და ცხოვრება ველარაფრით გააკვირვებდა. იქნებ ასე იყო კიდეც. ასეთი იყო რეზო ბაბუა — გულჩათხრობილი...

ბაბუას არც გაუხედავს ნიკუშასკენ, ისე დაიწყო:

— დავბერდი, შვილო. აქაურობამ უფრო მეტად დამაბერა, თუმცა, ვინ იცის, აქაურობის გარეშე იქნებ ამ სიბერემდეც ვერ მიმეღწია. იმ დაჟანგულ ჭიშკარს გახედე, ამ გახვრეტილ სახურავს ახედე, ან კიდევ იატაკს დახედე, რომელიც არც ისე კარგად გამოიყურება, თუმცა, მერწმუნე, ეს არაა მთავარი. მთავარი ის დიდი ბაზაა, აქედანაც რომ მოჩანს; ის მავთულხლართები, რომელსაც გადიხარ სასწავლებლად მიმავალი; ის გზა, მამაშენის სასაფლაომდე რომ მიდის... თუმცა ყველაზე მთავარი მაინც ისაა, როგორ აღიქვამ ამ ყველაფერს. ეს შენი მემკვიდრეობაა. აქედან წასვლაზე განა არ მიფიქრია, მილიონჯერ განმიზრახავს აქაურობის მიტოვება, მაგრამ, ვაი, რო წასვლა კი არა, გაქცევა დაერქმეოდა ამ ყველაფერს. სწორედ ეს შიში მკლავდა მუდამ. თუ სხვა ცხოვრება არსებობს და იმ სხვა ცხოვრებაში მამაშენს გადავეყარე, ხომ მეტყვის — მე ბრძოლას მასწავლიდი, მამაჩემო, და შენ რაღას გარბოდი ჩვენი სახლიდანო?!. ყველაზე მძიმე უღელი ახლა ჩვენ გვაწევს, თუმცა ნაკითხი ბიჭი მგონიხარ — უნივერსიტეტს ამთავრებ მალე და კი უნდა იყო წესით ნაკითხი, — ღიმილნარევად დასძინა ბაბუამ, — შენ რა გგონია, ესეც ბრძოლა არაა აქ, მავთუხლართებს შიგნით რომ ვზივართ და არა მის გარეთ? ეს კარ-მიდამო შენია, ის ნაწილია შენი ცხოვრების, რომელსაც ვერ მიატოვებ. აი, ადრე ხო ციხე-სიმაგრეები იყო, ასეთივე ციხე-სიმაგრეა აქაურობა შენთვის. არ ვიცი, ვინაა ის გოგო ან საიდანაა, რომლის გამოც წარამარა, დღეში რამდენჯერმე, გადადიხარ და გადმოდიხარ ამ მთას, მაგრამ მაგან უნდა იცოდეს, რომ ამ საგუშაგოს გამაგრება მოგიწევთ. ეს აუცილებლად უნდა უთხრა. იცოდეს, რომ მეჩვიდმეტე კოლონიაში ცხოვრობ, — სიცილით დასძინა რეზო ბაბუამ და წამოდგომა დააპირა.

ნიკუშამ ამდენი ხნის სიჩუმე დაარღვია და ჩაეკითხა.

— კოლონიას კი მიგიხვდი, მარა მეჩვიდმეტე რაღატო?

ახლა უკვე გულიანად გაიცინა რეზო ბაბუმ და უპასუხა:

— მეჩვიდმეტე იმიტომ, რომ ჩვენს სოფელში სულ ჩვიდმეტი ოჯახი ცხოვრობს. ადრე ბევრად მეტნი ვიყავით. ჩვენ ენგურის მოსაზღვრე ბოლო ციხე-სიმაგრეს ვამაგრებთ აფხაზეთში, ამიტომაცაა მეჩვიდმეტე კოლონია.

ნიკუშა ბაბუას გადაეხვია. ცდილობდნენ, საკუთარ ხვედრს ღიმილით შეხვედროდნენ, ასე მარტივად შეეხედათ ყოველდღიური ბრძოლისთვის, უმძიმესი და ურთულესი ყოფისთვის. უცნაურია, მაგრამ იმდენად შეეხორცებინათ ყოველივე, არასდროს დაეწუწუნია რომელიმეს ღმერთთან რამეზე...

ძლიერი წვიმისას სახურავი წყალს აპარებდა ხოლმე და აივნის საყრდენ ბოძს ცრემლებივით ჩამოსდიოდა შემოპარული წვიმის წვეთები. ნიკუშა ჩუმად იჯდა და განაჩენივით ისმენდა ამ ხმას. როგორც კი წვიმამ გადაიღო, ბარს დაავლო ხელი და მანდარინების დასაბარად გავიდა, რამდენიმე ძირს მოუარა — თან ეწეოდა, თან ბარავდა. უყვარდა მიწაზე მუშაობა, რადგანაც ამ დროს ავიწყდებოდა ყოველდღიურობა. უყვარდა მისი ეზოს მანდარინები, თუმცა ოხერი ფიქრები აწვებოდა — მძივებივით ჩამოჰკიდებოდა მრავალი ბარიერი და პრობლემა მასსა და გვანცას შორის. თითქოს რაღაც ექაჩებოდა, უხილავი ძალა აწვებოდა, გულისა და გონების ჭიდილი მიდიოდა. იცოდა, ენგურთან თამაში არ შეიძლებოდა, მას ოკუპანტებიც კი ვერ აკონტროლებდნენ, მდინარე მათაც ვერ დაემორჩილებინათ... ვინ იცის, ენგურს რამდენჯერ გაუგდია უკიდეგანოდ მათი მავთულხლართები; იქნებ „ველიკი დერჟავის“ საზღვრების შემოვლება უნდოდა მაგ მათულხლართებით?!. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ აგუგუნებულა და დაუქადნია უჩვეულო „საზღვრის“ წალეკვა...

ნიკუშა გაბრაზებული იყო ყველა ჰალსტუხიან მორალისტზე, ტელევიზიებიდან და საერთაშორისო ტრიბუნებიდან რომ მოძღვრავდა; მათ მიერ დაწესებულ რეგალიებზე, მოწოდებებსა და აღშფოთება/შეშფოთებებზე; ყანწით შესმულ სამშობლოს სადღეგრძელოზე... ვერც ერთი ვერ ჭრიდა მის პრობლემას, ვერცერთი მათგანი ვერ აჩერებდა მისი ციხე-სიმაგრის კოლონიად ქცევას... გაბრაზებული იყო ენგურზეც, საკუთარ თავზეც... ნუთუ შეიძლება, არ იბრძოლო იმისთვის, რაც მთელი გულით გინდა?! ნუთუ აქ, მანდარინებში, უნდა იჯდე და ფიქრობდე? უმოქმედობა ხომ ყველაზე დიდი სილაჩრეა? წყეული უმოქმედობა და შორიდან ყურება!

— მამენტ, მანდარინების მოვლა სამომავლო საქმეა, მარა ეგ ვაბშე სხვა, სამომავლო, თემაა. ხე კი მაქ ბლომად დარგული და ცოლის მოყვანის დროა, — ღიმილნარევად ჩაილაპარაკა...

რეზო ბაბუამ იცოდა, ნიკუშა მამამისივით ჯიუტი იყო. ისიც გათვითცნობიერებული ქონდა, თუ მისი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო რამეს ეტყოდა, ამით მის წასვლას დააჩქარებდა.

ნიკუშა მეორე სართულზე ბარგს ალაგებდა, რეზო ბაბუა კი ჭიშკართან იდგა და ლოცულობდა. განა პირველად გადიოდა ამ გზას ნიკუშა, განა პირველი იყო ჭიდილი ენგურთან?! რამდენიმე ადამიანიც კი გამოეგლიჯა მდინარისთვის და რამდენჯერმე მის უჩვეულო ფიზიკურ მონაცემებს გამარჯვებაც უზეიმია, თუმცა მაინც ნერვიულობდა რეზო ბაბუა მისი გვარის ერთადერთ გამგრძელებელზე, მას სწორედ ნიკუშას ამდენი გამარჯვება ადარდება...

ნიკუშა კი ბედნიერი იყო, რადგან თავისი ოცნებებისკენ ნელი და ჩუმი ნაბიჯებით მიდიოდა, უმოქმედობას ბედთან ჭიდილი არჩია, სწორედ არაფრის კეთება უქადდა მორალურ განადგურებას, ახლა კი ვეღარაფერი შეაჩერებდა... რეზო ბაბუას გაღიმებული ჩაეხუტა, ნუ გეშინია, მალე დავბრუდები, დაუმთავრებელი საქმეები მაქ თბილისში თან დავფიქრდი შენს ნათქვამზე, ხომ უნდა იცოდეს იმანაც ჩემს ციხე-სიმაგრეზეო. უკან აღარ მოუხედავს, ჩქარი ნაბიჯებით მოუყვებოდა გზას, დარწმუნებული იყო, რომ დღეს აუცილებლად შედგებოდა შეთანხმება მასსა და ენგურს შორის, დღეს არ იყო დუელის დღე, ამისთვის არ ეცალა ნიკუშას...

ღმერთი ალბათ დაკავებული იყო, უფრო მნიშნელოვანი საქმეები ჰქონდა და ნიკუშასთვის არ ეცალა. ცა ჭექდა, ენგური არ ცხრებოდა. ნიკუშაც მარტო მიილტვოდა, მედგრად იქნევდა ხელებს, თარაშივით აპირებდა ენგურის დამარცხებას... რამდენ რამეზე უნდოდა ფიქრი, მაგრამ ვერაფერზე ფიქრობდა, ენგური არ აძლევდა ამის საშუალებას. ვინ იცის, რამდენ ოცნებას, რამდენ ბედნიერ ან ჯოჯოხეთურ წუთებს ევაჭრებოდა მას ენგური, ღმერთს კი ისევ არ ეცალა ნიკუშასთვის... რამდენი საქმე ქონდა, ვერ დანებდებოდა ენგურს, მის უკან ბაბულია იყო, ღმერთს კი ისევ არ ეცალა მისთვის...

ან იქნებ ჩვენი იმედი ქონდა ღმერთს, ისევ ადამიანებს მიენდო, ან იქნებ ხანდახან მარტივი ცნებაა ღმერთი, იქნებ ის თანაგრძნობაა?! იქნებ ის ერთად დგომაა, იქნებ ის მართლაც სიყვარულია, ისეთი არა, ყველა რომ ბედნიერია და ყველას რომ სიამოვნებს; უპირობო სიყვარულია ღმერთი. იქნებ ის ღმერთი იყურებოდა კიდეც და ნიკუშას გადარჩენას ცდილობდა, ჩვენ კი ხელს ვუშლიდით მას?! ენგური კი ისევ არ ცხრებოდა. ნიკუშა ხელებს შლიდა, ამაყად მიაპობდა მდინარეს, მის ოცნებებს კი ასევე ხმაურითა და ბორგვით, განდიდების მანიით შეპყრობილი ენგური ევაჭრებოდა. ღმერთი ისევ არ იყურებოდა, ციხე-სიმაგრეში კი დაჟანგულ ჭიშკართან მრავალი ომგამოვლილი რეზო ბაბუა იდგა და ბოლთას სცემდა — იდგა და განაჩენივით ისმენდა ბობოქარი ენგურის ხმას...

ნიკუშა ისევ მიაპობდა აზვირთებულ მდინარეს, დევკაცივით იქნევდა ხელებს და ერთი წამითაც არ ნანობდა, არ უთმობდა და არ უდებდა ტოლს ენგურს — ღმერთს კი ისევ არ ეცალა მისთვის...

პეიზაჟის ფონზე

ვინ გაპატიებს, წელს იშვე და დადგე წლეულსვე,
ვინ გაპატიებს, რაც შენა გსურს, რომ ის აკეთო.
ვინ გაპატიებს დარდს მწვერვალზე ვერ აღწეულზე,
ვინ გაპატიებს, მანდეთ რად ხარ და არ აქეთო.

უნდა გაგიჟდე უკვე, რაღა დროს სიდინჯეა,
ხედავ ქარებმა ხევში დილის ნისლი შედენეს.
ვინ გაპატიებს, რომ შენა ხარ ჯემალ ინჯია
და გორის ციხის ქონგურიდან ისვრი შედევრებს.

ზურგის ქარი

განვლილმა წლებმა ჭრილობები არ დამიამეს
და არც ლირიკა დამიშვია მძივ-საყურემდე.
ვენდობოდი კი ზოგჯერ ისეთ ადამიანებს,
იოტისოდენ ნდობას რომ არ იმსახურებდნენ.

ლექსი მკარნახობს, რომ მოქცევა მეყო ჭკვიანად,
ლექსია ჩემი სულიერად გამომკვებავი,
ხოლო ქალთაგან გონიერს და ლამაზს კი არა
მას გავაღმერთებ ჯოჯოხეთში გამომყვება ვინც.

რას ჩამაცივდი. ზურგის ქარო, სად მიმაქროლებ,
შემომახიო მკერდზე ლამის ხამი პერანგი.
წყალში იყრება, ქვეყნად რაც მე მადლი ვაგროვე...
ნავში რომ ვიჯდე, მაშინ კი არ დამიბერავდი.

* * *

ნეტავი რითი განარისხეს ცა ჩინელებმა,
რომ დაატეხა თავს ამხელა საშინელება.

ჩინეთს ვინ ჩივის, მთელ მსოფლიოს უჩინ-მაჩინად
გადაუარა ჭირმა, ყველა რომ შეაშინა.

იტალიაში ხალხი მოთქვამს გლოვით ცხარეთი,
ესპანეთს მუსრავს დასაწვავი კოვიდ 19.

ზღვებით და მტრებით, საქართველოვ, გარემოცულო,
კარგი მღვდელივით
შენს ხვალინდელ დღეზე ვლოცულობ.

თოვლის ბაბუა

გულგასახეთქად უნიღბო თუ ნიღბიან მტერთა
ვნატრობ — ენგურთან (სადაცაა პუნქტი გამშვები),
რომ დაზამთრდება, აკეთებდნენ აფხაზთან ერთად
თოვლის ბაბუას მეგრელი და სვანი ბავშვები.

სვანი თავის ქუდს დაახურავს ბაბუას თავზე,
აფხაზი კიდევ შემოახვევს ყაბალახს კოხტად,
დააჭერინებს მას ჩიჩილაკს მეგრელი და სველ
ხელებს ბიჭები გაიშრობენ მეზობელ ქოხთან.

დრო გავა. ხვალ-ზეგ ეს ბიჭები დაკაცდებიან,
აღარც ბაბუა ეყოლებათ, აღარც ბებია.
მაგრამ საერთო ნახელავი სულ ეხსომებათ, —
თოვლის ბაბუა თან გაჰყვებათ მთელი ცხოვრება.

ჟინი ანთარო, ხალხო, წელნო, თვენო, საათნო,
თოვლის ბაბუას გაუფრთხილდით, მზემ არ დაადნოს.

„ვერ დაიჭირავს...“

დამღალა მისმა ქასქასმა,
ეს მერამდენე წელია.
მჭირდება იმის ხაზგასმა,
რომ ალესილი ცელი აქვს.

ჩასაფრებული მედგრად ზის
არა ერთგან და ორგანა.
ნუ ჩათვლით სიკვდილს, ღმერთკაცი
შოთა წერს, ფატა-მორგანად.

არნანებივრებს ბედისგან
მიყვარდა ქალი და ღვინო.
მახსოვხარ, ცრემლო, დედის და
შვილის საფლავზე დაღვრილო.

აფსუს! რომ მთხოვდა თმა შეჭრას,
ქუდი გვერდულად მოგდებას.
სიკვდილი მე თუ არ შემჭამს,
თვითონ შიმშილით მოკვდება.

* * *

კუპეში დავიკავეთ ადგილი.
ჯაზური მუსიკა აუდიოდან
ყურში ჩაგვესმოდა ბათქივით.
სახინკლე ხალხს ვერ აუდიოდა.

მიმტანმა დაიწყო სუფრის გაწყობა,
წინასწარ მოგვართვა ლუდი.
იყო სასიამოვნო განწყობა
და, რაც მთავარია, — ლუდა.

* * *

შუქი რომ ავანთეთ ბეჭითაც,
ჩემთვის დრო იქიდან შეჩერდა.
მებრძოდი არც ისე ბეჯითად...
დარჩი და დარჩები შენ ჩემთან,

სანამ ველ-მინდვრების გვირილა
ცდილობს, რომ სამშობლო გაგვაცნოს,
სანამ მტერს არ გავუგმირივარ
სიტყვებით „ესეც შენ, ძმაკაცო!“

სანამ რძეს დაუშრობს ნამეტანს
ძუძუში არაგვი მყინვარებს,
სანამ ბრმა კომეტა პლანეტა
„სიყვარულს“ არ აგვიყირავებს.

პიკნიკი წარაფზე ძამას ხეობაში

მზე თავისკენ გადახარა დასავლეთმა,
ანგარიში გავასწორეთ დასალევთან.

მოფოფინე ოფოფი რომ წარაფიდან
უფრო ფართო ფერდობისკენ გადაფრინდა,

ჩვენმა მძღოლმაც გაასწორა ორი სარკე
და აიღო გეზი ნელა გორისაკენ,

დაუყვავა გზაში ცოტა საჭემოშლილ
მანქანას და გაგვაღვიძა საჩვენოში.

ვერხვი

ამ მზისქვეშეთში ყველა სულდგმული
თავ-თავის ადგილს ეძებს.
როცა იუდა
გამაიმუნდა,
მაშინ ავიდა ხეზე.

აღსარება

ჯერჯერობით კვლავ ვიცვამ ადვილად
ჩემით წინდას და ჩემით ხელთათმანს.
ჯერ არ მჭირდება ჯოხი, დავდივარ,
ეგ არის ოღონდ, — შემითხელდა თმა.

ზოგჯერ სათვალეს ვახმარებ ლუპას,
პეტიტს არ ვუშვებ — ჟინი ჟინია.
ხანდახან წითელ ღვინოსაც ვყლუპავ, —
მე ხომ ქიტესას შვილიშვილი ვარ.

ყოველი დროის მკითხველო ჩემო,
სიმართლეს გეტყვი მიწის მიყრამდის:
მარად ცოცხალი შენ მრჩები ზემოთ,
ჯვარს მაცვი, მაგრამ მაინც მიყვარდი.

მკაცრი იზოლაცია აღდგომის დროს

დგება ჟამი ესერა
მათ საფლავთა მოხილვის,
ჩვენგან ვინც განესვენა
მოუღლელიც, მოღლილიც.
ვეღარ მივალთ ცოტანიც
და ვერც სანთლებს მივიტანთ
სასოებით მოტანილს
იერუსალიმიდან.

მიხეილ მამფორიას სტუდენტი

ახალი ომი გშიათ ორთავეს,
ინდოეთი ხომ შეატორტმანეთ,

მოკვდები, სანამ არ გადალახავ,
მღელვარე განგას ალბათ ამაღამ.

ხალხს შემოხვდები თმაგიშრიანებს
და სულში ნაზად აგიშრიალებს

ბაღს მამფორიას სემინარიდან
გამოპარული სემირამიდა.



შოთა ზოიძე

* * *

ვიდრემდე ჩემი ზარი დარეკავს,
მწუხრის ზარები ჩემი ცხოვრების,
ჩემს წილ სიხარულს, ცრემლს და ნარ-ეკალს
ნელ-ნელა ვხარჯავ და ვეთხოვები.
ნელ-ნელა ვხარჯავ ბუნების რისხვას,
ბუნების ღალატს, ბუნების ჯილდოს,
და გული სრული სიზუსტით რიცხავს
დროს, თითქოს მასში საათი იდოს.
ვერ შეველიე საკუთარ გრძნობებს,
საკუთარ ფიქრებს, რწმენას და აზრებს,
კი მცნობენ, მაგრამ ვერაფერს გრძნობენ,
რომ ამ ყოფაში დიდხანს ვერ გავძლებ.
ამიტომ სურვილს ფრთებივით ვისხამ,
ფრთებივით ვისხამ ბობოქარ სურვილს,
რომ ავიცილო ბუნების რისხვა
და დავასვენო დაღლილი სული.
ვიღაც მეძახის და მელოდება,
ვიღაც მწუხარე სახის რაინდი,
როგორც ღრეობის შემდეგ გოდება
და ავდრის შემდეგ კარგი ამინდი.
და მიხარია ლოცვაც და წყევლაც,
და მიხარია წყევლაც და ლოცვაც,
შენ დაგიტოვებ უკლებლივ ყველას,
ამ ქვეყნად აღარ ვიქნები როცა.

* * *

ჩემი ცხოვრება გასცდა სამკუთხედს,
თითქოს მეძინა დიდხანს მთვარეზე
და იმის შემდეგ, რაც შენ მაკურთხე,
გამოჩნდა სივრცე და ასპარეზი.
აზრი კეთილი და ხელუხლები
მოგქონდა, როგორც ფერიცვალება,
გიცახცახებდა თეთრი მუხლები,
გიციმციმებდა შავი თვალები.
როცა მოდი და როცა მაკურთხე,
გამომაღვიძე როცა მძინარე,
ჩემი ცხოვრება გასცდა სამკუთხედს
და კალაპოტში ჩადგა მდინარე.
ღამე პირქუში და უკარება
გათენდა, უკვე გაწყდა ხიფათი,
თითქოს გაიღო ბნელში კარები
და შემოიჭრა მზე და სინათლე.
მერე მოფრინდა ლურჯი ფრინველი
და ძველი სახლის ერდოზე გალობს,
შენ რომ შემოდი ჩემში პირველად,
უკანასკნელად და სამუდამოდ.

* * *

ადრე ვიყავი ჩქარი და ფიცხი.
ყველაფერს ვეღარ მოზომავ კაცი.
ასე მიცნობდა, მიცნობდა ვინც კი,
ბოლო დროს გავხდი მშვიდი და მკაცრი.

სახეში მცემდა ქარი და წვიმა,
არავინ იყო მაშველი იმ დროს,
გადამიყოლა ამბებმა წვრილმა
და შემატოვა ცარიელ მინდორს.

გადაჭდობოდა ეკალი ეკალს,
ბალახი — ბალახს, ჭორომი — ჭორომს
(არავინ არ ჩანს, არავინ რეკავს),
არ ავრცელებდა არავინ ჭორებს.

და მოველოდი ნამდვილს და მართალს...
როგორც მშობელი დაკარგულ ბავშვებს,
როგორც გლეხკაცი ქალაქში ფართალს
დაეძებს, ისე ვეძებდი საშველს.

ვკარგავდი, როგორც კარგავენ ნივთებს,
ველოდი, როგორც ელიან სროლას,
ცხოვრება ჩემი ძალიან ფინთი,
მოგავდა ქარის წისქვილთან ბრძოლას.

არ ვუყადრებდი არასდროს ლაჩრებს,
ვხედავდი მათი დიდების შიმშილს,
გავიდა ბევრი და ცოტა დარჩა
და აღარა მაქვს არაფრის შიში.

გავიდა ბევრი და კიდევ გავა
და ისე, როგორც დიდი ხნის წინათ,
მე ახლაც ტიალ მინდორში ვდგავარ
და სახეს ვუშვერ ქარსა და წვიმას.

* * *

ეს ხომ შენა ხარ, მე ვიგრძენ უმალ,
შენ კი არ ჩანხარ, შორსა ხარ ჯერაც,
გადაივიწყა ეს წყენა გულმა,
ისე გენდობი და ისე მჯერა.
ჩემს სიმარტოვეს თოვლში გადაყრი,
მალე შემოხვალ ლურჯი წიგნებით,
მალე გაგიარს ეს სიმაყე
და სამუდამოდ ერთად ვიქნებით.
სულსა და გულში ჩაგვიხუტებენ
ატმები, ჩვენი ჯერიც მიდგება,
არაფრის გამო გაგებუტები,
არაფრის გამო შეგირიგდები.
კვლავ გავახუნებთ კინოს ბილეთებს,
ნატვრაც იქნება, დარდიც ულევი,
გაგვიღვიძებენ ახალ იმედებს
შემობრძანება გაზაფხულების.
სულ სხვა იქნება ცხოვრება მაშინ,
მერე და მერე, კიდევ და კიდევ,
დავემსგავსებით ხანდახან ბავშვებს,
დავემსგავსებით თანდათან დიდებს.
შენს სახლს და ქუჩას იმგვარად შვენი,
ყველა მოწყენას ერთად აქარვებ,
რომ შეშურდებათ ხანდახან შენი
შენს მტრებს — ყველაზე ლამაზ დაქალებს.
და გაიელვებს დეკოლტე მკერდი,
მოსვენებას რომ მართმევს და მპარავს,
ვიცი, რომ მისმენს მაღალი ღმერთი
და მისი დიდი ნათელი მფარავს.

* * *

ჩემი სტუმარი იყავი გუშინ,
მეგონე უფრო ფრთხილი და სადა,
გუმანს, რომელიც ჩაგედო გულში,
ვგრძნობდი კი არა, ვხედავდი ცხადად.
მეგონე ადრე უფრო ძლიერი,
აღმოჩნდი უფრო ნაზი და სუსტი,
შენი თვალები, ხმა და იერი
მეუბნებოდნენ ყველაფერს ზუსტად.
ჩვენს მყუდროებას არღვევდა ღამე,
ღამეს არბევდა თებერვლის ქარი,
და მერე, როცა გამოკრთა ხანი,
ჩემს სიმარტოვეს გაუღე კარი.
მე თუმცა ვგრძნობდი მხურვალე ალერსს,
სხვა იყო ჩემი ფიქრი და მრევლი
და ჭორიკანა მეზობლის ქალებს
სალაპარაკო გაუჩნდათ ბევრი.
ღამე სუფევდა ბნელი და ცივი
(გადავივიწყე ძველი რომანი),
ჩემგან მიგქონდა იმედის სხივი,
გაურკვეველი და ბუნდოვანი,
რომელიც არსად აღარ გაგიშვებს,
თითქოს გარედან კარი ჩარაზეს
და ჭორებს, როგორც ფერად აფიშებს,
ქარი გააკრავს ფართო შარაზე.

* * *

სახლში მღეროდა ლამაზი ქალი
და ჩერდებოდა ხალხი კარებთან,
ცისკენ აეპყრო ორივე თვალი
და მკერდზე ნიავს არ იკარებდა.
ქალი კი არა, მღეროდა ფრესკა
და კანკალებდა სამოთხის ვაშლი,
მე ადრე სადღაც მსმენია ეს ხმა,
გამორჩეული მილიონ ხმაში.
ახლა კი აქ ვარ და ცხადად მესმის,
როგორც ჰიმნი და როგორც საარი,
ქალი კი არა, ხმა არი ფრესკის,
ფრესკა კი არა, ქალის ხმა არი,
სწორედ ის არი, ეს ხმა მისია,
მისი მკერდი და მკერდის ფიქალი
და მე ჯერ კიდევ ვერ ამიხსნია,
რად გამახსენდა ახლა ის ქალი?!

* * *

ანთია, რასაც ნატრობ და ელი,
რის მოლოდინიც გტანჯავს და გთუთქავს,
ყელზე მომხვიე სათუთი ხელი,
გულზე მომფინე სათუთი სუნთქვა.
გულში ჩამიკარ გიტარასავით,
რომ ვიგრძნო შენი მკერდის ნიავი,
მერე ჩიტების ენა მასწავლე,
მეჭიკჭიკე და მელოლიავე.
დარეკე ჩემი დუმილის ზარი,
აავსე ჩემი სურვილის სურა,
და ბოლოს, ჩემი სამარის კარი
ცხელი ცრემლებით ჩარაზე სულაც.

* * *

არ მაქვს უფლება, ლექსში ვახსენო
შენი სახელი და შენი გვარი,
ეჭვს ვერ აყვება დღეს შენი ქმარი,
მე შენთვის სხვა ვარ, ახლა ასე რომ,
არ მაქვს უფლება გულის წადილი
სიტყვას გავანდო და ხალხს მოვფინო,
ქვეყნად იარო უკმაყოფილო,
არა, არ არის თურმე ადვილი.
დილით მნათობი ამოდის თუკი,
უღრუბლო ცაზე ჩიტი თუ გალობს,
მაგ შენი დიდი თვალების გამო,
მაგ შენი დიდი თვალების შუქით.
ცა ძირს ჩამოაქვთ შხაპუნა წვიმებს,
ჩემს სულში იწვის ივლისის ღამე,
დარეკე, კვლავაც მითხარი რამე,
მითხარი რამე და გაიბრწყინე.
დარეკე, თუნდაც ნურაფერს მეტყვი,
დარეკე, თუნდაც ნურაფერს მკითხავ,
გამიხანგრძლივებს სიცოცხლეს დიდხანს
ეგ შენი სუნთქვა, თბილი და უტყვი.
ახლა, ეს ლექსი დავწერე თუკი,
თუ სულში ოქროს ბულბული გალობს,
შენი ლამაზი თვალების გამო,
შენი ლამაზი თვალების შუქით.

* * *

მე შენზე ვდარდობ ისევ და ისევ,
ისევ და ისევ ოცნებებს მისევ
და წეროსავით იგრძელებს კისერს
წვიმა და მისი ხმაური მისმენს.
ისევ და ისევ მივყვები ბილიკს,
მივყვები ბილიკს, დავეძებ საშველს,
კვლავ მოვა წვიმა ხშირი და თბილი
ქვიშაზე ყველა ნაკვალევს წაშლის.
მე კი, მე ისევ ვიგონებ წარსულს,
მე ისევ მივსდევ მომავალს ჯერაც,
მე მის გარეშე ცხოვრება არ მსურს,
რაც მიხარია, მიყვარს და მჯერა.
არ ველოდები ბიბლიურ ასაკს,
მეყოფა, რისიც გავხდები ღირსი
და სიცოცხლეში ვეკუთვნი რასაც,
სიკვდილის მერეც ვიქნები მისი.

→

* * *

ფანჯრიდან ვხედავ სახლებს და ფანჯრებს,
ხოლო ფანჯრებში — სხვა და სხვა პროფილს,
უცნაურია ცხოვრება ხანჯერ,
ბევრი გწყურია და ცოტა გყოფნის.
ცხოვრება ბეწვის ხიდია ზოგჯერ,
მასაც აქვს გული, რომელიც უცემს,
ასე მგონია, გააღებ ფანჯრებს,
და დაიძახებ ჩემს სახელს უცებ.
შორეული და უსიტყვო მზერა
სამკაულივით გშვენის და გამხელს,
აქ კი მე აზრზე არა ვარ ჯერაც,
როდის გავამხელ შენს ლამაზ სახელს.
შენ მარტოობაც გშვენის და გართობს
და თავს არიდებ ყოველგვარ წვრილმანს,
გთხოვ, გამოაღო ფანჯარა ფართოდ,
ერთად ვუყუროთ ბათუმის წვიმას.
ერთად ვუსმინოთ მუსიკას წვიმის,
თითქოს ფანჯრები მოვიდნენ ახლოს,
როცა ღამეა და ქარი წივის,
მაშინ შენ ფერად სიზმრებში სახლობ.
სიზმრებში ხედავ ლურჯთვალა იებს,
რომლებიც შვენის შენს ლამაზ საბანს,
ვიცი, შემინდობ და მაპატიებ
ამ სიზმრისა და სიცხადის ამბავს.
ვიცი, შემინდობ და მაპატიებ,
როგორც მლოცველი შეუნდობს მლოცველს,
რომ შენს საბანზე ვითვლიდე იებს
და გიგზავნიდე შორეულ კოცნებს.

* * *

სხვა თვალებით და სხვა გულით ვუმზერ
ქართულ კილოს და ქართულ კილოკავს,
მომდგარა მტერი და ხელისგულზე
საძმოდ გამოწვდილ მარილს მილოკავს.
მე აქ ვიწყები, აქ, ამ ეზოდან,
მე ამ მინდვრების მკვიდრი ვიყავი,
მე აქ მეზობლად მყავდა ეზოპე
და ამიტომ ვარ მოუსყიდავი.
ამიტომ ერთი ფიქრი მაწვალებს,
მინდა, რომ უფრო კარგად ვიცნობდე
მოძმეს, რომელმაც მტერში გამცვალა,
და მტერს, რომელიც მოძმეს მიწოდებს.

* * *

მოედინება ჭოროხი თავქვე,
ხეობისა და ხეების ჩრდილში.
შენს აქ შემოსვლას მე სიზმარს ვარქმევ,
რომელსაც ახლავს გრძნეული შიში.
მე მახსოვს, შენ რომ მიღებდი კარებს,
შავი ვუალი გფარავდა სახეს,
განგებამ განგებ გარგუნათ ქალებს —
თვითონვე იგებთ საკუთარ მახეს.
მე ვიმეორებ შენს ლამაზ სახელს,
რომელიც ასე მიყვარს და მომწონს,
სხვა რომ არ იყოს, თვალები ამხელს
ვნებებისა და გრძნობების კოცონს.
ამჯერად ასე აეწყო საქმე,
ვიღაცა განგებ მანჯღრევს და მამღვრევს,
მოედინება ჭოროხი თავქვე
და უერთდება შავი ზღვის ტალღებს.

* * *

ჩემი სიკვდილი შენ რას გიშველის,
ჩემი სიცოცხლე შენ რას მოგიტანს,
მივერეკები ჯოგს ფეხშიშველი,
რომ შენ მოგგვარო ერთი ჯოგიდან.
მომაჭიხვინებს ღამე ვერაგი
და თავგანწირვა ისე დიდია,
რომ სისხლიანი ჩემი პერანგი
ავგაროზივით ხეზე ჰკიდია.

* * *

მოგონებების უხმო მდინარეს
მიქონდა ჩემი მსუბუქი ფიქრი,
და გავიღვიძე უცებ მძინარემ,
ურარტუს ძველი ქვაბების იქით.
რწმენისთვის ახლა ისიც მეყოფა,
რადგანაც ღმერთი სარწმუნოდ ვაქე
და ვიგრძენ ჩემში ორი ეპოქა —
ქრისტეს შობამდე და ქრისტეს აქეთ.
და რადგან ერთხელ ვიწამე ღმერთი,
და სამუდამოდ ვიწამე დედა...
სამაგიეროდ მომიკვდა ერთი —
სიკვდილის შიში და მისი ელდა.

* * *

თოვლი მოვიდა, ლამაზი თოვლი,
საზმარში ნახულ ქალივით ნაზი,
როგორც პირველად შეხვედრის თრთოლვა,
და მერე... რასაც არა აქვს აზრი.

ახალი თოვლი და ძველი ვალი
მოედო ამ ჩვენს მხურვალე გრძნობებს,
სულ მალე გაჩნდა პირველი კვალი,
რომელსაც უმალ ჩიტები ცნობენ.

თოვლი მოვიდა თბილი და ძვირი,
პირველ თოვლს პირველ სიყვარულს ვარქმევ,
სახლში პატარებს გაუტყდათ ძილი,
მონადირეებს გაუჩნდათ საქმე.

თეთრად დათოვა ღობე და ყორე,
ყორე და შუკა, შუკა და ფაცხა,
მე პირველ თოვლზე გითხარი თორემ,
თოვლი რაც არის, კი იცის კაცმა.

თოვლი მოვიდა, ლამაზი თოვლი,
შენი მკერდივით თეთრი და სავსე,
შენი ფაქიზი სუნთქვით და თრთოლვით
დილამდე უნდა ითოვოს ასე.

თოვლი და თოვლი, გუნდა და გუნდა,
ზოგჯერ გუნდასაც უნდა დათმობა,
და გულსაც შენი გათბობა უნდა
მაგ შენი თბილი თოვლით გათბობა.

რომელსაც ასე ვნატრობ და ვეტრფი,
ციმციმებს თოვლი და თოვლის სხივი,
სიზმარში ნახულ ქალივით თეთრი,
სიზმარში ნახულ ქალივით ცივი.

* * *

შენ მუდამ გულის ჯიბეში გედო
ძველი, მრგვალი და პატარა სარკე
და იმ სარკეში იმედი გედო,
რომელსაც დიდხანს ზოგავდი ცალკე.

მოულოდნელად აგებნა გზები,
მოულოდნელად დატოვე სახლი,
და ღრუბლებივით მიჰყავდი ზევით
შორეულსა და იდუმალ ძახილს,

რომელიც იყო ცივი და მკაცრი,
ზომაზე მეტად მკაცრი და სანდო
და იმ ხმას მოჰყვა ლამაზი კაცი
და შენს თაროზე ყვავილი დადო.

ეს ყველაფერი ხდებოდა დღისით
და ეძლეოდი ოცნებას ღამით,
შენ კმაყოფილი იყავი მისით,
უკმაყოფილო — ათასი რამით.

და ამ ლამაზი ოცნების პატრონს,
შენთან მოჰქონდა მზე და სიკეთე,
ცოტა ხნით მაინც დამტოვე მარტო,
რომ ეს სიზმარი არ დამიფეთო.

* * *

მე ბედნიერი ვიყავი შენით,
მე ბედნიერი ვიყავი მაშინ,
გალაღებული ჩიტების ფრენით,
შენი პოეტი და შენი ბავშვი.

შენ იყავ ჩემი ოცნების სახლი,
ნათელი, როგორც არმაზის დილა,
ღრუბლებთან ახლოს და მზესთან ახლოს
და ცასთან ახლოს მეძინა ტკბილად.

მე არ ვიცოდი, რა იყო თოვლი,
რა იყო თოვლი, თოვლი და წვიმა,
და იყავ ნათლისმხილველი ყოვლად,
მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინათ.

და მეც არ ვიცი, რად ვეწირები
ჩემს არყოფნაში მოსულ სიცივეს,
ვერც ის თოვლი და ვერც ის წვიმები
ვერა და ვერა, ვერ მოვიცილე.

და ისევ ჩუმი რიდით და თრთოლვით,
შენს მაღალ მხრებზე დნება და ბრწყინავს,
დიდი ხნის წინათ მოსული თოვლი,
დიდი ხნის წინათ მოსული წვიმა.



სალომე კაპანაძე

ომსა და მშვიდობაზე

ვილაპარაკოთ! — ეს მოწოდება იმ წიგნის ყდაზეა ამოტვიფრული, 33 ამბავს რომ გვიამბობს აფხაზეთზე. წლების განმავლობაში ფიქრებში გამოტანჯულმა დიალოგის სურვილმა და მნიშვნელობამ მწერლობაში მოიყარა თავი. შემოქმედთა განზრახვა, როგორც ყოველთვის, ლაკმუსის ქაღალდია იმისა, რა ხდება ჩვენს სულებში. ეს მოწოდება მკრებელობითი ცნებაა — მშვიდობის იდეა შეუცვლელია და ამის გასააზრებლად ჩვენ უკვე გავიარეთ გოლგოთის გზა, ვნახეთ ომი — კაცობრიობის ყველაზე ცუდი გამოცდილება. ომი, რომელიც ბისმარკისა არ იყოს, „ხალხის სიბრძნით უნდა დაიძლიოს“. ხალხის სიბრძნე კულტურაში პროექცირდება — აქ გადის ჩვენი ჰუმანიზაციის ნიშნული და მას შეუძლია, განაღმოს სიძულვილით დანაღმული ველი.

წიგნის იდეისა და კონცეფციის ავტორი — ირაკლი შამათავა — 33 წლისაა. იგი იმ ბავშვთაგანია, „ერთ დღეში რომ გაზარდა ომმა“, თავისი „შინ“ ენგურის ხიდზე, გამშვები პუნქტის მიღმა, რომ დატოვა და ალბათ სიმბოლურია, რომ ამ მრავალმნიშვნელოვან გზავნილს სწორედ „ქრისტეს ასაკში“ აკეთებს. უფრო ადრე ირაკლი შამათავა თავისი წიგნით — „გამშვებ პუნქტით“ — მოგვაწვდის სარწმუნო არგუმენტს ამ მისიის მზაობისთვის და პროექტის დასრულების შემდეგ იმედიანად იტყვის: „33 წლის მანძილზე ამაზე კარგი საქმე ალბათ არც გამიკეთებია! ამ წიგნით, უპირველესად, დავიბრუნებთ ერთმანეთს, უარს ვიტყვით ხიდჩატეხილობაზე და წყენაზე. მჭირდება იმის რწმენა, რომ საერთო ეროვნულ საქმეს ვაკეთებთ.“ საქმე უდავოდ ეროვნულია და იგი არა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ, არამედ სულიერ აღდგენაზე გადის. ამ პროექტის მონაწილეებმაც და ავტორებმაც ზუსტად იციან ამ მაორგანიზებელი დებულების ფასი. ამ შეგნების დემონსტრირების მასტერკლასია წიგნის რედაქტორების — ინა არჩუაშვილისა და ირაკლი შამათავას, პროექტის კონსულტანტის — ირმა ბერიძის, მხატვარ-ილუსტრატორის — მამუკა ტყეშელაშვილის, დიზაინერის — თამაზ ჩხაიძის შრომა. წიგნმა თავისი სტრუქტურით, დიზაინით, მხატვრობით, მთავარი გზავნილის აღსაქმელად უაღრესად კომფორტული გარემო შექმნა. იდეალური, სააზროვნო სივრცის ხორცშესხმისთვის გამომცემლობა „ინტელექტმა“ იმ ჩვეული ხელწერით იზრუნა, რომელიც ამ გუნდს ზოგადად ახასიათებს — არამხოლოდ კომერციული „გზნებით“, ეროვნული კულტურისა და ცნობიერების სასარგებლოდ მოეკიდოს საქმეს.

ასე მოიყარა წიგნში თავი არაერთმა ცნობილმა მწერალმა და ჩემთვის ბევრმა საინტერესო „აღმოჩენამ“. გალაკტიონის საიდუმლო კითხვა — „საქართველოში?“ და ლომურ წვერზე ხელის მოსმა, მე ყოველთვის ასე მესმოდა: ქართული მწერლობა არის ნიჭიერთა სავანე და ჩვენი კულტურული სივრცის უპირობო ლიდერი. თანაც, მას ყველა ეპოქაში მოეპოვება რესურსი არამხოლოდ ნაციონალური კულტურის სასარგებლოდ, არამედ მსოფლიო განაცხადისთვისაც.

90-იან წლებში, როცა ჩვენი ნაციონალური ყოფა მესიანიზმის, გამორჩეულობის იდეით იყო შთაგონებული, ეროვნული ენერგიის ბევრი გამოვლინება უცნაურად დაემთხვა გარე მტრის სცენარსა და სურვილებს. ენგურის ხიდს მიღმა დარჩა ის საქართველო, რომლის გადარჩენის მისია დღეს ჩვენ — ენგურსგამოღმა დარჩენილებს გვეკუთვნის და ამის გათავისების აუცილებლობა დამატებით განსჯას არ საჭიროებს.

პროექტის იდეაში წარსულის გადასინჯვის გულწრფელი სურვილი დევს, რადგან ამის გარეშე საუბარი ვერ შედგება. ეს შეგნება არის თვითგადარჩენის უნიკალური კოდი, რომელმაც ამ პროცესში სერიოზული როლი უნდა ითამაშოს. პროექტის მონაწილე ყველა მწერალი „ეზოთერული“ ცოდნის მფლობელია, რომელმაც ომში „გამარჯვების“ კონტექსტი და ეიფორია რეალური მნიშვნელობით უნდა დატვირთოს — ამ ომში გამარჯვებული არავინ არის და სხვა, პირიქითა, მოცემულობაშიც არავინ იქნებოდა. ამდენად, ამ წიგნში თავმოყრილი ყველა ნარატივი ომსა და მშვიდობაზე სანდო, რაციონალური არგუმენტია დიალოგის მნიშვნელობის გასააზრებლად. პოსტკონფლიქტურ პერიოდში აბსოლუტურ შედეგიანობაზე გათვლილი, უნივერსალური ფორმულა არ არსებობს, მაგრამ დიალოგის აღდგენის არაპოლიტიკური ასპექტები კულტურაში ინახება და სწორედ მისი მნიშვნელობის პრეზენტაციაა წიგნი, რომელშიც: ნაირა გელაშვილი, გურამ ოდიშარია, ირაკლი სამსონაძე, ვახტანგ კომახიძე, თამრი ფხაკაძე, ბექა ქურხული, ნინო გუგეშაშვილი, დათო ქარდავა, ირაკლი კაკაბაძე, კობა ცხაკაია, ირაკლი ლომოური, ნინო სადღობელაშვილი, მიხო მოსულიშვილი, ილია ჭანტურია, მანანა მენაბდე, გელა ჩქვანავა, დათო ტურაშვილი, კოტე ჯანდიერი, მარინა ელბაქიძე, რეზო თაბუკაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, შორენა ლებანიძე, ბესო პაპასქუა, ნანა აკობიძე, ლადო კილასონია, მანანა დუმბაძე, ანდრო ბუაჩიძე, მარიანა ნანობაშვილი, ბესო ხვედელიძე, თეა თოფურია, ირმა მალაციძე, ბესო სოლომანაშვილი და მაკა მიქელაძე გაერთიანდნენ. ისინი ჰყვებიან ომზე, რათა მშვიდობა დაიბრუნონ.

„რაც უფრო მცირერიცხოვანია, მით უფრო მძიმე ჯვარი ყოფილა ამ ხალხის შვილად ყოფნა“ — ეს ფრაზა ნაირა გელაშვილის 1989 წელს დაწერილი რომანიდანაა „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“. წიგნში შეტანილი ფრაგმენტი ასეა დასათაურებული — „გუნდა აკაბა“. მემატიანის სიზუსტითა და წინასწარგრძნობით შექმნილ ამ მხატვრული ტექსტის მნიშვნელობა დიდია და უპირობოდ ადასტურებს, თუ რატომ უნდა შეინარჩუნოს მწერლობამ თვითგანსჯის ვალდებულება. ნაირა გელაშვილმა და გურამ ოდიშარიამ პირველებმა გაბედეს, აფხაზეთის ომამდე და ომის შემდგომ ტკივილითა და მრისხანებით დანაღმულ სოციუმს შეახსენეს სულიერი კათარზისის გავლის აუცილებლობაზე. მაშინ, როცა ჯერ კიდევ მაღალი იყო შურისძიების მუხტი და ნემეზიდას მახვილი ეკიდა კონფლიქტით, დევნილობის ტკივილით დაზაფრულ ქვეყანას გურამ ოდიშარიას და ნაირა გელაშვილის მშვიდობის იდეის მსოფლმხედველობრივ სტრუქტურაზე აგებულმა მხატვრული ტექსტებმა მყარად განსაზღვრეს მათი შემოქმედების არქიტექტონიკა. ეს იყო კულტურის მაორგანიზებელი ფუნქციისა და ეროვნული სულიერი ორიენტირების კარგი სინთეზი. „იქნებ, ომი პარადია, ადამიანის ყველაზე უსაშინლესი თვისებებისა და ჯოჯოხეთური სურვილების პარადი და ჩვენ კი ამ ბნელი ზეიმის მონაწილეები ვართ“ (გურამ ოდიშარია — „ძმისშვილი“). ეს იყო იღბლიანი დასაწყისი მორღვეული კავშირების აღსადგენად. მალე მას კვალში ახალგაზრდებიც ჩაუდგნენ. ეს საკრალური აქტი ამ წიგნის 33 ამბავში განსხეულდა, ახალმა თაობამ ომამდელ, ომისდროინდელ და პოსტკონფლიქტურ პერიოდს მხატვრულ ქსოვილი ისე მოარგო, რომ ნამუსიანად გადაიაზრა იმ კონფლიქტის ტრაგიზმი და ომის დისკურსი მშვიდობის ძიების ინსტრუმენტად აქცია.

ყველა ავტორმა იცის იმის ფასი, რასაც მოგვითხრობს. ომის ყოველი ანაბეჭდი, მეხსიერებაში შენახული ყოველი კადრი კათარზისის ფუნქციას ასრულებს, რათა ადამიანებმა არასოდეს განიზრახონ მიბრუნება იქ, „სადაც ბედისწერა თავის ულმობელ პარტიას გვეთამაშება, ყველაზე მუხთალსა და საზარელს, დღემდე ვერ ვხვდები, რა კანონები აქვს ომს და რატომ იკვებება მისი ბნელი, გაუმაძღარი სხეული უმწეო, უდანაშაულო ადამიანების სისხლით“ (თეონა დოლენჯაშვილი — „გზაზე“).

ყველა მოთხრობა რეალურ ამბავზე დგას — იგი უშუალოდ განცდილი, ნანახია და მხატვრული მეტამორფოზები მხოლოდ ნამდვილობას ეყრდნობა. ნამდვილია ომისდროინდელი და მისი შემდგომი ყველა შეგრძნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ცოდვა-მადლის ამ უზარმაზარ პანოში გარკვევით იკითხება „ადამიანად“ დარჩენის სურვილი. ეს არის ღია დუელი ძალის ტრფიალსა და მშვიდობის სიყვარულს შორის. „თურმე შენც გჭირდება ვიღაც... და სანამ ამას აღმოაჩენდე, გინდა, მოსპო ყველა, ვინც შენთვის შეიძლება, გახდეს ის ვიღაც... რადგან თუ გახდა, მაშინ შენს ომს საკუთარ, პირად, ომს ვეღარ გაგრძელებ... სიძულვილი არ გეყოფა“ (ირაკლი ლომოური — „მიველ, ვნახე“). როცა მწერალი დადის „ყუმბარებით გადათხრილ ტრასაზე“ და სისხლით გაჟღენთილ სასტიკ რეალობაში უცნაური ძალისხმევით დაეძებს ადამიანთა დაახლოვების მიზეზს, ცხადია, იძებნება ანალოგია სახარებასთან, როგორც ამას მიხო მოსულიშვილი აკეთებს თავის მოთხრობაში „არღარა ეყივლოს ქათამსა“. სახარება ჩვენი სიცოცხლის თანამგზავრია, მაგრამ არიან ადამიანები — მისი ცოცხალი სახე. სიკეთისა და ბოროტების განწვალების ჟამს ისინი ქმნიან „სიკეთის“ მიწიერ მეტაფორას. განსაკუთრებით მაშინ, „როცა ლულებიდან სიკვდილი იმზირება“. თამრი ფხაკაძის გმირი მოთხრობიდან „ჯიმი... ჩემი ჯიმშერა“ სიკვდილთან გამარჯვებულია, რადგან იმ ავტომატების კაკანში, იმ ჰაუბიცების გრიალში ჩიტის ჭიკჭიკს გაიგონებდა... „იმ კვამლში და დენთის ხრჩოლში, იმ ცეცხლში და გეენიაში მზის ჩასვლას დაინახავდა ზღვაში“.

ზოგადად, მწერლობაში სიახლე არ არის, როცა ომს თავის ესთეტიკას დაუძებნიან. დოსტოევსკისთან, მიგელ დე უნამუნოსთან, ბერდიაევთან, გრიგოლ რობაქიძესთან და სხვებთანაც შევხვდებით რეფლექსიას მის ესთეტიკაზე, მაგრამ 21-ე საუკუნის მწერლობა მაინც თავის შტრიხს შემატებს, თავის ხელწერას დაატყობს. ირონია და გროტესკი უხვად შეერევა თანამედროვე ლიტერატურულ ოპუსებს, თუმცა პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ირონია „მაკორექტირებელი ხერხია“ (ოსკარ უაილდი) და არავის დაცინვას არ ისახავს მიზნად. ასეა 33 ამბავშიც, ირონია აქაც ხერხია, რათა აღწერო ომი, როგორც ადამიანის მანკიერი შესაძლებლობების ასპარეზი. ხშირ შემთხვევაში, წაშლილია ფილოსოფიისა და ირონიის საზღვარი. „ომი სუპერსტრესული სიტუაციაა, ადამიანებს სჭირდებათ, რომ დაინახონ, რა შესაძლებლობები აქვთ, რომ შეუძლიათ, გმირები იყვნენ, ან პირიქით, დაინახონ როგორი ნეხვები არიან“ (მარინა ელბაქიძე — „გაცვლა“). ბესო ხვედელიძის პერსონაჟი უცხოელია, მისი თვალით დანახული ომი თავისუფალია „მხარეების“ ტენდენციურობისგან და მან იცის, რომ „ომი მაინც სიცოცხლის ღირსეული მტერია“ („თაგვის გემო“).

წიგნის ავტორთა შორის ბევრია, ვისაც ომის რეალობა მწერლობაში გამოყვა. გელა ჩქვანავამ, რეზო თაბუკაშვილმა, მიხო მოსულიშვილმა, ბექა ქურხულმა, ბესო სოლომანაშვილმა — ჯერ კიდევ უწვერულმა ჭაბუკებმა — იარეს ნაღმზე და მძაფრი შეგრძნებები ისახსოვრეს, რათა მოგვიანებით ბევრი ეფიქრათ ამ „მძიმე სათქმელზე“. დინამიკური და ენერგიულია მათი თხრობა. აქ შესვენების საშუალება არ არის. მეც ერთი წუთითაც ვერ დავტოვე მძაფრი შეგრძნებებით დამუხტული ეს ველი — ჩემთვის ძალიან რეალური, მტკივნეულად ნაცნობი სივრცე. და როცა ვხედავდი, რომ ყოველი პასაჟი დამნაშავე ომის საბრალდებულო დასკვნა იყო, უცნაურ შვებას ვგრძნობდი, რადგან მინდოდა, სწორედ ის ვიღაც — უხილავი, აბსტრაქტული ყოფილიყო დამნაშავე და არა აფხაზური, ან ქართული მხარე. ამიტომაც არის, რომ ყველა თხრობა წიგნში იმ მნიშვნელობით არის დატვირთული, რომელმაც ომის პრევენცია უნდა მოახდინოს. კონფლიქტი, რომელიც იმ საბედისწერო დროს ჩვენს სულში, გონებაში დაიწყო, თავიდან აგვაცილოს და ჩააქროს. აქ თავმოყრილ ყველა ტექსტში ეს სურვილი მყოფობს. ყოველი ამბის დროც ამ სურვილს ემორჩილება და პირობითად ასე შეიძლება დავყოთ: კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და პოსტკონფლიქტური. მანანა მენაბდემ („აძაფშსა და ბესლეთს შორის“), მანანა დუმბაძემ („დიმკა“), დათო ტურაშვილმა („ტატაშ მარშანი“) წარსულიდან ყველაზე საუკეთესო ამოკრიბეს და აქ მოუყარეს თავი. მეხსიერებაში ღრმად ჩალექილი ამბები, რომელიც მოსვენებას არც ამ ომში „გამარჯვებულს“ და არც „დამარცხებულს“ არ მისცემს. ნინო გუგეშაშვილის დროც ამას ემსახურება და მისი ამბავიც იმ ადამიანებზეა, ომამდე პროფეტულად რომ გრძნობდნენ მის შავბნელ მეტაფიზიკას და არ ცნობდნენ, არ აღიარებდნენ მას. აფხაზ ფარნას არ უნდა ომი, მისი იარაღი მუსიკა იყო. როცა დაამუნათეს, ახლა ვაჟკაცი ავტომატით უნდა იბრძოდესო, „ფარნამ აიღო იარაღი — როცა ქალაქში ყველა ისროდა — აიკიდა გიტარა და ქალაქის პარკში წავიდა დასაკრავად“ („ორი კენჭი, ანუ აქ იყო ჩაკ ბერი“).

თვითგამორკვევის არეულ მდინარეში ამ ადამიანების ხმა ძალიან მინორული იყო და არავინ გაიგონა. როცა სოხუმში მოვიდა ომი და დადგა მანანა ანუას ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე, როცა სერგო ბგამბას მშვენიერი ცოლის — გუნდას ნამდვილი ამბავი და ესმა სმირის წერილები დღის შუქივით ჩადგა ომის უკუნ ლაბირინთებში, შორენა ლებანიძე („მანანა ანუა — ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“), ირმა მალაციძე („გუნდა“), ვახტანგ კომახიძე („სიყვარულის და დახვრეტის ფრაგმენტები“) ფოლიანტად აქცევენ მას, ეტრატზე დაწერენ კეთილშობილების, რაინდობის, ერთგულების ისტორიას. „ადრე მეგონა, რომ ომს შინაარსი არ აქვს. მასზე თანმიმდევრულად ვერაფერს მოვყვები... მერე კი უეცრად აღმოაჩენ, რომ ერთი მრავალთაგანი კი არა, ამბის გმირი ხარ, მთავარი პერსონაჟი“ („მანანა ანუა — ტყვეობის ორმოცდათორმეტი დღე“). ეს ისტორიები ყველაზე ძლიერი და, ამავდროულად, გულწრფელი არგუმენტია, ისეთივე გულწრფელი, როგორც დათო ქარდავას მოთხრობის პერსონაჟის, ომში დაქვრივებული აფხაზი ქალის — ესთერის სურვილი: „არაფერი მინდა, უბრალოდ არ მინდა, რომ მოგკლან, არ მინდა, გესმის?!“ („ქვრივი ქალის მუცელი“). ამ ომში არც პროფესიონალმა იცის „საზღვრები, სადაც მთელი მისი ცხოვრება ჩაეტია“ (მარიანა ნანობაშვილი „პროფესიონალი“), რადგან ძმათამკვლელ ომში სამხედრო ხელოვნებაში ვერ დაოსტატდები.

ომის დროსაც იფეთქებს სიყვარულის ხანძარი. მერე რა, რომ ქვემეხები ისვრიან და მუზები სდუმან. ნანა აკობიძის „ციცინათელები“ იმ ციკლიდანაა, მშვენიერების, სიყვარულის მარადიულობის განცდას ასეთ დროსაც რომ განაახლებს ჩვენს სულებში და ომის მრუმე პეიზაჟებში ნათელ ფერებს ჩაასხამს. მწერლობის მისიაც ხომ ეს არის...

სოხუმელი მწერლის, თეა თოფურიას, მოთხრობაში — „შატალო“ — სკოლის მოგონებებთან განსაკუთრებული კავშირიც სრულიად ბუნებრივად იკვეთება, რადგან ყველაფერი, რაც სოხუმს უკავშირდება, უკვე სხვანაირად იკითხება — შატალო, თანაკლასელის სიკვდილი და ცეცხლმოკიდებული პალმა — მშობლიური ქალაქის უკანასკნელი კადრი.

პოსტკონფლიქტური პერიოდი ცალკე გააზრების თემაა ქართულ მწერლობაში. მძიმეა ომით მიყენებული მორალური, ფსიქოლოგიური და მატერიალური ზარალი. პოსტკონფლიქტურ რეალობასთან ადაპტაციისას ის ღირებულებები ფერმკრთალდება, ცოტა ხნის წინ მნიშვნელოვანი რომ გვეგონა და ჩვენს ცნობიერებაში ემოციათა დაცხრომის, სულიერი კათარზისის ჟამი დგება. 33 ამბავში ამ განცდებიდან ქართველი მწერლების მასტერკლასია ამოკრებილი. რეალიზმი აქ მთავარი რიზომაა, რომელიც მხატვრულ ტექსტში აგრძელებს სიცოცხლეს. ნინო სადღობელაშვილის „ბამბაზიის სამოთხე“, ბესო პაპასქუას „ბარათის მცველი“ მძიმე მემკვიდრეობის ამბავზეა, მაგრამ ამ ქაოტურ სამყაროშიც ადამიანი მაინც რჩება სიკეთის საჭეთმპყრობელი და წინააღმდეგობას უწევს ადამის ცოდვათა აღსრულებას. სწორედ ასეთ დროს მწერლობას არ უნდა გამორჩეს არც ერთი ასეთი ფაქტი, არც ერთი გაელვება ადამიანურობის ამ ისტორიიდან. ბესო პაპასქუას „ბარათის მცველი“ იმ მეომართა შორისაა, ვინც გადარჩა, მაგრამ ომის დეტალებს არასოდეს იხსენებს. ნამდვილი მეომარი, „ვალადაროვკელი მუჟიკი, ტურბაზის ბირჟის დაფასებული წევრი“, რომელმაც ნახა „ზღვისპირა კარნავალის დასასრული“ — დუმს და ახლა თავგამოდებით იცავს ერთადერთ ძველ ალბომს, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ყველა ოჯახის „გადასარჩენ ნივთთა აუცილებელ სიაში“ იყო. „ეს ალბომები ჩვენი უახლესი მეხსიერების ჩიპებია“ — ამბობს მწერალი. ამ ალბომებმა საკუთარი თავის დავიწყებისგან უნდა დაგვიცვან. ვეტერანის დუმილიც სიმბოლურია და ალბათ შინაგანი პროტესტია გაურკვეველი ომის მიმართ, რომელიც არ უნდა მომხდარიყო და სადაც „გამარჯვებულები ოდესღაც, კანონზომიერად მივლენ კობა ცხაკაიას მოთხრობის პერსონაჟის — აფხაზეთის „ეროვნული გმირის“, დეპუტატ ფედერიკო ბუტბას შეგრძნებებამდე. მისი სამყარო „უკუნეთში კიდია“ და კითხვა: „ფედერიკო ბუტბა! ცხოვრობ, ხარობ, გრიალებ, სხვებს თავზე აზიხარ, რატომ? რა გაგიკეთებია კარგი? ისეთი რამაც შენი ერი, შენი ქვეყანა, კაცობრიობა უკეთესი გახადა?“ — მისთვის განაჩენია. ფედერიკო ბუტბასთვის ერთადერთი ხსნა იმაზე ფიქრია, რომ „ერთხელაც დადგება ის დრო, როცა გადამწვარი სახლების პატრონებთან ერთად ჩამოჯდება მუხის ჩრდილში, გახედავს ზღვის უკიდეგანო სივრცეს, მოწრუპავს ყავას, ზოგჯერ ღვინოსაც, და ადამიანურად დაისვენებს... მოისვენებს“ (კობა ცხაკაია — „ფედერიკო, სიცარიელე და ზენა“).

„33 ამბავი აფხაზეთზე“ უნიკალური საშუალებაა ამ ფიქრამდე მისასვლელად და მან „გამარჯვებულებსაც“ უნდა გაუკვალოს გზა. ისინიც მიხვდებიან, რომ ამ ომში ჩვენ შორის არავინაა გამარჯვებული და ყველანი უპირობოდ დავმარცხდით, თუ არ ჩავთვლით ქართველ მწერლებს, რომლებმაც იციან, როდის დადგება გამარჯვების ნანატრი წამი. როსტომ ჩხეიძისა არ იყოს, სწორედ მწერლებმა იციან, „ეს ტრაგედია კვლავაც რომ გრძელდება და არც არასოდეს მოთავდება, თუკი გაწყვეტილი ძაფები არ აღდგება და აფხაზეთის მხარე კვლავაც განუყოფელი ნაწილი არ შეიქმნება საქართველოს სახელმწიფოსი — აფხაზთა ერთადერთი გადამრჩენისა რუსული წყალდიდობისაგან“.

ბულბული გიტარის სიმზე

თორნიკე გოგნიაშვილი

ქალაქელი ფსიქოლოგი, უღრესად რომანტიკული ხასიათის ქალბატონი, მაგდა ჭკრიკიშვილი სოფელში ისვენებდა. მძიმე სეზონის შემდეგ სოფელს მიაშურა, ეს წინაპრების ადგილი იყო და როგორც ქალაქში წარმატებით ფეხმოკიდებულ, თავისი ხელობის პროფესიონალებს სჩვევიათ ხოლმე, სააგარაკოდ ადიოდა ზამთარ-ზაფხულ.

მაგდა გარდა რომანტიკოსისა, იყო მშვიდი, დაბალი დიქციით მოსაუბრე, მიამიტი ადამიანი.

სახლში ჰქონდა ათასგვარი მძივ-სამკაულები, რა თქმა უნდა, დაბალფასიანი. აგროვებდა საინტერესო, ძველებურ ნივთებს, უყვარდა ბუნება, ადამიანები, ფლორა, ფაუნა, აკეთებდა ჰერბარიუმებს, დღიურებს, მშობლების ნებიერა, ერთადერთი შვილი იყო და უმტკივნეულო ბავშვობა ჰქონდა, რამაც დიდწილად განსაზღვრა მისი ფსიქოლოგია და ინტერესები.

ქალმა ტყე-ჭალები დაათვალიერა და ახლა ფართო შარაგზას მიუყვებოდა. სიფრიფანა, თხელი ხელები ყვითელი ხავერდის კაბის ჯიბეებში ჩაეწყო და მიამიტური აღტყინებით აკვირდებოდა ხეებს, ბაღებში აყვავილებულ ყვავილებს, ფრთაჭრელი პეპლების გუნდებს, ადრიანი დილა იყო, ჯერ ისევ მკრთალი, ზაფხულის ნისლი იდგა, ბაღებიდან ჩიტების ჭიკჭიკი მოისმოდა.

ერთ ღობესთან გარგრის დიდი ხე იდგა, ტოტებდახუნძლული, იმდენი ესხა, დაბლა ცვიოდა, მიწა მოთხიპნილი იყო გათხლეშილი გარგრებისგან.

მაგდა ქუსლიანი ფეხსაცმლით ძლივს მივიდა ღობესთან, ტოტს ანაზდად დასწვდა და ნაყოფი მოწყვიტა. ო, რა საამო გემო ჰქონდა, ბავშვობა გაახსენა და წამით გაირინდა, მერე ფიქრებიდან გამოერკვა და ისევ მოწყვიტა. არ იცოდა, სად წაეღო გარგარი, არ უნდოდა ჯიბეში ჩადება, რადგან წვენი კაბას დაუსვრიდა, ჩანთის წამოღება კი დავიწყებოდა.

— მოდი, პარკს მოგცემ, — გაიგონა ხმა.

მაგდა შეცბა, თანაც ხმა კაცის იყო და ამან კიდევ უფრო მეტი უხერხულობის განცდა გაუღვივა გულში.

— ნუ გრცხვენია, მოდი! — დაიძახეს დაწნული მავთულის ღობის იქიდან.

მაგდა დაბნეული იდგა.

ბაღიდან ელეგანტურად ჩაცმული შავგვრემანი მამაკაცი გამოვიდა, მოკლე, ხშირი თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი, შინდისფერი პერანგი და მონაცრისფრო შარვალი ეცვა, მარჯვენა ხელში კონიაკის ჭიქა ეჭირა.

კაცმა ღობეზე დააწყო ხელები და მაგდას გაუღიმა.

— უკაცრავად... თქვენი ეზოა... — თქვა მაგდამ, ინანა, გარგარი რომ მოწყვიტა, მაგრამ გადაგდება აღარ გამოდიოდა და ჭამა განაგრძო.

— ჰო, მარა რაღად მინდა, — თქვა კაცმა და ჭიქას დახედა.

— რას ბრძანებთ? — გაიკვირვა მაგდამ.

გარგარი რომ შეჭამა, მერეღა იგრძნო მაგდამ სასმელის სუნი, მიხვდა, კაცი ნასვამი იყო.

— რას ვამბობ და მაგას! მოიცა, მოგიტან პარკს ეხლავე! — თქვა და მძიმედ გადაადგა ნაბიჯები, თვალს არ იყო მიფარებული, რომ კაცს ფეხი აერია, ტანი ვერ დაიმორჩილა და წაიქცა.

მაგდას თვალები გაუფართოვდა. „ვაიმე ღმერთო“, წაიჩურჩულა და აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა ჭიშკრის მოძებნის იმედით.

რამდენიმე წამში დიდი მონაცრისფრო ჭიშკარი დაინახა და სირბილით გაიქცა, ქუსლიანი ფეხსაცმლით გაუჭირდა, მაგრამ მაინც მალე აირბინა, ჭიშკარს ორივე ხელი მაგრად ჰკრა და ისე გააღო.

გრძელი ბაღი ჩაირბინა და კაცთან მივიდა.

კაცი გონს მოსულიყო და დგებოდა. მაგდამ ხელი მიაშველა, წამოდგომაში დაეხმარა.

ვაშლის ხეების წინ ხის მაგიდა და სკამები იყო, მაგიდაზე ხავერდის ვარდისფერი გადასაფარებელი ეფარა, ზედ კონიაკის ბოთლი, ჭიქები და რამდენიმე ვაშლი იდო, ამას ფონივით გასდევდა ვაშლის ჩამოცვენილი ფოთლები.

მაგდამ სკამზე დასვა კაცი და თვითონაც ჩამოჯდა.

— რა დაგემართათ? — ჰკითხა ათრთოლებული ხმით.

— სმისგან ასე მემართება, მეოთხე ღამეა, არ მძინებია, — ამოილუღლუღა კაცმა და კონიაკი დაასხა.

„საბრალო, ნეტავ რა დაემართა“ — გაიფიქრა მაგდამ და ბაღი მოათვალიერა, ეს იყო ნამდვილი სამოთხე, თავისი მგალობელი ჩიტუნიებით, ხეხილის პალიტრითა და ყვავილთა სურნელით.

— იქნებ საკმარისია! — უთხრა მაგდამ და წარბი ასწია.

— საკმარისი მაშინ იქნება, როცა გამოვკეთდები! — უპასუხა კაცმა.

— და ეგ როდის იქნება? ჰო, მართლა, რა გქვიათ? — და მაგდამ ჭიქა თავისკენ მისწია.

კაცმა ღრმად ამოიოხრა და ჭიქა დაიბრუნა.

— ეგ არ ვიცი ჯერ! ხილი მიირთვით.

აი, დავლიო და მოგიტან პარკს, ხილს გაგატან, — და კაცმა დალია, — ჰო, სახელი სანდრო, სანდრო ვარ! — და კაცმა ხელი გაუწოდა ქალს, — თქვენი სახელი, პატივცემულო?

მაგდამ გაიღიმა და ვაშლი დააბზრიალა მაგიდაზე, ვაშლი მაგიდიდან გადმოვარდა და მიწაზე გაგორდა.

— მაგდა! ჩემი სახელია მაგდა! ხილზე ნუ შეწუხდებით, მეც მაქვს. არც ვიცი, თქვენს გარგარს რატომ დავწვდი.

— სასიამოვნოა. შეწუხებით არ შევწუხდები... — სანდრო ადგა, ვაშლი აიღო, მერე გაწმინდა და ისევ მაგიდაზე დადო.

„საწყალი, ისევ არ დაეცეს“ — გაიფიქრა მაგდამ და მუქი თვალები მიაპყრო სანდროს, სანდრო სახლისკენ აპირებდა წასვლას, მაგრამ მაგდამ შეაჩერა, სთხოვა, ესაუბრათ და მერე მოეტანა პარკი.

— რაზე ვისაუბროთ? — ჰკითხა სანდრომ.

— რა ვიცი, რას საქმიანობთ... იცით, ძალიან გრძელი თითები გაქვთ... — და მაგდამ ჩაიხითხითა.

— კარგი, ვისაუბროთ, მაგრამ ეგ მაინც მიირთვი, ვაშლი, — სანდრომ ჯიბიდან პატარა, პლასტმასის წითელტარიანი დანა ამოიღო, ვაშლი გათალა, ყუნწი მოაწყვიტა და მერე მაგდას მიაწოდა.

— მე, — განაგრძო სანდრომ, — გრძელი თითები იმიტომ მაქვს, რომ ვუკრავ. გიტარისტი ვარ, მოიცა... — სანდრო წამოდგა თუ არა, მაგდაც ინსტიქტურად აჰყვა მის მოძრაობას.

— იყოს, — თქვა ქალმა.

— არა, აქვეა! — თქვა სანდრომ და ვაშლის ხეებს შორის შეძვრა, მერე იქიდან მუქი ყავისფერი, ექვსსიმიანი გიტარა გამოიტანა და ისევ დაჯდა.

— ნახე! — თქვა სანდრომ, გიტარა მუხლებზე დაიდო და ზედ ნეკა თითით დააკაკუნა.

მაგდას განცვიფრებას და აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, იმ მუქ თვალებში მოუსვენრობის ჭინკები აუთამაშდნენ.

— მართლა გიტარისტი ხართ? და კარგად უკრავთ? — ჰკითხა მაინც მაგდამ.

— მერედა როგორ?

— დაუკრავთ?

სანდრომ თითით ანიშნა, დამისხიო. მაგდა იძულებული გახდა, დაესხა.

სანდრომ დაკვრა დაიწყო, ეს იყო ლეგენდარული ბეთჰოვენის მუსიკა, მაგდა ჩამოდნა სკამზე, მოგონებები გარდასულ სიყვარულებზე, ნოსტალგია ძველი ადგილების მიმართ, ფრაზები საყვარელი ლექსებიდან, ყველაფერი ერთდროულად წამოტივტივდა ქალის გონებაში, ფსიქოლოგი იყო და იოლად დაარქვა სახელი, „ცნობიერების ნაკადი“ და მინებდა იმ ნაკადს, როგორც კარგი მოცურავე უსაფრთხო ტალღებს.

სანდროს გრძელი თითები ისე ფუსფუსებდნენ სიმებზე, როგორც ჭიანჭველები დანგრეულ ბუდესთან, გიტარიდან მუსიკის ნაკადული იღვრებოდა და ბაღში ყვავილების სურნელს ერეოდა.

დაკვრას რომ მორჩა, სანდრომ გიტარა დადო, ვაშლი შუაზე გახლიჩა, მერე კონიაკი დაასხა ისევ.

მაგდა ცოტა ხანს იჯდა გარინდებული, მერე გამოერკვა და დაბალხმიანი, თავისი ნაზი ხელების შესაბამისი ტაში დაუკრა.

სანდრომ მკერდზე მიიბჯინა ხელი და ტაში დაუკრა.

— მითხარი რაიმე. რომ უკრავ, გავიგე, მერედა როგორ...

— შენ დაიწყე... — და სანდრომ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი და სანთებელა ამოიღო, ღერი კბილებით ამოაძვრინა კოლოფიდან, მერე სანთებელა ხელში დაიჭირა და ხელი წინ გაშალა, სანთებლიანი ხელი აუკანკალდა.

მაგდა მოიღუშა, ღრმად ამოიოხრა, „ნეტავ რამ განაპირობა“ — გაიფიქრა მან და ვაშლი ისევ დააბზრიალა მაგიდაზე, ვაშლი ისევ დავარდა, სანდრომ გაიღიმა და ვაშლი აიღო.

— შენ რაღაც ძალიან ერჩი ამ ვაშლს...

მაგდამ უხერხულად გაიღიმა.

სანდრომ განაგრძო:

— ხედავ, რა დღეში ვარ?

— დანებება არ გიცდია? ან... ან რატომ სვამ?

სანდრომ ისევ ღრმად ამოიოხრა.

— ჯერ შენ მოყევი შენზე, გეტყვი მერე, რატომაც ვსვამ, ან მიცდია თუ არა თავის დანებება.

— მე რა უნდა მოვყვე, დედას ნებიერა გოგო ვარ, ფსიქოლოგი, ვმუშაობ ჩემი პროფესიით, ჩემთან ბევრი მოსულა შენნაირი... თუმცა შენნაირი არა, შენ უკეთესი ხარ...

სანდრომ გაიღიმა და ისევ დაუკრა თავი

— არ მეცნობი, ალბათ ქალაქელი ხარ.

მაგდამ თავი დაიქნია.

— მე, — თქვა სანდრომ, — სიყვარულის გამო გავხდი ალკოჰოლდამოკიდებული. ერთმა ქალბატონმა, რომელიც ის არ აღმოჩნდა, ვისაც ველოდი, საშინელი იარა დამიტოვა, ამის გამო სასმელს გავუმხილე ტკივილი, მერე გონს მალე მოვეგე, მაგრამ სასმელი ისეთი რამ არის... ძნელია მიტოვება, ახლა მიჭირს ჩამოშორება. აღარავინ მყავს, მშობლები ადრე დაიღუპნენ, პაპამ და ბებიამ გამზარდეს, პაპაჩემი საკმაოდ შეძლებული კაცი იყო, ქალაქში მაღაზიები ჰქონდა, ახლა მე ვარ მოთავე მისი საქმის, მაგრამ აგერ უკვე მოძრაობაც მიჭირს, მარტო ვარ, ორივე სულ რაღაც ორი წელია, რაც მივაბარე მიწას. გიტარაზე დაკვრაც მათ მასწავლეს, დავყავდი ქალაქში წრეზე, მოსწავლეებს ვიღებდი, ახლა ველარც ამას ვახერხებ.

მაგდას უფრო შეეცოდა, „რა ვუშველო“ — გაიფიქრა მან, იმ წამს ისე მოუნდა, დახმარების ხელი გაეწოდებინა, რომ იქ კვირობით დარჩენაზეც კი დათანხმდებოდა, მითუმეტეს, რომ ფსიქოლოგი იყო.

— შენ? კიდევ რას იტყოდი საკუთარ თავზე?

— რომანტიკოსი ვარ უკიდურესად, მიამიტი და... ერთი კარგი ლექსიც კი საკმარისია, გული ამიჩუყდეს, ჩემს ბიოგრაფიაში ბევრი არაფერია საინტერესო, უკიდურესად მშვიდი ცხოვრებით ვცხოვრობ. იცი, მე შემიძლია, მიგიღო ჩემთან სეანსებზე, იქნებ დაგეხმარო. ამას სულიერი სიმტკიცე უნდა... მოახერხებ...

სანდროს გაეღიმა.

— მჯერა შენი კეთილშობილების, ვიფიქრებ... გინდა, კიდევ დავუკრა?

— დიახ, რა თქმა უნდა, მინდა!

— რა? რა გინდა, რომ დავუკრა?

— ისევ კლასიკა!

და ამჯერა სანდრომ შოპენის ნაწარმოებები დაიწყო, თითები ისევ აფუსფუსდნენ სიმებზე, მაგდა ისევ გაიბადრა, ქალის გულში თითქოს რაღაცამ დაიწყო აციმციმება, მას ხელები მოუდუნდა, ყელში სისხლმა დაუწყო ფეთქვა, ცდილობდა, არ დაფიქრებულიყო იმაზე, თუ რა იყო ეს და მთელი ყურადღება მუსიკაზე გადაჰქონდა, ცდილობდა, მუსიკის ჰაეროვნება შეეგრძო.

წამები წუთებს ქმნიდნენ, სანდრო უკრავდა, მაგდა უსმენდა და ამ მოსმენაში თითქოს დაიღალა, მუსიკამ კი არ დაღალა, თითქოს რაღაც უცხო ფორიაქმა, „ეს ხომ შოპენია, ჰაეროვანი, ნაზი, რა დროს დაძაბვაა“, ეუბნებოდა მაგდა თავის თავს, მაგრამ ეს ფორიაქი არ ცხრებოდა.

სანდრომ დაკვრა დაასრულა და გიტარა ისევ მაგიდაზე დადო, მერე მაგდას შეაცქერდა თვალებში, ამან კიდევ უფრო დააბნია ქალი და მანაც გვერდით გაიხედა, მერე ყურადღების გადასატანად ყვავილებზე საუბრის გადატანა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, სანდრომ შეაწყვეტინა საუბარი და სთხოვა მისთვის თვალებში შეეხედა.

მაგდას სხვა გზა არ ჰქონდა, შეხედა. სანდრომ უფრო გაუღიმა, მაგდამ თითქოს მის თვალებში სიცოცხლის მძლავრი წყურვილი და დიდი, დაუოკებელი, „დონ კიხოტური“ ენერგია დაინახა, ისეთი რამ, რაც აქამდე არავის თვალებში არ ენახა, „ალბათ რა ძლიერი იყო და როგორ გატყდა, დარწმუნებული ვარ, ამ სისუსტეს გაუმკლავდება, არა, უნდა დავეხმარო, რაც შემეძლება, თუნდაც იმით, რომ სანამ ბოლომდე უკეთ არ გახდება, არ წავიდე, მაგრამ თავისუფლად ლაპარაკობს, უკრავს, ეგებ კარგადაც არის. არა, შეიძლება, ისევ დაეცეს“...

ამ ფიქრებში იყო ქალი, სანდრო ხელზე რომ შეეხო. მაგდა შეცბა და ხელი ინსტიქტურად გასწია.

— შენ ისეთი ხარ, მაგდა! ეს თვალები... ისინიც კი არ იყო ისეთი... ვინც ამ დღეში ჩამაგდო...

მაგდამ არ იცოდა, რა ექნა. ენა დაება, გული აუჩქარდა, ჯერ რაღაცები იბუტბუტა თავისთვის, ისე, რომ თავადაც არ იცოდა, რას ამბობდა, მერე ელდანაკრავივით წამოვარდა და განაცხადა:

— უნდა წავიდე!

— რატომ? — ჰკითხა სანდრომ შემცბარი ხმით და ისიც წამოდგა, მაგდამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან, სანდროც მიჰყვა.

— რატომ? — ჰკითხა სანდრომ ისევ.

ქალმა თავი დახარა, „არა, უკადრისია ეს ყველაფერი, მე მას... მე არც კი ვიცნობ... არ შეიძლება ასე აყოლა...“ — გაიფიქრა

მაგდამ, ის თითქოს ხვდებოდა, რაც იბადებოდა მის გულში.

მაგდა მიტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით წავიდა ჭიშკრის მხარეს, მაგრამ უცებ დაცემის ხმა გაიგონა, სანდრო ისევ დაეცა. მაგდა მივარდა, ჩაიმუხლა.

— სანდრო! სანდრო! ცოცხალი ხარ?! — ჰკითხა შემცბარმა დაბალი ხმით და ლოყაზე მიარტყა ხელები.

სანდრომ თვალი გაახილა და გაუღიმა.

„ასე მალე მოვიდა გონს? ხომ არ თამაშობს? მგონი, მართლა დროა, წავიდე“ — გაიფიქრა მაგდამ, მაგრამ იქნებ მართლა ისევ დაკარგა გონება, როგორ უნდა წასულიყო, თვითონვე არ უთხრა თავს, რომ სანამ უკეთ არ გახდებოდა... ის ეჭვი, რომ სანდროს შეიძლება ეთამაშა, მალევე მივიწყა და ხელები ისევ მიარტყა ლოყაზე.

— აბა, გამოფხიზლდი! გინდა, ექიმს დავურეკავ?

სანდრომ თვალები ღრმად დახუჭა, მერე გაახილა, ღრმად ამოიოხრა და მაგდას სთხოვა, ხელები წაეშველებინა.

სანდრო წამოდგა, ისევ დაჯდა, რამდენიმე წამს ორივე დუმდა, აღარც მაგდა ფიქრობდა რამეზე, მერე სიჩუმე სანდრომ დაარღვია:

— რომ არ მძინებია, ამის გამო, თანაც ნასვამი ვარ, ძლივს ვდგავარ ფეხზე. არ ვიცი, რა ძალა მაძლევს ამ მხნეობას... უნდა დავიძინო, ამ ხეების იქით ჩემი მანქანა დგას, ფართო სავარძლები აქვს, იქ დავწვები, შენ თუ გინდა, მართლა წადი, აღარ შეგაწუხებ, ისედაც ძალიან დაგღალე.

სანდრო ვაშლის ხეებს შორის შეძვრა, მაგდაც შეჰყვა, აქ ბაღის მეორე მხარე იყო. დიდ ღობესთან, სადაც ერთგან ასფალტი ესხა, დიდი, თეთრი „ლექსუსის“ ჯიპი იდგა.

სანდრომ ნეკა თითით გააღო კარი და უკანა სავარძელზე დაჯდა, იქვე პატარა პლედი ეგდო, ის პლედი მუხლებზე დაიფარა და ფრთხილად გადაწვა.

მაგდა წავიდა, გიტარა მოიტანა და ისიც მანქანაში ჩაჯდა, ოღონდ რა თქმა უნდა წინ.

— ვინ მოგახსენა, რომ დამღალე? აქ ვიქნები, სანამ არ დაგეძინება, მიდი, მშვიდად მიეცი ძილს თავი... — უთხრა მაგდამ და გიტარა საჭეს მიაყუდა.

— ჰო, კარგი, მართლა, მაგდა, ძალიან გთხოვ, ჩემი კონიაკი და ჭიქა მოიტანე... გთხოვ...

მაგდა მაშინვე გადავიდა და მალე კონიაკითა და ჭიქით დაბრუნდა უკან.

— აჰა, — უთხრა მაგდამ და ბოთლი და ჭიქა მიაწოდა, სანდრომ ისინი სავარძლის უკან, თაროზე დაალაგა.

— გთხოვ, სანამ დაიძინებ, ერთიც რა!.. — სთხოვა მაგდამ.

სანდრომ გაუღიმა, რაც თანხმობას ნიშნავდა, მაგდამ გიტარა მიაწოდა, სანდრომ ის გვერდულად დაიჭირა და კიდევ დაიწყო დაკვრა, ამჯერადაც ბეთჰოვენი, ოღონდ სხვა ნაწარმოებები...

მუსიკა ისევ მიედინებოდა, მაგდა ჯერ ყურადღებით უსმენდა, მერე მუსიკას მოწყდა და უფრო ფიქრის მელოდიაში გადაეშვა, ის ამჯერად რბილ სავარძელზე იჯდა და ფიქრობდა: „ნუთუ ბედისწერაა ეს დღე?.. არაააა, არ არის... მაგრამ თავადაც რომ მითხრა, იმ თვალებს სჯობს შენი თვალებიო? ოჰ, რა ცრუმორწმუნე და ქარაფშუტა ხარ, მაგდა! რა ტუტუცი და მიამიტი“... მერე ძველი ლექსი გაახსენდა, ბავშობაში რომ უყვარდა, მერე ის მუსიკა, ასევე ყმაწვილობისას რომ აფორიაქებდა, მერე მაგდა რაღაც უცხო მოგონებამ გაიტაცა, რაღაც დეჟავიუს მსგავსი იყო, მაგრამ ვერ ხვდებოდა რა, „მე ამ ადგილას ვყოფილვარ თუ სანდროს...“ თავის ფიქრში ამ აზრის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ უცებ გაახსენდა ერთი ამბავი, ეს იყო წლების უკან, მაშინ სკოლას ამთავრებდა, როდესაც ერთ ქალაქელ ნათესავთან იყო სტუმრად, იმ ნათესავს ბავშვი დაჰყავდა გიტარაზე, წრე სახლთან ახლოს იყო და ნათესავმა სთხოვა, მას გამოეყვანა ბავშვი, რადგან თვითონ არ ეცალა.

ქარიანი ამინდი იყო, შემოდგომა, ქალაქის ქუჩები ვერხვის ფოთლებითა და სევდით იყო სავსე, მაგდა ის-ის იყო, უნდა შესულიყო შენობაში, რომ კარი გაიღო და იქიდან ტანმაღალი, ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, მის გვერდით პატარა გოგონა იდგა, მასსავით პატარა გიტარით.

გამოელაპარაკნენ კიდეც ერთმანეთს, მაგდამ უთხრა, დედამისს არ ეცალა და მე მოვედიო, მასწავლებელმა კი ბავშვი შეაქო და გამომშვიდობებისას ასეთი რამ უთხრა:

— მომავალ შეხვედრამდე!

„ერთხელაც არ ყოფილა რამე ჩემს ცხოვრებაში შემთხვევითი“ — გაიფიქრა ბოლოს მაგდამ და ამჯერად ისევ მუსიკის საქანელაში დაარწია გული, ეს გული კი უკვე იცოდა, რა ცეცხლითაც აპირებდა ანთებას, იცოდა და ორი ფენომენი ებრძოდა მის არსებაში ერთმანეთს, ეს იყო მსგავსი სიტუაციით ამღვრეული სულის მიუღებლობა და თავის ცხოვრებაში შემთხვევითობების არარსებობა.

ამ ფიქრებსა და ემოციებში იყო, რომ სანდროს გიტარა გადაუცურდა დაბლა და დავარდა, მას ჩაეძინა.

მაგდა ადრე იყო ამდგარი და ძილი მასაც ეკიდებოდა, თანაც საყოველთაოდ ცნობილია, მწვავე შთაბეჭდილებები და განცდები ღლის ადამიანს, მითუმეტეს ქალს, ამიტომაც იყო, რომ მასაც რული მოერია, მოერია, მოერია და ბურანისკენ გააქანა მისი გონება.

* * *

ქალმა თვალები გაახილა, გაოგნებულმა და დამფრთხალმა გადაჰხედა სივრცეს, პირველად ვერ აღიქვა, სად იყო, მერე გაახსენდა და დამშვიდდა, საათს დახედა ტელეფონში, ორი საათი იყო. „რამდენი ხანი მეძინა, ღმერთო ჩემო“ — გაიფიქრა, მერე ტელეფონი ახმაურდა, ამან სანდრო გამოაღვიძა. ღრმად ამოიოხრა და ნახევრად დახუჭული თვალით შეჰხედა მაგდას:

— უპასუხე!

— ქსელის მესიჯებია, არ დაურეკავთ, ბოდიში, რომ გაგაღვიძე! — ამოილუღლუღა მაგდამ.

სანდრომ პლედი გადასწია და წამოჯდა, მერე გიტარაც აიღო, აღარ დაუკრავს, გვერდით გადადო.

— მაგდა, ერთი უცნაური რამ მინდა გითხრა. მაპატიე, შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოს. იცი, არის ხალხი, ვისაც შემთხვევითობების სჯერა, არის ხალხი, ვისაც — არა, მე მეორე კატეგორიას ვეკუთვნი, მე შენზე იმდენი ვიცი, რამდენიც რომანული ენების გრამატიკაზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ შენი გული რომ დაკავებული ყოფილიყო, აქ არ დარჩებოდი, დამესიზმრე... დამესიზმრე... და... არა, მოდი, არ მოგიყვები ამ სიზმარს. მაგდა, მგონია, რომ თუნდაც ერთ წამს, თუნდაც ერთ წუთს, თუნდაც ერთს საათს შეუძლია... — სანდრომ ვეღარ გააგრძელა... მაგდასთვის საჭირო აღარ იყო მეტი, მაგდა ხვდებოდა, რომ სანდროსაც ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორიც მას, ისიც ისეთივე აზრის უნდა ყოფილიყო ბევრ საკითხზე, როგორზეც ის. „ახლა მთავარია, გავიგო — დროებითია ეს თუ“... — და მაგდამ აღარც კი მოისურვა დასრულება.

— მაგდა! — თქვა სანდრომ.

— ჰო...

— შენ იმაზე მართლაც ასჯერ უკეთესი თვალები გაქვს...

— მოდი სეანსებზე, დაგეხმარები...

— მე სეანსები არ მჭირდება! გინდა, გავისეირნოთ?

— სად?

— ბუნებაში, ან ჩვენი პატარა ქალაქის კაფეში შევიდეთ! ან უბრალოდ მანქანით გავისეირნოთ!.. თუ გინდა, ჯერ ჩემს სახლს დაგათვალიერებინებ!

— ეგ ჯერ ადრეა! — თქვა მორცხვად მაგდამ, — თანაც შენ ერთ რამეს დამპირდი და არ აასრულე, ასე აპირებ ურთიერთობის დაწყებას?

— რა? რას დაგპირდი? — გაოგნდა სანდრო.

— პარკს ხილისთვის...

ორივემ გულიანად გადაიხარხარა.

— რა სიგიჟეა, ღმერთო ჩემოოოო! — თქვა სანდრომ.

— სრული... სრული... — თქვა ნელი ჩურჩულით მაგდამ.

* * *

მანქანა ეზოდან გავიდა და ქვიან გზაზე დაეშვა, სანდრო ღიმილნარევი სახით იჯდა საჭესთან, მაგდას შავი და ნარინჯისფერი კომბინაციით გაწყობილ სავარძლის სახელურებზე ნაზად ედო თავისი ბეღურას ფრთებივით მსუბუქი ხელები და თითებში ვარდის ფურცელს ათამაშებდა, „ეს დღე ოცნებაა, ან სიგიჟე, ეს დღე ოცნებაა ან სიგიჟე“ — იმეორებდა ქალი ფიქრებში, ბოლოს კი ფიქრშივე თქვა: „ამ დღეს დავარქმევდი: ბულბული გიტარის სიმზე“.

მანქანა შარაგზას მოსცილდა და ფშატისა და ვერხვის ხეების ალყაში მოქცეულ, ასფალტიან ქუჩაზე შედგა — მზე აცხუნებდა, ქუჩა ცარიელი იყო...

უდროო სტუმროობა

ლევანი ცოტა ხანს ისევ იჯდა გაუნძრევლად, მერე სიგარეტი ამოიღო, ფრთხილად, უხმაუროდ გაუკიდა და თავმომწვარი ასანთი საფერფლეში ჩააგდო.

— არ გინდა, ისევ დაწვე? ყველამ დაიძინა, — ჰკითხა ცოლმა.

ლევანმა მძიმედ მოქაჩა და თავი გააქნია.

— არა, ვერ ვისვენებ. შენ ხომ იცი, არ მიყვარს არსად დარჩენა. რაღაც ცუდს მიგრძნობს გული, ვშფოთავ! — თქვა ლევანმა და უფრო მაგრად მოქაჩა სიგარეტს.

— რა განერვიულებს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

ლევანი და მისი მეუღლე ძმაკაცის სახლში იყვნენ, წარმატებული საქმის აღსანიშნავად იქეიფეს და დარჩენა გადაწყვიტეს. გვიანი იყო, ლევანმა დაძინება სცადა, ცოტა ხანს მოატყუა თვალი, მაგრამ ვერ დაიძინა და ქვევით ჩავიდა, აივნის ქვეშ დაჯდა.

სახლი ლამაზი იყო, მდიდრულად მოწყობილი, ორსართულიანი, აივნის ქვეშ მონაცრისფრო ფილები ეგო, კიდეებში რამდენიმეგან დეკორატიული მცენარე იდგა ქოთნებით.

მოშორებით ბაღებიდან ათასნაირი ყვავილის სურნელი აღწევდა, ჰაერს ამძიმებდა და ლევანს სუნთქვას უძნელებდა, თანაც, მოგეხსენებათ, ყვავილთა სურნელი აფორიაქებულ ადამიანს უფრო აშფოთებს.

— ღვინის ბრალია, თანაც ბევრი სვი! — დაასკვნა ცოლმა.

— ალბათ, ჰო. ალბათ ასეა. იცი, ეს მართლა კარგი ოჯახია, გაგა და მე წლებია, ვძმაკაცობთ. უწესიერესი ხალხია. მაგრამ, იცი, ადამიანი შეუცნობი რამეა! — და ლევანმა ლამის ჩაანახევრა ღერი.

— მორჩი ფილოსოფოსობას და მიდი ბალი ამომიტანე ბაღიდან, მაინც არ აპირებ დაძინებას, — უთხრა ცოლმა ნაზი ხმით.

— რაში დავკრიფო? — და ლევანმა ნამწვავი საფერფლეში ჩაჭყლიტა.

— მოიცა, — ქალმა გარემო მოათვალიერა. იქვე მდგარ კარადაზე პატარა პლასტმასის სათლი შეამჩნია.

— აჰა, აი, ამაში დაკრიფე, — და ქმარს გაუწოდა.

— კარგი.

— ოღონდ ეგ იარაღი დატოვე...

ლევანმა ინსტიქტურად წაივლო ხელი საქამრეზე, ძველებური რუსული მაკაროვი ეკიდა, გაფორმებულიც იყო და ტარების უფლებაც ჰქონდა, ამიტომაც თითქმის სულ თან დაჰქოდა.

ჯერ მოხსნა დააპირა, მერე გადაიფიქრა და საქამრეს ხელი გადაუსვა.

— იყოს! — თქვა და ბაღისკენ გაეშურა.

ბაღამდე წვრილი, დაკლაკნილი გზა ჩადიოდა, აქეთ-იქით სულ ჭერმისა და თუთის ხეები იყო ჩამწკრივებული ჯარისკაცებივით.

ლევანმა ფეხაკრეფით გაიარა გზა და ბაღში შევიდა.

ბაღი დიდი იყო, ხილისა და ყვავილების სურნელით გაჟღენთილი, გარშემო საშუალო სიმაღლის „ბლოკის“ ღობე ერტყა, ბოლოში კი დიდი მონაცრისფრო ჭიშკარი ეკიდა, სწორედ ამ ჭიშკრის სიახლოვეს იდგა წითელი ბლის დიდი ხე, რომელსაც რამდენიმე ტოტი დაბლა დაეხარა.

ლევანი გაჩერდა, ტელეფონში ფანარი ჩართო, მიანათა, ნახა, ცოტა ესხა ამ ტოტებს და გადაწყვიტა, ზედ ასულიყო. სათლს სახელურში კბილები ჩაავლო და ხეზე აცოცდა, დიდი ტოტი ამოირჩია და ზედ დადგა, კრეფა დაიწყო. სწრაფად კრეფდა, უმეტესწილს სათლში ყრიდა, ზოგს ჭამდა, თან ცდილობდა, სწრაფად ეკეთებინა ეს ყველაფერი.

სათლი ნახევრამდე ჰქონდა სავსე, როდესაც მანქანის ხმაური გაიგონა, ამან რატომღაც ააფორიაქა და ტელეფონში ფანარი ჩააქრო, მერე ხმაურმა იმატა და ლევანიც უფრო მაღლა ავიდა, რათა გზაზე გაეხედა.

ღობის იქით ქვაღორღიანი, ფართო შარაგზა იყო, დაწნული მავთულის ღობეებიანი სახლებით და გზისპირებში ჩარგული, მოვლილი პატარა ხეებითა და ასკილის ბუჩქებით, ალაგ-ალაგ ელექტროგანათების ბოძიც იდგა და გზას ოდნავ ბუნტი შუქით, მაგრამ მაინც ანათებდა.

ცოტა ხანში ხმაური კიდევ უფრო გამწვავდა, მერე ამ ხმაურს მანქანის შუქიც მოჰყვა.

მანქანა ჭიშკრის შორიახლოს გაჩერდა.

— ეს ხომ გაგას მანქანაა! — ჩაილაპარაკა ლევანმა გაოცებანარევი ხმით.

მანქანიდან ახალგაზრდა ჟოლოსფერ-პერანგიანი და შლაპიანი კაცი გადმოვიდა, ღობესთან მივიდა და გაუჩინარდა, ლევანი უფრო მაღლა ავიდა, რომ დაენახა, რას აკეთებდა იქ თავისი მეგობარი, მაგრამ მაინც ვერ დაინახა.

გავიდა რამდენიმე წამი და მანქანის კარი ისევ გაიღო, უკანა სავარძლიდან ახალგაზრდა, ლამაზად ჩაცმული ქალი გადმოვიდა, მასაც შლაპა ეხურა, მდიდრული ჩანთა ეჭირა ხელში.

ლევანს თვალები გადმოსცვივდა გაკვირვებისგან.

— რა?! დეიდა მაგდა?! ეს ხომ დეიდაჩემია! — და ლევანი ლამის კენწეროში მოექცა ხეს.

ამასობაში გაგა ღობეს მოსცილდა და მაგდასთან მივიდა, მოეხვია, მერე აკოცა.

— ვიპოვე, გული გამისკდა... მეგონა, დავკარგე, სულ აქ ვინახავ ფულს! — თქვა გაგამ.

მაგდამ გაიცინა და მანქანისკენ წავიდა, გაგა ცოტა ხანს იდგა, მაგდას უყურებდა, მერე ისიც ნელი ნაბიჯით დაიძრა მანქანისკენ.

ამასობაში ლევანმა იარაღი მოიხსნა საქამრედან, ერთი ნაბიჯით კიდევ აიწია წინ, პისტოლეტი გადატენა.

— შე ძაღლისშვილო ნაბიჭვარო! — თქვა ამჯერად ბევრად უფრო ხმამაღლა და ჯერ გაგასკენ გაისროლა, მერე უმისამართოდ მიაყოლა.

რამდენიმე ტყვია გავარდა, ლევანი გაშეშდა ხეზე, გონს რომ მოვიდა, დაინახა, გაგა ძირს გორავდა და დაჭრილი ყვიროდა, ლევანმა ვერ მოახერხა, დაენახა, თუ სად მოხვდა გაგას, ცოტა ხანში მაგდაც გადმოვიდა მანქანიდან და გაგას მივარდა.

ლევანს დრო აღარ დაუკარგავს, რამდენიმე ტოტს ჩამოსცდა და პირდაპირ გადმოხტა ხიდან, ბედად, რბილად დავარდა ყვავილებზე, წამოხტა, იარაღს დაუწყო ძებნა, ვერ იპოვა, უნდოდა, კიდევ მოეძებნა, მაგრამ მიხვდა, დროს დაკარგავდა, თან მაგდას ყვირილიც გაიგონა.

— მიშველეთ! მიშველეთ!

ლევანი დაფეთებული ამოვარდა ბაღიდან, აქ მისი ცოლი იდგა.

— რა მოხდა, ლევან? სად ისროლეს? — ჰკითხა შემცბარმა ქალმა.

— მე ვისროლე! უნდა წავიდეთ აქედან, ჩქარა, ჩქარა!

ქალი გახევებული იდგა, თვალებში შეჰყურებდა ლევანს.

— ჩქარა! — დაიყვირა ლევანმა, — ჭიშკრიდან არ გახვიდე, სეტკიდან გაძვერი!

ორივენი იმ მხარეს გაიქცნენ, სადაც დაწნული მავთულის ღობე ჩაზნექილი იყო, ჯერ ქალი გაძვრა, მერე ლევანიც მიჰყვა.

მოშორებით სიბნელეში იდგა მათი მანქანა, ასკილის ბუჩქებით გარშემორტყმულ ადგილას, ლევანი გაჩერდა, ცოტა დაწყნარდა.

ქარმა დაუბერა და გახურებულ სხეულში სიგრილე იგრძნო ლევანმა, მან ღრმად ამოიოხრა, ხელები მუხლებზე დაიდო.

— დაჯექი! — უთხრა ცოლს, ქალი დაემორჩილა, ლევანი ცოტა ხანს იდგა ასე, ოხრავდა.

— რატომ არ უჯერებ ქმარს! რატომ! ხომ ვთქვი, რომ ცუდს მიგრძნობდა გული! — ჩაილაპარაკა ცოტა ხნის შემდეგ და ისიც მანქანაში ჩაჯდა.

ლევანმა მანქანა მთელი ძალით დააბუქსავა და იმ გზას მოსწყვიტა.

საბურავებიდან გასროლილი ქვები და მტვერი ტყვიებივით დაიფანტა აქეთ-იქით, ქარმა მოიმატა და გზების კიდეებზე დაგროვილი ფოთლები ჰაერში ააფრიალა.

→

თორნიკე გოგნიაშვილი

მგზავრი

ერთხელ სოფლიდან ვბრუნდებოდი მანქანით, ვიღაც თმაშეჭაღარავებული, ახოვანი კაცი დამემგზავრა, მიხეილი მქვია-ო, გვარი არ უთქვამს, ასეთი რამ მიამბო:

— კარგი ხელოსანი ვარ, მანქანა ვიცი, მთელი სოფელი ჩემთან აკეთებს მანქანას, ახლობლებს, რა თქმა უნდა, ხელსაც ვუმართავ, შეძლებისდაგვარად... მანქანა რომ ვიცი, ავტოსპორტმაც გამიტაცა, რუსთავში ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა შეჯიბრებაში, მქონდა რაღაც წარმატებები, მერე ასაკიც მოვიდა, ავტოსპორტი გვერდით გადავდე და მარტო ხელოსნობაღა... ასე მოვდივარ დღემდე...

გარკვეული პერიოდის უკან, არც ისე დიდი ხანია... ნასვამი მოვდიოდი გზაზე, ჩემი თანაკლასელი შემხვდა, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს... გადამეკიდა, კაცო, ვიღაცა ქალაქელია ჩამოსული, სანაძლეო მაქვს დადებული, მანქანით უნდა შევეჯიბრო, შენ იმედზე ვარო. არა, ჩემო ძმაო, ვეუბნები, რაღა დროს ჩემი შეჯიბრია, ფეხით ძლივს დავლახლახებ, ვენახიდან ძლივს ამოვიქაქანებ ხოლმე, არა! შეჯდა ვირზე, შეჯდა და შეჯდა. ჰა, მე ვთქვი, დავაი, თან ნასვამი ვარ, კაცო!

შევთანხმდით. წავიდა, მომიყვანა მანქანა, კაი მანქანა, სპორტული სტილის. არ გავიდა ხუთი, ათი წუთი და მოვიდა მეორეც, მეტოქე, ისიც კაი მანქანით, დავდექით გვერდიგვერდ, გავსწორდით და ჰოპს! დავიძარით უცებ. მივდივართ, ხან ის მისწრებს, ხან — მე, ხან — ის, ხან — მე. მოკლედ, ბევრი რო აღარ ვილაპარაკო, მოვუგე რა მაინც.

მოვიდა ის ჩემი კლასელი, მადლობა გადამიხადა, ხუთასი დოლარი მომაგებინეო და წავიდა. წავიდა, წავიდა, რავი, არც ლუდი, არც რამე... ნუ კაი, ჰა, ჯანდაბას!

იმ საღამოს ჩემს შვილიშვილს კბილი ასტკივდა, დაჩირქებული აქვს, ღრღნის, არ აძინებს, ერთი თეთრი არა მაქვს სახლში. გადავირიეთ, რა ვქნათ, რა ვქნათ და, ბიჭო, გამახსენდა — მე ვთქვი, წავალ, კაცს ხუთასი დოლარი მოვაგებინე, ორმოცდაათ ლარს ვთხოვ, სადღეღამისო კლინიკაში წავიყვან ბავშვს, წუხს, კაცო, ბავშვია...

მივედი, სახლში დამხვდა, ვუთხარი ასეთ დღეში ვარ-მეთქი, ხელები გაასავსავა, არ მოუციაო, რა უნდა მეთქვა, გამოვტრიალდი.

ხან რით გავუყუჩეთ ბავშვს კბილი, ხან — რით, პატარაა, კაცო, ვერ ითმენს, ვერ ისვენებს, გავუყუჩებთ ხან სოდიანი წყლით, ხან ცხელი ცხვირსახოცით, ისევ ასტკივდება, გავუყუჩებთ, ისევ...

ისევ წავედი, ამჯერად ნათესავთან, ის კიდევ სახლში არ დამხვდა. ჰოდა, რო გამოვტრიალდი იქიდან, არ შემხვდა კლასელი? მეორე, სხვა, ისეთი კაი კაცი, გამოველაპარაკე, ავუსხენი ჩემი სიტუაცია, არც დაფიქრებულა, ეგრევე ამოიღო ორმოცდაათი ლარი და მომცა, თან მეუნება:

— კახასთან ვიყავი, იმან მომცა, ორასი ლარი აქვს ვალი, რესტორანშია ბიჭებთან, იქ შემხვდა, იცის ჩემი ხასიათი, თორემ არ კი უნდოდა მოცემა...

მადლობა ვუთხარი და სასწრაფოდ გამოვემშვიდობე, მივვარდი სახლში, ფული ჩემს ბიჭს დავუტოვე, ბავშვი ექიმთან წაიყვანე-მეთქი, თან მანქანის გასაღებიც ჩავუდე ხელში.

შევედი ოთახში, გამოვიტანე პისტოლეტი, მაკაროვია, რკინას ამტვრევს, თან მაყუჩი უკეთია, მაინც რა... ჩავიდე საქამრეში და, ჰაიდა, რესტორნისკენ.

ჭალა-ჭალაა სავალი, ტრასის პირზეა, სოფლის შესასვლელთან...

მივედი როგორც იყო, მივიტანე ფეხები, გული ხელით მეჭირა, მიველი. რესტორანს უკნიდან მოვუარე, შევიხედე ფანჯრიდან, ვხედავ, ეს დათვი ზის თავის ძმაკაცებთან, ორი შამფური მწვადი უჭირავს და მღერის! ღრიალებს!

ამოვიღე პისტალეტი და წავიცუცქე, მერე ფანჯარასთან მიველი, საცა სამზარეულოა, ავიჭყიტე, ვხედავ, ფართუკიანი გოგო დგას და ხახვსა სჭრის, დავუკაკუნე ფრთხილად, ამაიხედა, ხელით ვანიშნე, მოდი-მეთქი, მოვიდა. დავანახე, აემას დამიძახემეთქი.

გამორეტრეტდა ბიჭო, მარტოკა, მარტოკა გამოვიდა ის ბეჩენჩუყი, გამოვიდა და დავაძრე ფიშტო, დავაძრე და ასწია ხელები დაფეთებულმა, ასწია და აბა-მეთქი:

— კარგია მწვადები? ხო არ გაცივდა?

ხმა ვერ ამოიღო, რა უნდა ეთქვა? კაი ხანი ვიდექით ეგრე, მერე ამოილუღლუღა:

— არ მომკლა!

— არა, მოკვლით არა, დაგჭრი! — ვუთხარი და ანეულ ხელში ვესროლე, თან მაყუჩი ეკეთა, ხმა კი არ აქვს...

ვესროლე და სუ სირბილით შევაყოლე იქიდან...

ეჰ... ეს ხოო მაგრამ, მეც კაი დამპალი ვარ, ხო ესროლე არა, შე შავ დღეზე გაჩენილო? რაღა გინდა? წამოვედი, ბიჭო, და... მოკლედ, ერთი მაღაზია ჰქონდათ, მაგით ინახამდნენ თავს, ცეცხლი წავუკიდე... ვალები ჰქონიათ... სახლს უყიდიან, ქუჩაში რჩებიან, მოკლედ, რა... გამიჩერე, აქ უნდა ჩავიდე! — ეს თქვა და გადავიდა, ტყით გარშემორტყმულ გზისკენ დაუხვია, მე მანქანის დაძვრას ვაპირებდი, რომ დავინახე, სავარძელზე სანთლების შეკვრა იდო, როგორც ჩანს, პიჯაკის ჯიბიდან ამოუვარდა, გადავედი და დავუძახე. მოვიდა, სანთლები მივეცი.

— მადლობა, გაიხარე, ნათესავთან ვიყავი თელავში, სანთლები ვიყიდე იქა, სანამ სახლში ავალ, ეკლესიაში უნდა შევიდე, იცი, რამდენი ხანია, არა ვყოფილვარ? ეჰ... ცეცხლია ჩემი ბინა! — თქვა და ისე მძიმედ გადადგა ნაბიჯები, მეგონა, წაიქცეოდა. გამოვტრიალდი შეფიქრიანებული...

მოვრჩი ამის წერას, დავჯექი და დავფიქრდი, დავფიქრდი, გამეკეთებინა თუ არა რაიმე ანალიზი ამ ამბის, მეთქვა თუ არა რაიმე, რაიმე დასკვნასავით, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, დავტოვებ ამ ცარიელ ამბავს, ისედაც მრავლისმთქმელს...

დიმიტრი პეპინაშვილი

უნებლიე გზა

შავმა, დიდღიპიანმა კაცმა თვალებში ჩამხედა.

— რამდენი გიკლია? — მენამუსებოდა აშკარად. თუმცა ფული უფრო მჭირდებოდა, ვიდრე იმ ღიპიანის ბნელ თვალებში კარგ ტიპად გამოჩენა.

— ოცი ლარი მაქვს, — ვუთხარი ჩვეულებრივ. ცხადი იყო მის სახეზე უსიამოვნო გამომეტყველება, თუმცა როდესაც რიცხვი — ოცი — გაიგონა, თითქოს გულზე მოეშვა.

— წამოდი, წამოდი! — წინ გაიჭრა და მეც გავყევი, შემდეგ შეჩერდა და ხელი გაიშვირა ნაცრისფერი მერსედესისაკენ, — აი, ის მანქანაა ჩემი, ფული ახლავე მომეცი, თორე უხერხულია, შვილო, არ იფიქრონ, ამას ოცს ართმევს, ჩვენ — ოცდაათსო, ხომ გაიგე?

ერთი ვიფიქრე, არ მენდობა-მეთქი, მერე დავფიქრდი და რა სანდო კაცი მე ვიყავი მისთვის. ოცლარიანი გავუწოდე. სწრაფად ჩაიდო ქურთუკის ჯიბეში. ასეთი მომენტები ფილმებში მქონდა ნანახი — ამერიკელი ბარიგები ქუჩებში რომ დგანან, ვიღაც ჩაუვლის, უცბად გაცვლიან სასურველ რაღაც-რუღაცებს და თითქოს არაფერიო, აგრძელებენ გზას. ისე კი, კაცმა რომ თქვას, რატომ არ ვიყავი სანდო — ლამაზად და სუფთად მეცვა; შავი პალტოც და კაშნეც, ერთი შეხედვით, მეცხრამეტე საუკუნიდან გადმოვარდნილ ინგლისელ ჯენტლმენს მამსგავსებდა. ისე კი, სახე, რაც თავი მახსოვს, ბავშვისას მიმიგავს, ღინღლებიც კი არ ამომდის, ოცდაერთ წელს ვუკაკუნებ და ალბათ ამანაც იმოქმედა მასზე. პატარა ჩემოდანი მეჭირა ხელში და მანქანას რომ მივუახლოვდით, გამომართვა, საბარგულში თავად ჩადო, უფრო კი — ჩააგდო.

უკან კაცი იჯდა, ისიც შავი, ოღონდ ძალიან შავი იყო. წინ დავაპირე ჩაჯდომა და არ დააყოვნა მძღოლმა:

— გენაცვალე, წინ გოგოა, რა... დავუთმოთ, კაი?.. გოგოაა და... თანა სძინამს...

არ შემიმჩნევია გოგო, ისე კი, მეწყინა. რაღა დაგიმალოთ, წინ მიყვარს ჯდომა, გოგოები, როგორც წესი, ცუდად გახდომით „აპრავებენ“ ამას. ზრდილობის გამო თავი დავუკარი კაცს, მოვუარე მანქანას, იმ შავ კაცს მივუჯექი გვერდით და მხოლოდ კარის გამოღების მომენტში დავინახე გოგონა. არ ვიცი, აქამდე ან ფანჯრიდან როგორ ვერ დავინახე, გავწყდი ადგილას, ისე მომეწონა; დავიბენი. ყველა კაცი ალბათ ასე ვერ შეხედავდა მას, მაგრამ ერთი კი ვიცი, მანქანის დაძვრამდე უნდა მემოქმედა, იმიტომ, რომ ვერც მე ვხედავდი კარგად, რადგან უკანა სავარძელი მძღოლის მხარეს დაკავებული იყო, ჯვარედინად რომ გამეტარა მზერა წინ მჯდომი გოგონასათვის, მთელი გზა კი გული ვერ გაუძლებდა ამის შეგუებას და ამოვარდებოდა კიდეც სადმე უღელტეხილზე, ამიტომაც გონება დავძაბე და წამში მოვთხარე რაღაც სისულელე:

— უკაცრავად, — გვერდზე მჯდომს გავხედე, — თუ არ შეწუხდებით, ადგილები რომ გავცვალოთ. საქმე ისაა, რომ მარჯვენა სავარძელს, მით უმეტეს, — ხაზგასმით ვთქვი, — უკანა სავარძელს, ვერ ვეჩვევი, თუ შეიძლებ...

აქ შემაწყვეტინა და უკვე თავისი კარიც ნახევრად გაეღო, რომ გადამჯდარიყო.

— რას ამბობ, კაცო, მოდი, დაჯე.

შავებმა ჩაიცინეს.

გოგონას თეთრი კანი ჰქონდა. ახლა კი, ადგილშეცვლილს, დახვეწილი, ლამაზი პროფილის ყურების სიამოვნებაც მებოძა, თუმცა, გაგეცინებათ, მას არც კი შევუმჩნევივარ, ხელები თეთრ კაბაზე გაეყოლებინა და მუხლებზე გადაეფარებინა. საერთოდ, არც კი იცოდა, რომ ჩავჯექი და მანქანაც როდესაც დაიძრა, არც მაშინ გაღვიძებია. ეს მაწუხებდა... მხოლოდ შუქნიშანთან გამოეღვიძა — მადლობა ღმერთს! ცოცხალია! — გავიფიქრე... გამომხედა. ეს მე ვიგრძენი მაშინ, როდესაც ფანჯრიდან ბოშა ბავშვებს ხურდა მივაწოდე... მოკლედ, მთავარია, დამინახა, დანარჩენი უკვე მეტნაკლებად მის გემოვნებაზე იყო დამოკიდებული და ჩემს გარეგნულ სულიერებაზეც, რაღა თქმა უნდა. ჰოდა, ჩემო მეგობრებო, ის იყო და გზას გავუსწორეთ მერსედესის ლოგო, როდესაც შავმა კაცებმა პირი დააღეს ჰორიზონტალურად.

— აქ რა გინდოდა, ბიჯო? — ჰკითხა მძღოლმა ჩემ გვერდზე მჯდომს, გეგონება, ინდოეთის გარეუბანში ყოფილიყოს.

სანამ პასუხი გასცა, ჩაეღიმა, აი, ბავშვებმა რომ იციან ხოლმე, მაშინ, როდესაც ხვდებიან, კანფეტი არ ასცდებათ, ისეთ კითხვას თუ გასცემენ პასუხს: „მაროჟნი უფრო გიყვარს თუ მამიკოო?“

— შვილიშვილი ვნახე... მირეკავდა ხოლმე — ჩამოდი, პაპიო, ჩამოდიო, აბა, რა მექნა...

— მა, რა უნდა გექნა, კაცოო... — დაემოწმა მძღოლი.

— ისე კი, შპალერი ვიყიდე, — გოგონამ ყურსასმენები გაიკეთა, — წითელი. აი, თუ გახსოვს, თელავის ტექნიკუმებში რომ...

— ჰოო... როგორ არ მახსოვს, მაგაი რა დამავიწყებს... ბიჯო... კი მაგრამ, რაღა ეგ აარჩიე, ჰა? სხვა ვერა ნახე? — სარკიდან გადმოგვიყო ცხვირი.

— სხვა როგორ არა ვნახე, მაგრამ იცი, რა არის? აი, პაპაჩემი იყო, არა, დაიწყო სახლის აშენებაა, ისე მოკვდა, სულ ერთი რიადი ჰქონდა ნაგები, ეგეცა, მერე ნახეს, უსაძირკვლოდ ეშენებინა და დასანგრევი აღმოჩნდა, ისედაც უკვე პიზის კოშკსა ჰგავდა. შემდეგ მამაჩემი...

— ოო... მამაშენი კი კაი გოთვერანი კაცი იყო და... — შეაწყვეტინა მძღოლმა.

— ჰოდა, აბა, ეგ კიდე ისე მოკვდა, არა? ხელი არ გაუტოკებია... ჯო... მე კიდე ჩემი ბიჭი რომ მეყოლა, გი...

— ნიკო? — მეორედ რომ შეაწყვეტინა და ამასაც უკვე ნერვიულად დაეჭიმა წარბი.

— არა, კაცო! გიგლა! გიგლა იყო სამი წლისა, ახლაც არის ბეტონზე მისი ნაფეხურები დარჩენილი, ღმერთმა გაახაროს ეგა, ჩემი იმედია ეგა...

— ბიჯოოო... როგორ ამომვარდა ამ ფუტუროდან, კაცო... როგორ არის? ბაქსიორობს, არა?.. რა მოიგო?..

— მოჭიდავე, კაცო, რა ბაქსიორი, — შეწუხდა კაცი მძღოლის მკითხაობით. ჩაახველა, ხმამაღლა განაგრძო, — ევროპა მოიგო! — ეს თქვა და სახეზე ამაყი ღიმილიც გადაეშალა.

— ვახ! შე გენაცვალე! — წინიდან იმხელა ხმაზე დაიღრიალა მძღოლმა, რომ მისმა სიყალბემ მყრალი სუნი დააყენა. ფანჯარას ჩავუწიე და თავი გავყავი.

— გაიხარე, ნოდარ, გაიხარე... ჰოდა, რას ვამბობდი, ჰო... სახლის შენება მაშინ დავიწყე, ეგ რომ სამის იყო და ახლახანს მოვრჩი, აგერ ოცდამეხუთე წელია ვაშენებ და ერთადერთი, რაც დამრჩენია, ისაა, შპალერი უნდა გავაკრა და ვსო, კაპუტ, — და ნიშნისმომგებად ჩაიცინა, ვიწრო კბილები გამოაჩინა.

— ვაა, შენ უნდა თქვა, სახლიც ვაშენე, ხეც დავრგე და ბიჭმაც გამიმართლაო...

— ჰოო. მე უნდა ვთქვა, მაშა... — შეიფერა მანაც, — ჰოდა, — განაგრძო, — შემოსასვლელში, მოლთან შემიჩერე, ორი წუთით გადავხტები, გამყიდველს გამზადებულ შეფუთულ შპალერს გამოვართმევ და დავაწვეთ კახეთს, მოსულაა?..

ნოდარმა უკან მთელი კისერი გადმოყო, მე თვალი ამარიდა, შავ კაცს ჩახედა შავ თვალებში და ჰკითხა რაღაცნაირად, სხვანაირად — ჯონი... ბიჯო, ეგრე მიცნობ, მაგის დედა ვატირე, მაგისი, ჰა? — შერცხვა ჩემ გვერდზე მჯდომს, — მაგაზე გეტყვი უარს?.. — დააბოლოვა მძღოლმა.

უყვარდა ამ მძღოლ კაცს ნამუსიანი საუბრები. ჩუმად ჩამეცინა. მერე თითქოს ერთხანს გაჩუმდნენ. გზას ვუგდებდით ყველა თვალს და მანქანებისა და სიჩქარის ხმებს, მაშინღა შევატყე და გულიც დამეწვა, რაღა დაგიმალოთ, წინ მჯდომი გოგოს ყურსასმენებიდან ისეთი საშინელი მუსიკის ხმა ისმოდა, გული ჩამიმდუღრა და მის შინაგან სამყაროზე ამიცრუა სულ მთლად შთაბეჭდილება. ისეთი მუსიკის ხმა ამოდიოდა მისი ყურებიდან, როგორსაც ალბათ დეპრესიული გაუთხოვარი ქალები უსმენენ — ისეთი მუსიკის, რომელიც ამშვიდებს და ნუგეშს აძლევს მათ, როდესაც სარკეში დაუკმაყოფილებელი თვალებით უყურებენ საკუთარ თავებს.

გადავწყვიტე, გეგმა „ბ“ გამომეყენებინა მასზეც, ოღონდ მოგვიანებით.

მოლს რომ მივუახლოვდით, სიგარეტს გაუკიდა მძღოლმა. ფართო გზა იყო, ცალმხრივი, რომელსაც ცენტრში დიდი ბაღივით ზოლი ჰქონდა გაშენებული. ზოლის იქით კი ქალაქისკენ მიმავალი მანქანები მოძრაობდნენ. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, ხალხი მით უფრო მატულობდა ჩვენ გარშემო. ირეოდნენ ერთმანეთში ჭიანჭველებივით. ჭარბობდნენ არაბები.

— ჯონი, ხიდთან შეგიჩეროო... — გაწელა ბოლო ასო.

— ჰო, მარა, — დაეთანხმა ჩემ გვერდით მჯდომი.

გადასასვლელ ხიდთან ბევრი მანქანა ეყენა, მით უფრო მეტი — პარკინგზე.

მზიანი ამინდი იდგა, ხალხი, ყველგან მოფენილი, იდგა გაჩერებასთან, სადაც ხიდი იყო, სადაც ჯონი მანქანიდან გადმოვიდა და სანამ კარი მოიხურა, სიტყვა შემოაძვრინა: ორ წამში მოვალო და სისწრაფისგან მოჯახუნება გამოუვიდა.

— უფ, დავიწვი კაცი, — თქვა და უცებ ფანჯრიდან გადაყო თავი, — ჯონი! — წამოიყვირა.

ჯონის ვერ ვხედავდი, მაგრამ მანქანის უკნიდან მომესმა ხმა:

— ჰოო!

— წინ მივაყენებ ცოტა, — ხელი გაიშვირა წინ მძღოლმა და მანქანა დაძრა ნელა.

ფანჯრიდან ვიყურებოდი, მანქანები სწრაფად დაქროდნენ და ჩვენ გზის უკიდურეს მარჯვენა ზოლზე კუსავით მივსეირნობდით, როდესაც მოულოდნელად ჯერ მუხრუჭის წივილის საშინელი ხმა გაისმა და გასტანა ასე სამიოდე წამი, შემდეგ გარდაუვალი — ბრაახხ! — შეჯახების ხმა.

მაგ დროს ფანჯრიდან ვიყურებოდი და მხოლოდ ერთი რამ შევნიშნე შუა ზოლზე — ჩვენი ზოლიდან ცაში ავარდნილი ცალი ყავისფერი ფეხსაცმელი, რომელსაც გაქვავებული თოჯინასავით სხეული მიჰყვა და მარჯვენა ზოლიდან გაშენებულ ბაღს გადაუფრინა და შემდეგ კომეტასავით დაენარცხა მიწას. ფერი წაგვივიდა ყველას, მით უფრო, მძღოლს.

— ეს ადამიანი იყო?! — ხმააკანკალებულმა შავმა კაცმა, ახლა კი სულ გათეთრებულმა მძღოლმა იკითხა, — ეს კაცი იყო?!

ზოლის იქით არაფერი ჩანდა, მაღალი გალავანივით იყო გაყოლება, ხალხი კი მოჩანდა, როგორ მირბოდნენ ისინი წაქცეულისკენ, რომელიც, როგორც ჩანს, წამოდგომას არ აპირებდა.

— ჰო, — ვუთხარი მე და მაშინღა მოვეგე გონს, გადავხტი მანქანიდან.

გოგონა ისევ ყურსასმენებგაჩხერილი წამოწოლილიყო წინა სავარძელზე, ვერაფერი გაეგო და მეც არაფერი მესმოდა, არც ის გამხსენებოდა, არც მძღოლი, რაღაც რომ დამიძახა გაქცეულზე, მაგრამ გზის შუაში ნაშენებ ზოლს რომ გადავახტი და ცხედარი რომ დავინახე, ვეღარ გავბედე მიახლოება, შემეშინდა. კაცი იყო, რომელსაც მუხლები არაამქვეყნიურად ჰქონდა განცალკევებული ერთმანეთისგან და სისხლის გუბეში სახე ასფალტს მისწებებოდა.

თავი ვერ შევიკავე, მუხლებზე დავეცი. მკვდარი პირველად არ მყავდა ნანახი, არც პირველად შევსწრებივარ სიკვდილს, თუმცა ის კადრი თვალებიდან აღარასდროს ამომივა. მუხლებზე დაცემულს გული მივარდებოდა საგულედან და მუშტებშეკრული ტკივილისაგან ცრემლს ვიკავებდი. წამოვდექი და გამოვბრუნდი, მძღოლი ჩემ ზურგსუკან იდგა, პირდაღებული უყურებდა ცხედარს — შეშინებული, გაქვავებული სვეტი.

— მოკვდა, — თქვა მძღოლმა.

რასაკვირველია, მოკვდა, — გავიფიქრე მე. ის მანქანა, რომელიც შეასკდა, გაქცეულიყო... სად გაექცეოდა თავს... მანქანაში ჩავჯექი, გოგონამ გამომხედა. თვალი თვალში გავუყარე, გამწარებული ვიყავი და საერთოდაც არ მქონდა მისი თავი. ვერ გაბედა თვალებში ჩახედვა, მიხვდა, რაღაც ვერ იყო... რამდენიმე წამს ხმა არ ამოიღო და ბოლოს:

— რატომ გავჩერდით? — ცნობისმოყვარე ბავშვური ხმით მკითხა.

— ავარიაა, თან მგზავრია გადასული, მოვა და წავალთ, — ვუპასუხე.

— ავარია? — გადასვლა დააპირა მანქანიდან.

— არ გადახვიდე! — მკაცრად ვუთხარი. ნახევრად გადაყოფილი ფეხი მანქანას დაუბრუნდა. ვიფიქრე, შევაშინე-მეთქი და დავამატე, — ცუდი სანახავია, — გავაღე კარი და სიგარეტს გავუკიდე, გოგონამ ისევ ყურსასმენები გაიკეთა და თვალები დახუჭა.

რაღაც დროს გარშემო ხმაური ჩემს ყურებთან ჩაგუბდა და გაქრა სადღაც. გაყინულ წამში თვალწინ ჩამიარა ყველა სიკვდილმა, რაც კი მსმენია, რაც კი მინახავს და მხოლოდ სამუდამო სახეები მედგა თვალწინ — წასულებისა. ზოგს მშვიდი სახე ჰქონდა, მშვიდი სექტემბრის მდელოსავით; მშვიდი ღმერთივით; ზოგის სახეზე კი ტანჯვა და ღრეჭვა, ეკლებით ნაკაწრი ემოციებით მოცული ცხოვრება ჩანდა — მხოლოდ ერთ — თან წაღებულ გამომეტყველებაში.

უცებ მძღოლმა შემოაღო კარი, ქოშინებდა, თრთოდა და მთლად კანკალს აეტანა, თითქოს, ფიქრობდა, თავად მიუძღვოდა წვლილი ყველაფერში, დამნაშავე თვალებით ჯერ გოგონას გახედა, შემდეგ თითქოს უაზროდ თვალი აარიდა — ამას რას ვუყურებო, მე შემომხედა, წარბებზე მიყურებდა ან თმებზე, ჩემს თვალებს კი ნამდვილად არ შეხებია მისი მზერა.

— აქ რაღა გვინდა, წავედით, — თქვა და სველი ხელისგულებით მოიწმინდა ოფლიანი შუბლი.

ვერ მივხვდი, რა იგულისხმა.

— სად წავედით?! არ ველოდებით იმ კაცს... — სახელი ძლივს გავიხსენე, — ჯონის? — ეს ვუთხარი. ის კი გაშრა.

თითქოს სცადა რაღაცის თქმა, ვერ თქვა, შემდეგ აზრებს ალაგებდა და სამიოდე წამი მის სახეზე მთელ საათად იქცა, ბოლოს კი ძლივს აღმოთქვა:

— ის იყო, კაცო! — თქვა თუ არა, ცრემლები დასცვივდა.

— ვინ ის? — ფუჭად ვიკითხე, უაზროდ, განა ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა იმ კაცში, მაგრამ არ დავიჯერე, ვერ დავიჯერე.

— გვერდზე ვინც გეჯდა... ჯონი... — ამის თქმა მჭირდებოდა თითქოს. მის თვალებზე აღუწერელი ტკივილი იყო.

არ ვიცი დღემდე, რა გრძნობა იყო, როდესაც ეს გავიგონე. ვერ გეტყვით. ერთი კი ნამდვილად ვიცი დარწმუნებით, რომ კაცს, რომელიც თავისი ცხოვრების ტრიუმფალურ მომენტში ამაყად ყვებოდა თავისი წინაპრებისა და შთამომავლობის ამბავს, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ასე მოკვდებოდა, მას სიკვდილი სხვაგვარი წარმოედგინა და, ვგონებ, იმედგაცურებაც ვერ მოასწრო, ისე მოკვდა.

მერეღა ვთქვი:

— მერე... ასე, უბრალოდ, თითქოს არაფერი მომხდარა, ასე მივდივართ?! — ვიკითხე მე.

კაცმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაზე მეტად ამის გაგონება არ სურდა.

— რო დავრჩეთ... პოლიცია...

— რა პოლიცია? — არ დავასრულებინე სიტყვა.

— დაგვკითხავენ! — უსუსურად წამოიყვირა, შემდეგ ტონს დაუწია, — გამოიძიებენ, შეიძლება, დაგვიჭირონ კიდეც... — ისე მითხრა, თითქოს ცდილობდა, შევეშინებინე.

— რაო?! — ზიზღი ყელში გამეჩხირა, მერე დავფიქრდი, შეშინებულია, იმიტომ ბჟუტურებს ამას-მეთქი. ვეცადე, მშვიდად გამეგრძელებინა დაწყებული სიტყვა:

— ის კაცი ვინ იყო შენი?

— არ ვიცნობდი, არც ვიცი... მე... მე...

— კარგი, — შევაწყვეტინე და მანქანიდან გადავედი.

მძღოლმა ჩემს შესაჩერებლად კარი რომ გააღო, გვერდით მჯდომმა გოგონამ რაღაც გადაუჩურჩულა, შემდეგ კარი მიიხურა და ისე მკითხა:

— თქვენ... აღარ მოდიხართ?

საბარგული ავხადე, ჩემი ჩემოდანი ამოვიღე და აღარც შევბრუნებულვარ.

არც არავისთან მივსულვარ.

სევდამოცული ერთხანს იმ შუა ზოლზე ვიჯექი, სადაც ბალახი ბიბინებდა, სადაც მზე ჩადიოდა... როგორც სიკვდილისა და სიცოცხლის გასაყარზე, იმ ზოლზე ვიჯექი, რომელიც იმ კაცმა ბოლოჯერ გადაკვეთა და რაღაც აქამდე დაუფიქრებელზე ვფიქრობდი მაშინ.

ერთი კი ვიცი — გემოს ვერ გაუსინჯავ სწრაფ სიკვდილს, როგორც უნდა გინდოდეს.



გიორგი შერვაშიძე

სხვა გემო და მუღამი

რუსუდან რუხაძის მოთხრობების კრებული „ერთი თქვენგანი გამცემს“ ნებანება საკითხავი წიგნია. შეიძლება, მიაყოლო კიდეც და ერთიანადაც გადასანსლო, თუმცა, მეეჭვება, ის გემო ჩაატანო, რაც თითოეულ ლუკმას, ულუფას, მოთხრობას მოსდევს. ისე, ეს მე წავიკითხე ასეთი დაგემოვნებით, თორემ სხვას შეიძლება, სხვაგვარადაც ეამოს და იქნებ, რამდენჯერმეც კი მიუბრუნდეს ერთხელ უკვე წაკითხულსა თუ განცდილს.

მეც თავიდან ჯერ მივცხე და მივაყარე. მერე კი მივუხვდი მუღამს და ტემპიც დავაგდე. ვიზოგავდისავით... დავთქვი, დღეში მხოლოდ ერთი მოთხრობა წამეკითხა. მგონი, სულ ათი იყო და, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ერთ კვირაზე მაინც ვერ გადავანაწილე. სულმა წამძლია და შევყევი... არადა, თითქოს პირობაც მქონდა მიცემული საკუთარი თავისთვის, დღეში თითო მოთხრობა წამეკითხა და კარგადაც დავმტკბარიყავი. დავლოდებოდი, სანამ წაკითხული ბოლომდე, ძვალ-რბილში, გამიჯდებოდა და შემდეგ გადავსულიყავი მომდევნო ტექსტზე. გავჟენთილიყავი ბავშვობისდროინდელ რვეულში ჩატოვებული საშრობი ფურცელივით და მერე, როცა გამოშრობისკენ წავიდოდი, ეგრევე ახალ გვერდს დავწაფვოდი.

გმირებზე, ამბებსა და დუღილებზე არაფერს დავწერ. ეს თავად უნდა ნახოთ და განიცადოთ. რომ დავდგე და წვრილად ვისაუბრო „მაგეებზე“, ტყუილი გამომივა. ყალბიც... ჩემი არაა და ამიტომ... ავტორისაა და მისგან, პირველწყაროდან, სჯობს ამ ამბების მოსმენა.

თავად უნდა ნახოთ, როგორ კოხტად ცეკვავს და თამაშობს ხან კაცისა და ხანაც კი ქალის ტყავში გადაცმული ავტორი. მართლაც ძალიან შთამბეჭდავი და დამაჯერებელია ეს გარდასახვები. ისე კი, ერთს ვიტყვი და დავამატებ — ადგილ-ადგილ მეგონა, ინანიშვილს ვკითხულობდი და ალაგ-ალაგ კი — დუმბაძეს... მერეღა მივხვდი, წიგნი არც ერთის იყო და არც — მეორესი. ეს რუსუდან რუხაძის სამყარო იყო — ძალიან კარგი მთხრობელის, მწერლისა და მცხობელის სამყარო. დიახ, მცხობელისა, რადგან ასეთი ამბები სწორედაც რომ უნდა გამოაცხო, რათა მერე დამშეულმა სტუმარმა დაბრაწულ „პურს არსობისას“ ყუა ნაზად მოატეხოს, ამოვარდნილ ოხშივარს ხარბად დაყნოსოს და მერე კი მადიანად შეექცეს.

აქამდე ამ ავტორის წიგნები არ მქონდა წაკითხული და ძალიან გამიხარდა, რომ გავეცანი, უფრო კი გავიცანი და მეტიც, აღმოვაჩინე. ძალიან სასიამოვნო განცდაა, როდესაც კარგი ავტორი არსებობს, შენ მის შესახებ არაფერი იცი და მერე უცებ აღმოაჩენ.

ასეთ მოულოდნელობასა და უეცარ სიხარულს მართლაც სულ სხვა გემო და მუღამი აქვს, ყველაფერს გეფიცებით...

გიორგი გოგუა

ლუკას კრიხელი

ბათიჰამის პლაჟზე მთელი დღის მცხუნვარებისაგან გამთბარი ოქროსფერი სანაპიროდან გაჰყურებდა ლუკას კრიხელი მზისა და ზღვის დაისისეულ ჭიდილს. ჩამავალი მზე მეწამულისფრად აელვარებდა ცის კაბადონს, ზღვა კი ქარს ატანდა თოლიების შორეულ ყივილსა და თეთრქაფა ტალღების დგაფუნს ხმელეთისაკენ. ეს ის წუთებია, ძალუმად რომ აღძრავს ფიქრსა და მოგონებას, ისეთსავე ვრცელსა და თვალუწვდომელს, როგორადაც ლუკასს მის წინაშე ლურჯით შემოსილი ხმელთაშუა ზღვა ეგულებოდა.

ადამიანის საოცარი თვისება და უნარია ფიქრი. ფიქრის გამოვლინებაა ქმედება, რასაც რაიმეს შენება ან სულაც ნგრევა შეიძლება, მოჰყვეს. ამდენად, ავი და კარგი ჯერ სწორედაც ფიქრით მოგვდგამს ადამიანებს. თუ ფიქრის ძალას წარსულისკენ მივმართავთ, მოგონებები ნათელ ხატად გაცოცხლდებიან, ისინი ხან ღიმილს მოგვგვრიან, ხანაც დაგვამწუხრებენ და უშფოთველი, წმინდა სევდით მოგვიცავენ. ხოლო თუკი მომავლისკენ მივაქცევთ მას, იგი ერთგვარ სამოქმედო გეგმად გვესახება, რომელმაც ნელი, დინჯი და გეგმაზომიერი ნაბიჯით შეიძლება, ოდესმე მიგვაახლოს კიდეც სანუკვარ მიზანთა აღსრულებას.

ლუკასს მზერა ამჯერად წარსულისკენ მიეპყრო. ასაკიც უწყობდა ხელს საამისოდ. ორმოცდაათი წელი ნამდვილად ის ხანაა, ბევრი რომ უნდა მოგაგონოს ადრინდელი, ზოგი ყრმობისა და ზოგიც სიჭაბუკის წლებიდან. როცა ცხოვრების ნახევარზე მეტი განვლილია, მისი სამზერიდან უფრო უკეთ ჩანს და შეიგრძნობა ის, თუ როგორი იყო თავად ეს განვლილი გზა და რა გაკვეთილი მიიღო მასზე შემდგარმა კაცმა. ლუკასის ცხოვრებაც ასეთი თავგადასავლებით უხვად იყო გაჯერებული. ერთი კაცის ამბავი ხშირად უფრო ნამდვილი და მახლობელია ჩვენთვის, ვიდრე კაცობრიობის მთელი ისტორია ქრისტეს შობიდან დღემდე. არსებობს თხრობა და მისი მთავარი პერსონაჟი. ეს პერსონაჟი უფრო მეტად ლიტერატურულია, ვიდრე — ისტორიული, მეტიც — ისტორიული პერსონებიც ხომ მრავალი პროზაიკოსის მხატვრულ მუზებად ქცეულან?!

ლუკას კრიხელი გზამ დაბადებიდან სიჭაბუკემდე თბილისში ატარა. ამ ქალაქს ყოველთვის ქონდა მრავალფეროვნების ხიბლი. იგი ერთბაშად იყო გაჟღენთილი აზიური სულითა და ევროპული კულტურით. ისტორიის მსვლელობის ფერხულში დედაქალაქის ათასხუთასწლოვან მატიანეს ბევრი რამ შეუძენია ქალაქისათვის ღირებული, ბევრიც დავიწყებას მისცემია. ერთადერთი, რასაც არასოდეს ღალატობდა თბილისი — ხალხთა მეგობრობისა და კულტურათა დიალოგის ურყევი ნიშა იყო. ლუკასისთვისაც ეს იყო თბილისის მთავარი ღირსება. მეგობრობა, ძმობა, ურთიერთგაგება. მის ბავშვობაში, როცა საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას წარმოადგენდა — თბილისს არ განურჩევია და განუსხვავებია მისი არც ერთი შვილი. როგორც დედა არ განასხვავებს, ისე თბილისისთვისაც არ ჰქონდა მნიშვნელობა, ვინ იყო მისი მკვიდრი; ებრაელი, ქურთი, რუსი, ბერძენი თუ სომეხი. ამის გამო ყველა ემადლიერებოდა ქალაქს. ლუკასმა ბავშვობის ტკბილი წლები ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო უბანში, მეიდანზე, გაატარა. ძველი თბილისის მარგალიტია ეს უბანი, მუდამ ცოცხალი და ხალხმრავალი. ვის არ შეხვდებით აქ — ვაჭრებს, ლამაზ ბანოვნებს, სხვადასხვა აღმსარებლობის სასულიერო პირებსა და მათ მრევლს.

ლუკასის პაპა, მორდეხაიც, ამ უბნის შვილი იყო. მეიდანზე მდგომ ტაძარში რაბინად მსახურობდა ბრძენი მოხუცი, რომელმაც დაობლებული შვილიშვილის აღზრდა მარტოკამ ითავა. როცა ლუკასის აღქმაში მორდეხაი გაჩნდა, პაპას თმა უკვე შევერცხლოდა. წვერიც თოვლივით თეთრი ჰქონდა, სახე კი წმინდანს მიუგავდა. ამ სახეს რომ დაკვირვებოდა ადამიანი, ძალაუნებურად ერთადერთი აზრი დაებადებოდა — იტყოდა, მოხუცი განსწავლული და ბრძენიაო. ასეა, ადამიანებს სახეზე აწერიათ ყველაფერი, მათ მზერასა და მიხვრა-მოხვრაში ამოიკითხავთ მათსავე რაობას. ლუკასს მასზე მახლობელი არავინ ჰყავდა. მორდეხაი მამაც იყო და პაპაც, მას შემდეგ, რაც ლუკასმა მშობლები რვა წლის ასაკში დაკარგა. დავითი და ნინა ავტოკატასტროფაში გარდაიცვალნენ. რთულია, წარმოიდგინო გულგახეთქილი მამა, რომელმაც ერთადერთი ვაჟი და რძალი დაკარგა. მორდეხაისთვის სიცოცხლე ალბათ აზრს შეწყვეტდა, ლუკასი რომ არ დარჩენოდა ნუგეშად. მორდეხაის პასუხისმგებლობის ესოდენ მაღალი გრძნობაც არ აძლევდა სისუსტის და ცხოვრებისგან გაგულჩვილებული, ხელჩაქნეული კაცის ყოფით ცხოვრების უფლებას.

ასეთი პაპის ყოლა ლუკასისთვის ბევრს ნიშნავდა. მორდეხაი დიდი აღმზრდელი გამოდგა ობლად დარჩენილი ყმაწვილისა. ზღაპრებით დაიწყო შვილიშვილის ცნობისწადილის გაღვივება და მოწიფულს უკვე თორას ასწავლიდა, ბრძნული შეგონებებით ასაზრდოვებდა, უხსნიდა წუთისოფლის სიავკარგეს, ასწავლიდა სიყვარულს მოყვასისას, თავმდაბლობას, კეთილშობილებას. პაპამ ლუკასს იმაზე მეტი ცოდნა გადასცა, ვიდრე სკოლამ და პედაგოგებმა. ეს ბუნებრივიცაა, რაბი მორდეხაის პატივსაცემ კაცად სცნობდნენ ძველი თბილისის კოლორიტები. სახლში, რომელშიც პაპა და შვილიშვილი ცხოვრობდნენ, სტუმრიანობაც ხშირი იყო. ლამაზ, რიკულებიან აივანზე ხშირად მასპინძლობდა მორდეხაი მასსავით დინჯ, თეთრწვერა მოხუცებს და მიდიოდა ბჭობა ათას საკითხზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ მოხუცთა თავყრილობანი ფილოსოფოსთა აკადემიის შეკრებებს მოგაგონებდათ. ბევრი ალბათ ფულსაც კი გადაიხდიდა, ოღონდ მათი ბრძნული დარიგებისათვის მოესმინა, რჩევა მიეღო. ლუკასს კი ეს ყველაფერი უფასოდ ჰქონდა. და რა გასაკვირია, რომ ყმაწვილკაცობაში შესულ კრიხელს უკვე დასტყობოდა პაპისეული სიდინჯე, გონიერება და საგანთა განჭვრეტის უნარი.

მეგობარი ჰყავდა ერთი, ყველასგან გამორჩეული და მახლობელი ლუკასს. დავითი ერქვა — დავით შოშიაშვილი. ლუკასთან ახლოს ცხოვრობდა ისიც. მორდეხაისთვის დავითი მეორე შვილიშვილივით იყო. იცოდა მოხუცმა, რომ ბიჭებს დიდი მეგობრობა აკავშირებდათ და ორივეს ამ გრძნობის ღირებულებაზე იგავებს უხვად უამბობდა. ძმებივით შეეზარდნენ და შეეთვისნენ ერთმანეთს ლუკასი და მისი მამის სეხნია დავითი.

მერე ქვეყანა აირია და აფხაზეთში ომი დაიწყო. მეგობრები უკვე იმ ასაკში იყვნენ, სამშობლოსათვის ბრძოლა რომ შეეძლოთ. ადგნენ და ფრონტზე მოხალისე ჯარისკაცებად გაეშურნენ. ლუკა პირველსავე შეტაკებაში მოჰყვა ტამიშთან. იმარჯვა მეგობარმა და მძიმედ დაჭრილი გაიყვანა საცეცხლე ხაზიდან. დავითი წამით არ მოშორებია, მეგობრის გამოჯანმრთელებას ავედრებდა უფალს, ღამეს კი პალატაში უთევდა.

ლუკასი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს...

ამ ამბებიდან მალევე ლუკასმა და პაპა მორდეხაიმ საქართველოც დატოვეს და დიდ ალიას შეუერთდნენ.

უკვე ოცი წელი იყო მას შემდეგ გასული, რაც ლუკასმა საქართველო დატოვა პაპასთან ერთად. კარიერაც მალევე მოიწყო ისრაელის სამხედრო ძალებში. იარაღით ემსახურა საქართველოს და იარაღითვე განაგრძობდა მსახურებას მისი ისტორიული მიწისა და სამშობლოს — ისრაელის წინაშე. როცა მორდეხაი გარდაიცვალა, სულ მარტო დარჩა უკვე კაცადქცეული ლუკას კრიხელი. ოჯახი არ შეუქმნია, თავი მთლიანად სამხედრო სამსახურს მიუძღვნა. ერთადერთი, რაც ენატრებოდა და რასაც ახლა ბათიჰამის პლაჟზე მჯდომი, კონიაკით ასველებდა მოგონებებს — თბილისური ტკბილი ბავშვობის წლები იყო. ამ ხალასი წლების ნაწილი იყო სიყრმის მეგობარი დავითიც. ლუკასს მის შესახებ უკვე კარგა ხანია, არაფერი სმენოდა. ამ ერთი კვირის წინ კი მოულოდნელად ტელეფონი აწკრიალდა. ლუკასმა ყურმილში ყრმობის მეგობრის ხმა შეიცნო. გახარებული, დაბნეული და რეტდასხმული იყო ამ ამბით. საუბრისას ცრემლიც მოადგა კრიხელს. მიკითხვ-მოკითხვის შემდეგ დავითმა უამბო ლუკასს მისი ქართული ყოფის სირთულეები, ოჯახის — მეუღლისა და ორი შვილის — ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფას ვეღარ ახერხებდა შოშიაშვილი. ლუკასმა სიხარულით აღუთქვა დახმარება სიყრმის მეგობარს. ისრაელში ჩაყვანასა და ლეგალური სამსახურის მოძიებაში დახმარებას შეჰპირდა.

ბათიჰამის ზღვის პლაჟზე იჯდა ლუკას კრიხელი, კონიაკით ასველებდა წარსულ მოგონებებს. უეცრად ქვიშის შრაშუნის ხმა შემოესმა, სავარძლიდან თავი უკან ჰკიდა და თვალი დავით შოშიაშვილს შეავლო. ანგარიშმიუცემლად წამოხტა ლუკასი, ანგარიშმიუცემლადვე ნაბიჯები ააჩქარა დავითმა. დიდი ხნის უნახავი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ და დიდხანს იდგნენ ასე გადახვეულები. ხალხი ცნობისმოყვარეობით უყურებდა გულში დიდხანს ჩაკრული ორი კაცის უცნაურ სურათს.

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
9 772346 794004